

საქართველო



სელმკვანებისა და მეცნიერების

ყოველთვიური კაბუღი

KAVKASSIONI

REVUE GÉORGIENNE D'ART ET SCIENTIFIQUE



N 1-2

იანვარ-თებერვაღი

პარიზი-1929



უცხოეთში გადმოსვნილი ქართველი საზოგადოება მოკლებული იყო ისეთ გამოცემას, რომელშიც ხიტყვა: გასული, მსატკრული და მენიერული დაისადგურებდა. ამ ნაკვს ჰგონებდა ყველა.

ქართველ მოწავლე ახალგაზრდათა გროვულმა გაერთიანებამ გაჭებდა გადაგება ნაბიჯი მიზნით: ამ კრებულის გარშემო შემოჭკრიბეს იძულებით სამშობლოს მოწყვეტილი მწერლები.

დრო და ბრძოლა საქართველს თავისუფლებისათვის გვიბრძანებს: გაისმოდეს აქ თავისუფალი ხიტყვა საქართველოში რომ რუსულ სიმტყეა წამოგებული.

კრებული ასრულებს ამ ბრძანებას.

უფროსნი—ბრძოლაში გამობრძმედილნი; უმცროსნი—გამოსადგენნი—უნდა დაირაზმონ ქართული კულტურის დროის კვამ, რომელზეც ხისხლითაა აღბეჭდილი უფროვი ბრძოლის მტკიცე სურვილი:

— თავისუფლება!

ყველა: ფელადური ნებით, აღგზნებული გრძნობითა და ღრმა ასრით გაერთიანებული უნდა მივიდეს სამშობლოს თავისუფლებისა და კულტურის სამსხვერბლოს წინაშე:

ვალის მოხანდელად.



15

I



ს. ბერეჟიანი:

ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი.

იხევი ის მთებში! იხევი ის წედა!
შენს სილამაზეს ვერ შესცვლის დრონი.
ღრ ნაწნავებად გადმოიკვდა
ფარჩის კაბაზე მტკვარი-რიონი.

* * *

გავევივი მძვვლად დღეს გუდიან ქარს...
რღდა სოფელი იწვა ბინდებში,
ვაკოცე ღობებს, ვაკოცე ჭიშკარს
და დავიძალე სქელ სიმინდებში.

* * *

გატეხილ სულას
დახჩხავის ყვაავი,
დამპალ ხვეტებზე
ქანაღბს ოდა...
მე რღმ ალვისხედ
გავჩენილიყავ,
შენთან დარჩენა
შემემღებოდა!

ს. ბერეჟიანი.

გაცდებულნი შეაღამეს თფ-იარადით
შემდგვეკერით დამწყვდეულებს, თავზე დაგვესხით,
წაკვართვით ცისგე, საქართველდგ და ძალის-ძალად,
როგორც ქურდებმა მოგვიტაცეთ და წამოგვასხით.

ტაში დაჭკარით, ითამაშეთ, დასტებით წამებით,
მეტეხის ცისგე ცხრა ექტომბერს არ დაიგიწყებთ,
ტაძრის კედლებზე სისხლით დასწერს ერის წამებას
და მომავალში ერთგულს შვილებს ეტყვის-აუწყებს.

არ გვეშინიან თქვენი ღრუნის, გბილთა ღრჭიალის,
სუყველგან ვიტყვით, რომ ჩვენი გზა წმინდა სწორია!..
დასტებით მეცვე საუკუნის ჰეროისტრატებო,
რომ გღირსენით ცუდათ მაინც თქვენ ისტორიას.

გროვულ გრძნობას ჩვენში უფრო აღიზიანებთ,
იგვრს წამებულს, ჯვარზე გაკრულს უფრო გვაყვარებთ,
უგუნურებო, სასაფლაოს თვითვე იმსადებთ
და წყველა-კრულვით სამშობლდში თავს ისამარებთ.

მეტეხის ცისგე ერთსგელ კიდევ აფეთქდი გეცხლად,
ტაძრის გუმბათო დაიჭეჭე, დაიგრიალე,
ბოლდ მიუღვე ქვეყნის ორგულთ იუდის კერძებს
სამდგერი დრღმა ცათ ასწიე, ააფრიალე.

სისხლის ტალღებზე აცურე იმედის ნავი;
წამების გეცხლში გამეჭკვეთე რწმენა დიადი...
ბრძოლის ნაღმებით ააფეთქე ქართველთა სული,
ერს მიუბღვე სისარული და განთიადი.

ანანიებო, დათოებო დამეშურენით,
მამა-პაპურად ბასრი სძალი დაატრიალეთ,
და სამუდამოდ სამშობლდში რწმენა და ნიჭი
შრომის კაცდენზე ალაამასეთ-აკვრიალეთ.

ალ. გასიტაშვილი *)

სატუსალო ვაგონი.
ნოემბერი 1923 წ.

*) გადმოხასლებული, გარდაიცვალა ბერლინში.

გ ე ლ ა :

ფ ი ძ რ ი უ კ ვ დ ა ვ ი .

მღრის ძახილი, ახლდ ფიქრი და ბედის წერა,
სამშობლო სმეპი—მოგუგუნე, სიტყვა მარადი,
თვით საქართველომ გვ სიმღერა სისწლით დასწერა,
მოდი, ქართველო, წაიკითხე წიგნი დიადი!..

ჩამოჭკრაგ ზარებს დღის გვარცხლბეგზე ძღვევით დამდგარი,
და მოვლენ, მოვლენ გამარჯვებულ ქვეყნის დროშებით,
ერის გულიდან აღმცხდება სიტყვა გამთბარი
და ყველა, ყველა სიყვარულით შევიმოცებით!

მშობელ გარემოთ არის ძეგლი, არის დიდება,
ქვეყანავ ჩემო! გვ ფიქრია შენი უკვდავი—
თვით შენ გემი სარ—ზღვის ტალღებში დიდი ტარება,
საკუთარ გზებით მღარული, დაუღალავი!

და ახე ივლი, ივლი მარად შეუბოვარი,
შენი გზა სწორი, მოძრავი და ოკეანური
მიგრყვანს ნაპირს გამარჯვებით!—სწორ-უბოვარი
შენი ძახილი, შენი ბრძოლა და სიყვარული!

ჩ ვ ე ნ ი რ ა ჯ მ ე ბ ი .

1.

არ მინდა მარად მარტო ვიყო, მარტო ვიარო,
მინდა გარემოც დიქრი ჩემი გავუზიარო!..

მინდა ვიდოდე ამქართ შორის მარად, დღე-ღამე
და ქართულ სმებში საიმედო ვპოვო სიამე!

გი, მეგობრო, არ მინდებნარ, წადი, გამშორდი,
მოდით, ბიჭებო, დავირაზმეთ, ქალაქს გავმორდეთ!

მღვლენ იქ, ჩვენთან, მოქვიდე არამზადები,
ღრუბლიან ცის ქვეშ ჩვენ ხალხრათ მოვმზადებით!..

გამაღეთ სუფრა, მეგობრებო, მწვანე მდელოზე,
დამისხით, ღვინო და, ვიმღერეთ გამარჯვებაზე!..

2.

მიყვარს უდაბნო მღვყენილი, კრწანისის ველი,
ირაკლის დიდი მარტოება, მისი ნაღველი!..

გი, ირაკლი, გეძახიან ჩვენი რიგები—
გნათათ ვიარდო და კრწანისის ვსიღოთ დიქრებო!

მიყვარს მეტეხის მოძახილი—მტკვარის რდნინი,
მერანზე ჯდღმა, ველათ გაჭრა, არა ღღინი!..

თანასწორება ჩვენს რიგებში არის პირება,
არა გვწამს მეფე, არც სააკაძის ტრელი გმირება!..

მოდო, ირაკლი! ჩვენი რაზმი შენ მოვიწოდებს,
აგირჩევთ სარდლათ, არა მეფეთ, ასე იცოდებ!..

ჩვენ გადავლახავთ ადიდებულ მტკვარსა და რიონს,
ვეწვევით შავ-წღვას, გამღვიხმობთ ძლიერ სთიქინს!

დავამსწვრვით დმერთებს—მოდლატებს ჩვენს სამყაროში,
სამოთხის მცველათ მოფორინდება ჭაბუკი რაშით!..

გი, ირაკლი, ამაყია ჩვენი წსენება...

ჩვენ საქართველს ვიქები ვართ, ნუ გეწყინება!..

ღ ე ლ ა ს .

შორი გზით დაგშორდი—
დიდი ხნით წამოველ,
შენ ჩემით ხარობდი—
მწარე ჟამს ვერ მოველ!

დედიკო, დედიკო!
შინდოდა, ვერ გნახე,
მწარე ჟამს იქნების
შენ კიდევ დამზრახე!..

ხიზმარში გნახულაბ,
მემღერი, მიწყებო,
დედიკო, შეშინდე—
ჰა, ჩემი ცრემლები!

გ ე ლ ა .

ბერლინი.

დ. მეჩონგურე:

ერთხელ მეც ვიყავ თავადებული,
ერთხელ მეც მქონდა განზრახვა დიდი,
სჩქედდა ცხოვრება გაღაღებული,
და ნღრწ იმედებს ნღრწ გულში ვზრდიდი.

ერთხელ მეც ვიყავ თავისუფალი,
ერთხელ მეც მყავდა სატრფო გულისა,
გსლა ვაგდივარ უღვინოდ მთვრალი,
მძებნელი დამჭენარ თაიფულისა.

ერთხელ მეც ვიყავ პატარა კაცი,
შურის და მტრობის მუდამ მგმობელი,
მაგრამ დამტოვეს სულ განაძარცვი
და გსლა მსოფლიდ სიკვდილს მოვეკლი.

დ. მეჩონგურე. *)

მეტეხი, 1924.

*) დახვრეტილ იქნა 1924 წ.

რ ა ლ ფ ი:

ჩემს ვარსკვლავს.

ჩემო ვარსკვლავო სხივ-მთელვარე,
ვით მდმიცავდა უშენოთ ბნელი!
შენით ვნუგეშობ, შენზე ვსახობ,
შენ ხარ ჩემი გზის მანათლებელი!

ცრემლი ნანგრევებს ვერ ააშენებს,
უამს განწირვისას ტირილს არ ვიწყებ,
შავბედში თვალი არ ამარიდო,
ჩემო ვარსკვლავო ნუ დამივიწყებ!

შენ მიყურებდი ბევრჯერ ბედნიერს,
არ მოხულიყო როს კიდევ დარდი,
როს მარტო ისეთ სიცილს ვიცნობდი
ვით იცინიან ია და ვარდი!

რაც გარეშემო იყო მიყვარდა,
არ მღველდდი ობლობას ტიალს,
მრავალი ფერის მშვენიება ახლდა
ჩემო ვარსკვლავო შენს ქვეშ სეტიალს!

გხლა უყურე ჩემს ღრმა ჭრილობებს,
მზერდე ვით მწარე შეიქნა ბედი,
წვალეების კვალმა როგორ შესცვალა
ბედნიერების შარავანდედი!

მშვიდობა წარსულს, სამარადისოდ
რაც დანთქმულია და ვედარ ვნახავ,
რისი სამარეც მაქვს ხულის ფსკერში
და ვეფერები, ფრთხილად ვინახავ!

ადრეც მივანდე მდმავალს თავი,
კვლავ წინ გახწიე, გახეურე ნავი,
შენით ვნუგეშობ, შენზე ვსახობ,
გზას მინათებდე ჩემო ვარსკვლავო!..

ბერლინი. 1923 წ.

რალფი.

ა. ტყემალაძე:

პ ა რ ი ზ ი.

და... დღესაც ისევ ვიფელოს კლშკის ხიმაღლით
ელისეს მინდვრებს გადმოვხვდავ დემონიურად,
აქ: არ იღლებს კაცის ხული ხიმშიმის დაღლით;
აქ: ყოველივე დღეს მტყვევლებს ტურტად, ღვთიურად;

აქ: კაცის ვრძნობა ანაღრთქლი ცეცხლით ძლიერით
უშანკვების კაბას აცქეცხ თვით ბორღტებას;
დაღლილი ხული აქ ისვენებს ხულ სხვა იერით,
ხარბად ეწათვის მსამით ხავსე ბორღტ ცხვრებას.

აქ: კადეგები მუხიკობენ ბახუსის ქნართი,
შამპანიურით ილეშება ავხორცი ქალი,
აქ: ყოველივე თავს იფარავს ვნებთან ტართი,
აქ: ყოველივე ხილამაზით არის დამთვრალი.

და ეს ქუჩები ხაარავი სელით შექმნილი
უსხვარ წლების ისტორიის არის არქივი;
აქ: შდრეული ცდხსალია, არ ზდაპარ ქმნილი,
აქ: ხაუკუნე ბუღეს აქხვს რღვორც არწივი.

აქ: ხილამაზეს დაუპყრია მთელი მიდამო,
კაცის ვრძნობები შეუბღჯავს მისხა მშვენებას;
აქ: ყოველივე წარმტარია ნაზი და ტურტა
და მისი ცქტა იწვევს ჩემში განცდათ შენებას:

— ჰლი პარიზო! შენ შარა ხარ ტრფობის და ვნების,
თავისუფალი, რღვორც მთაში ირემი ღადი,
შენ რეკლამა ხარ მთელი ქვეყნის ახალ ცხვრების
და ხორცშესხმული, ხაღცნებო მსოფლიო ბადი.

ა. ტყემალაძე.

3. წილცხანი:

ჩ ვ ე ნ ს ღ ე ვ ნ ი ლ ე ბ ს.

ჯერ მზის სხივებსა არ უხილავთ მიწის სამყაროდ,
ჯერ სისხამ დილის კვლავ სეიმდბს ბურუს-ნიავი,
ჯერ გვართა მძვივი ვერცხლის ტბაში ტანს ჰბანს სამყურას;
ჯერ კვლავ ადრეა—მეთევზისაგ არ მოსხანს ნავი!..

დამუნჯებულა არე-მარე, ბარი, მთა-ველი,
ჯერ ბუღბუღისაგ არ მოისმის ტკბილი ყდურტული,
ჯერ კვლავ სიწმრებსა წაუღია კანთა ნაღველი,
მთის ნაკადის სმაც ისე ისმის, ვით სმა ქურდული!..

იქ კი, მიწს სევში გაყვადური გულით მგზნებარე
ვიღაც ქურდულად, ფრთხილად, წყნარად მოიპარება;
თან ჰშიზობს ზურგში არ მოხდევდეს ფესმარდ მდევარი
და სშირად ბუჩქნარს ან დიდ მუხას მოღვარება.

თმა აბურმეცნია ვით გრივალში მწვანე ჯეჯილი;
თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკლები უხვად სცვივიან,
დროგამოშვებით ღამეს სგრავს სმა ჩანღვჩილი
ისე, ვით სშირად გულამღვრევად ქოტნი ჰკვივიან!..

სახე გაგრეცილს მხარზე მარჯვედ მოუდევს თოფი,
მარჯვენა სელში ფეხზე მდგარი ბრწყინავს დამბაჩა,
მამა-პაპათა ნაბოძები, ცეცხლში ნაწრთობი
წელს უმუშენს სმალი და ვაზნები, ვით თაფლის ფაჭა.

ფრთხილად წინ მიდის... უბედურსა ეზა აბნეგია,
უბან კი თვალებ ასისხლებით მოხდევს მდევარი;
თუმც, მუდამ დევნილს, მის გულს შიში ჯერ არ სჩვევია,
მაგრამ შეჩერდეს? ერთი ღარჩეს ასის წინ მდგარი?..

გზ! გიგან, გიგან, ტკბილდ ძმაო შეუპოვარდ—
ობლდ სამშობლდს შენ უდგეხარ მამაც დარაჯათ!
შენ არ ინდომე იუდისა უხვი ხალარო,
არც მისი ბილწი, სისხლიანი თქრდს ფარაჯა...

იგი, უხწორდ ბრძოლაში ხარ მტერთან შეგბმული;
ურცხვად გულს გიგლეჯს ველურ მხვრტა ტლანქი ბრუყალეგი,
მავრამ გიბრწყინავს იმედგებით აღხავსე გული
და პირმცინარე ტკბილდ სამშობლდს ენცევალები.

გახწი წინ, ძმაო! მავრამ ფრტხილად, ვვერდზე ვეყავს მტერი,
იკურტხდს შენი მარჯვენი და მკვერდი ფიქალის,
წინ, შეუბავრად!.. ჩრდილდგეთით შემოდნაბერი
დღეს თუ ხვალ უნდა ჩაბნეღეთდეს ხუსსი გრიგალის!..

ვ. წილფსანი.

პარიზი, 1929 წ.



II

ვლახა მგელაძე:

ს ა მ უ რ ბ ლ ი.

ვუძღვნი აკაკის.

(დღიურიდან)

ჩარკინულ სარკმელით მოსჩანს
მწვანეთ მოსილი მთებია,
მე ტყვე ვარ, მაგრამ ოცნებას
დაუქრელი აქვს ფრთებია!

მინდა ერთ წამით გადავძვრე
გადავიარო ველია,
მწყურის კვლავ ვნახო სამშობლო
სანატრელ—საყვარელია!

სად თავისუფლათ ნავარდობს
ჯიხვი, არჩვი და მელია,
ფეხ-მარდი შველი, ირემი,
კურდღელ-ქურციკი, მგელია,

მიმინო, ქორ-შევარდენი,
ბუღბუღი მგალობელია,
კაკაბ-ხოხობი, ქედანი,
არწივი მბრძანებელია!..

მ. ბილანიშვილი:



ქართველი ქალი

1929. დამოუკიდებელთა სალონი, პარიზი.

ნაძვ-ფიჭვ-ცაცხვ-თელა-ურთხლითა
სერები შემოსილია,
თვალ-უწვდენელი ხრამები
წყავ-შქერით ჩაფოთლილია!

ქვეშ ჩუხჩუხითა გადმოსჩქედს
კამკამა მთისა წყალია,
ვერცხლის ძეწკვივით კრიალა,
ჩხრიალ-ჩანჩქარით ძალია!

სიბ ქვაზე მიქრის, მიღელავს,
თეთრი, რძე-ქაფათ ქცეული,
მაღალსა სალ-კლდეს ჩაქუნავს,
წვრილ ნამათ გადაფრქვეული!

ვით მარგალიტის მარცვლებში
მზის სხივი მასში ჭიატობს,
ბროლივით წმინდა, ანკარა
ნაშხეფ-წინწყლებით ჩხრიალობს!

სასმელათ ცივი, მსუბუქი,
გულ-მკერდის გამგრილებელი,
შიგ ცურავს წვერა-კალმასი—
ქვებიდან-ქვებზე მსტომელი!..

გარშემო მდებარეობა
საამოთ ახატულია,
გაშლილი ვაკე ჭალები
ყვავილით აქარგულია,

ბალახთ პაწაწა ფურცელი
ნელა თრთის, დანამულია,
ზედ ცვარი ციმციმ-კიანთობს,
ვითა აღმასი ბმულია!

პირსაბან წყალსა უმზადებს,
ცა თალათ გადადგმულია,
დილის მზე უხვათ ნათელს ჰფენს,
რომ შეუმშრალავს პირია!..

ნაზათ ეხვევა ყოველსა,
მცენარეთ შორის დაძვრება,
სხივებსა აფრქვევს უხვათა,
ფოთოლი ბრწყინავს, შუქდება!..

მორცხვით თავ-დანრილ იას, ვარდს,
კოკორ გვირგვინსა უკოცნის,
ზურმუხტით ქცეულ ფერდოებს
ოქროს სხივებსა შესტყორცნის!

უმანკო, ტურფა ყვავილებს
ფუტკრები გულსა უწუწუნის,
თაფლს აკეთებენ გემრიელს.
შაქარზე წმინდას, უფრო ტკბილს!..

პეპელა დათრთის, დაფრინავს,
პურიკინა გაღვიძებულია,
ბუჩქნარებს გააქვთ შრიალი,
და შრომა გაჩაღებულია.

ყველა მოძრაობს, ფაცურობს,^წ
მუშაობს გამალებული,
ქებათა-ქებას შემომქმედს
უძღვნიან გახარებული!

მინდორი მწვანეთ ბიბინებს
ხავერდივითა რბილია,
თავსა უფურჩქვნის ნიაგი,
ცელქი, სიცხეში გრილია,

ფრინველთა სიმხიარულეს
არ უჩანს ღასასრულია,
განაბულები ყურებით
დაგიამდების წყლულია!

დადიხარ გაკვირვებული
სიამით გიცემს გულია,
თვალი გეცრემლვის ნამზერი,
მუდამ უცქირო გწყურია;

შორს გაგიტაცებს ჩიტებთა
სტვენა-ჭიკჭიკი ტკბილია,
მოგაჯადოებს—შეგიპყრობს
ბუნება შემკობილია!

სურვილი გადნობს, მიმოვლო
მწვერვალი აზიდულია,
ზოგან გაშლილი მინდორი
და ზოგან აბურთულია!

კლდისა ციცაბო კარჩხალის
ნახეთქი-ნაპრალებია,
ფრიალოს ვიწრო კიდური,
სიფრთხილით გასარებია!

მთის გულს მოარღვეს მდინარი
აზვირთებ-აქაფებული,
ფაფარ აყრილი, გიჟმაყი,
მთრთოლარე, გაშმაგებული!

მიილტვის, შფოთავს, დუღილით
მზის სნივზე კრთება, ეღვარებს,
მიიგრაგნება, მიჰქროლავს,
ხმაურობს, დრტვინავს, მღელვარებს!

მისი მქუხარე ბრძოლის ხმა
გადმა ხევ-ხევეში გრიალებს,
ჰაერსა აამოძრავებს,
ცივი ბორიო ტრიალებს!

მის ხმაში მრისხანებაა,
რალაც ციური მალალი,
მედიდური და ამაყი,
ვით ლომი ტყეში მავალი!

ხან ქვაბს ძირს უთხრის, მიშხუის,
კიდებს ებუტბუტება,
შორ-ახლო მყოფსა ბალახებს
ძირს ურწყავს—თავს ესხურება!

ხან გადმოვიღოს ნაპრალით
ყვავილებს ცვარავს წითლებსა,
შხეფებს აპკურებს ყლორტებში,
ბორცვებს მიძვრება ხშირებსა;

ირემნი თავრჯლებიანი
მოედებიან მის პირსა,
შველისა ნუკრი და ჯიხვი
სმენ, მით იკლავენ წყურვილსა!..

მალა შეჰყვებით მთის მწვერვალს,
სადც ვერ ხარობენ ტყენია,
ხვადაგისათვის მარგები
მუხლამდე ბალახებია.

ნოყიერ კლარტას, სამყურას
საქონელი სძოვს ხარბათა,
მას მწყემსი თავზე ადგია,
მარჯვე, მომვლელი კარგათა.

მხარზე კომბალი უდვია,
წელს სატევარი ჰკიდია,
გვერდს მისდევს მურა, ერთგული,
ბონძვერა, ტანათ დიდია!

მის შიშით ტყიდან ნადირსა
ვერ გაუბედავს გამოსვლა,
ვერც მტაცებელსა-მპარავსა
ლამით ფარეხში შემოსვლა...

მოხდენით მწყემსი ფერდობზე
სალამურს უკრავს ხშირათა,
ჩაარაკრაკებს, დაკვნისის,
ხან ზედ დამღერის ტკბილათა!

ხან მხიარულათ დასძახებს,
ბუნებას აქებს—ადიდებს,
ხან საბრძოლველათ მოგიწევს
მთელს ტანში ცეცხლსა მოგიდებს!

ხან სხეულს მოშლის, შეარყევს,
თვალებს ცრემლებსა აწვიმებს,
გაბოროტებულს მოაღბობს,
სინანულს მისცემს—ამშვიდებს...

გულსა გააღბობს, გაათბობს,
დაჩლოუნგებულსა გრძნობასა
ამუშავებს, შუქს მოჰფენს,
განკურნავს, მისცემს ცნობასა:

მეხსიერებას გაგინსნის,
გონება გაგინათლდება,
ჭეშმარიტების სხივები
სულის სიღრმეში ჩაგწვდება,

სათნობ-კაცთ სიყვარული
შენს გულში დაისადგურებს
და რაღაც იდუმალი ხმა
მას მტკიცეთ დაადასტურებს!

მწყემსი კი... ახალ-ახალსა
აკენესებს ციურ ჰანგებსა
და სალამურზე დამღერის
მშრომელი ქვეყნის ამბებსა!..

საქართველოსა ტურფასა
მაღლიდან დასცქერს თავს ზეცა,
შავ ზღვას გადაშლილს დასავლით
ლაპლაპი გააქვს მზეზედა!

ჩრდილოეთიდან კი მოსჩანს
კავკასიისა ქედია,
მის ძირს ბაღნარათ ქცეული
დაბებბი-ქალაქებია!

მათში მრავლათა განთქმული
ტაძარნი-მონასტრებია,
ხალხის დამცველი კოშკების
კედლები-ნანგრევებია!

ზოგი ამაყათ მდგომარე
მთიდან გადმოსცქერს დაბლობსა,
თლილი ქვით ნაშენს-ჩაკირულს
ქარ-წვიმა ვერას აკლებსა:

შიგ ინახება რაც მტარვალთ
გადურჩათ წაუღებელი,
ერის დიდება-საუნჯე,
წარსულის მლაღადებელი...

სხვა გზით გადახვალ თავფერდში
ჭალა-ტყე მოსჩანს საამო,
მზე გადახრილა დასავლით,
მოწეულია საღამო.

დაბურულს დობილოშია
სხვადასხვა სოის ხილია,
ვაშლი, მსხალი და ატამი,
ლედვი, წაბლები, თხილია!

მსხვილი ვენახი ხეებსა
ვით სურო შემოხვევია,
სულ დაუბურავს ბაბილოს
ხეხილის კენწორობია!

შორს გადაწვდილსა შტოებსა
ლერწები გადაქდობია,
სხვა და სხვა ხეზე გამბულა
და ასე ტევრს მოდებია!

დამწიფებულსა ნაყოფსა
პოწყვები ძირს დაუხრია,
მოწყვეტავთ, შექამთ, დალოცავთ,
ვისაც უნერგავს—უმყნია!

თუ მუხლს მოგეჭრას ძნელი სვლით
თვალს მოუვიდეს ძილია,
კაკლის ქვეშ მწვანე კორღია
და საუცხოვო ჩრდილია!

მიწვები მხარ-თეძოხედა,
თვალებს მოუვა ლუღლია,
ნანას გეტყვიან ლულუნით
მტრედი, გვრიტი და რწმულია!

შაშვი გიგალობს ხან-დახმით
ხის ტოტზე მალლა მჯდომელი,
მის სევდიანსა ხმაშია
აზრია მიუწვდომელი!

მალხაზი ჩიტი შროშანი
გაგართობს. იწყებს ქლურტულსა,
იადონი და მერცხალი
დაგიტკბობს სმენას, გულს—სულსა!

მიგეძინება ტკბილათა
ვით დედის მკერდზე მწოლარეს,
გულ—მაჯა გიცემს მშვიდათა,
როგორც დის წინა მჯდომარეს!

ტვინი მოძრაობს, მუშაობს,
ოცნებობს გრძნობა—გონება,
ტოლ—სწორებს, ძვირფას მეგობრებს
ეტრფის და გულს ეკონება!

ერთი მეორე ნახატსა
შესცვლის ნანახი სურათი,
ბუნების სიმშვენეიერე
თვალის მომხიბვლი—წარმტაცი!

სადამოს გრილი ნიავი
შეგითამაშებს თმას, წვერსა,
გაიწოდინებ სიამით,
თვალს გააყოლებ მთას, ველსა,

წამოდგები და იქავე
ჩახვალ წიფლისა ძირასა,
სად წყარო მიქუხს ჩუხჩუხით,
ცივი—თითქოს სდის მყინვარსა!

ჩახუჭუჭებულ ბალახებს
სიცოცხლეს აძლევს-ახარებს,
ხელ-პირს დაიბან, იჩქარი,
გზას გაუდგები გასავლელს;

წახვალ და თანვე წაგყვება
ღიადი შთაბეჭდილება,
აქებ-ადიდებ სამშობლოს,
სადც ამგვარი არს ბუნება!..

ტურფათ შემკული სამოთხე
შორიდან მომეჩვენება,
როდის იქნება სამშობლოვ
ვიხილო შენი მშვენება?!

P. S. იტალიაში მოგზაურობის შემდეგ ბათუმში დამიჭირეს და მომათავსეს ციხეში, რომლის ჩარკინულ-ჩამესრილ საკანიდან თვალ-წამლები, ამწვანებული სამშობლოს მთები მისკენ მიტაცებდა... რაკი სურვილი აუსრულებელი მრჩებოდა, მე ფანქარი ავიღე ხელში და მოზღვავებული გრძობა ქალღმერთად გადავიტანე. წერაკი არა, უდიდესი სიმფონიის შექმნა მინდოდა... როცა სამშობლოზე ვწერდი ციხეში ყველაზე და მთელი ბუნება ცოცხლათ თვალ წინ მეშლებოდა, მდინარის უხუილს, მწყემსის სალამურს თითქოს ვისმენდი, მზის სხივებს ვხედავდი, ლექსთა წერა ისეთ ნაირათ ეწყობოდა, წერას ძლივს ვასწრებდი, მე კი არ ვწერდი ვხატავდი, ვლოცულობდი; წერა კა არ მინდოდა, მწადდა რაიმე სიმფონია შემექნა, ბუნების საიდუმლოება ამემუსიკებია და მით ყველასათვის მემცნო ის, რასაც მე განვიცდიდი...

ამ დღეს მე ავმალდი, ზე-კაცი გავხდი, ჩემს დაბადებას შინაარსი მიეცა, მე ბუნების მონაწილე შევიქენი, უდიდესი სიამოვნება განვიცადე, გულზე რალაცა მომეშვა, სასოება ვიგრძენი, ღვთაებრივი სახე ჩემში დავინახე, ციხის სიცილიერე მადლით აივსო... მე ამ წამიდან თითქოს ბუნების საიდუმლოება გავიგე... მე უსწავლელი, მცოდნე შევიქენი, თავს ისე ვგრძობდი თითქოს ძილისაგან გამეღვიძა და გაბრწყინებულ სამყაროს თვალის გრძობით განვიცდიდი!.. მოულოდნელათ ვიღაცამ ჯვარი გადამსახა და ბრმა მხედველი გამხადა... რა მწყურია ბუნებაში ყოფნა და მისი მშვენიერებით დატკბობა! ვინ შეგქნა, რა ხარ, ვინ ხარ, ვინ განაგებ ასე წესიერათ ყველაფერს?!

ბუნებავ, მასწავლე მე საიდუმლოებანი შენი!

თითქოს მშობიარე დედა მორჩა და ტკივილ-სიამისაგან მიიძინაო—ისე ვიწქეი ფიცარზე—«ნარზე»—თვალე დახუჭული და სიამით ესტკბებოდი...

აი, ასეთი იყო ეს დიდებული წამი ჩემს ცხოვრებაში... ამ დღიდან მე თითქოს ბუნების საიდუმლოებას ვეზიარე, მისი მონაწილე შევიქენი, ღმერთი და ბუნება ჩემში ერთად განსახიერდა...

ვლასა მგელაძე.

III



სტეფანე კასრაძე:

ს ა ზ ლ ვ ა რ ზ ე ბ ა ლ ა ს ვ ლ ა .

უთუოდ ჩვეულებრივია ეს ღამეც და არაფერია საკვირველი ამ უღრან ტყეში. ნელის რხევით დაეშვა მწუხრი; ცის დასავალი აათრთოლა და ფერადათ აგზნებულ ღრუბლებს ნათელი წაართვა.

ამდენ ხანს, შორიდან დიდი მთები მოსჩანდა; მთებზე თოვლი ელვარებდა ლიბრი და სპეტაკი—ესლა მთები ჩაჰქრა. ტყეში სქელი ბინდი ჩამოდგა, ღამე ჩამოდგა და გაყუჩდა მიდამო.

ჩვენმა მეგზურმა ერთი ბებერი წიფელა ამოირჩია და მის ძირას ცეცხლი დაანთო. ცეცხლს ირგვლივ უსხედან:

მეგზური ჭალარა კაცია, ოსმან. ის ძილს ებრძვის, მაგრამ დაქანცულია და რადგან თვლემს, ირხევა და მისი ნაყვავილარი სახე ხან ცეცხლის არეშია, ხან კიდევ ბნელაში. ამას წინათ მან სთქვა:

— აქ ძიავ შვიდობაა, რუსი ვერ მოგვწვდება-ო და ჩვენი ბიჭები თანისთან მილაგდენ, მიწვენ. მე ვათვალისწინებ მათ სახეებს: უდავოა გამხდარან. არა უშავს, ძმებო და მეგობრებო, არა უშავს! ხომ მოისმინეთ ოსმანას სიტყვები? ეგერ მთა, მასკან გოლა, მასკან ლელე და მორჩა, გადავალთ-ო? ამაზე ჩვენ გავიცინეთ, მოგვეწონა—მასკან გოლა—თუმცა რომელია ჩვენთაგან, ვისაც სიცილის ძალა შერჩა? მაგალითად ვასიკო, ანუ ვასია; ჩვენ მას ვასლი დავარქვით; ესლა ჩვენს ვასლის აულია თვისი დალილი მხრები და ბებუს მუხლებზე მიუსვენებია.

ბებუ ძილში სწუხს. ვასლიმ ეს არ იცის. ვასლის სძინავს, თორემ პირში რომ ჩამქრალი პაპიროსი ჩარჩენია, მას მაინც გადააგდებდა.

«სად მიდიხართ თქვენ, ჩემო ძვირფასო ძმებო, სად? ხმალი ისვენებს, გარეულ მტრედს ბუდე გააჩნია და მელიას სორო, ხოლო შენ, განწირულო ისრაელ...»



ერთი სიტყვით ჩვეულებრივი ღამე და არაფერი საკვირველი ამ უღრან ტყეში.

მინც რაღაც გაყუჩება სცოდნია ამ ტყეს? თითქოს მთელი ქვეყანა დუმობდა აქ ბუდობდეს. შორიდან, ვთქვათ, პაწია რუს ლიკლიკი მოისმის, მაგრამ იმდენად უწყინარი და ოდნავი, რომ არ იცი, მართლა მოისმის, თუ წინად სმენილი გაგონდება.

ნეტავ დამეძინებოდეს.

ეს მესამე პაპიროსი ჩამეფერფლა თითებში. ჩემი პაპიროსის კვამლი უერთდება ცეცხლის ბოლს და ბოლი ესვევა ბებერ წიფლის შტოებს.

წიფლის კენწერო კი, არა სჩანს და ვინ იცის, იქ რა ხდება?

კიდევ ვინ იცის, რა ხდება ტფილისში? ჰო, ტფილისში მტკვარია და მტკვარი იგი უთუოდ ეხლაც ბავშვივით ღრიალებს.

ნეტავ დამეძინებოდეს...

ძველად ტფილისში ვიწრო და კლაკნილი ქუჩები იყვნენ; სახლები ბრვე და თიხა-აგურით ნაგები.

ერთხელ, ნისლიან დილას, ყოველ სახლში სასწრაფოდ ემზადებოდნენ; მოხუცებს ეზოებში საბადებელი გამოჰქონდათ, ქალები ფუსფუსობდნენ და დაბინდულ თვალებში უკრთოდათ წყრომა, ხოლო ვაჟკაცებს იარაღი აესხათ.

ქვაფენილებზე გამალებით დადიოდნენ.

ჩქარა! ჩქარა!

ალაყაფიდან გამოვიდნენ მეომრები, ქუჩები აივსო და ქალებმა გააღეს ფანჯარები და აივანზე გადმოდგნენ. ამ დროს ქალაქ გარეთ, სადაც ტრიალი მინდორია და სადაც მიეშურებოდნენ ეს მხედრები, გავარდა თოფი და დაიწყო ბრძოლა დილას, ძალიან ადრე.

— მაშ კარგი! ჩვენ გვიყვარს ბრძოლა, როგორც ქალი თეთრი და მსურვალე—

დაიძრნენ. ელვარე შუბლები. მენიანი თვალები. მკერდი განიერი. ადგა მტვერი ნატერფალი და მხრებით გაჰქონდათ სახლები, ქურას რომ ორივე მხრივ შემოსწოლოდნენ. მაშინ ქალებმა და (უთუოდ ზოგიერთებმა) მეომრებს დაანახვეს ურჩად აღუებული და ვნებით სავსე მკერდი და დაჰპირდნენ მხოლოდ გამარჯვებულებს.

ქართველები იბრძოდნენ.

თუ სასიკვდილოდ დაიჭრებოდა ვინმე, ჰკოცნიდა მიწას და ჰკვდებოდა. სხვები კი იბრძოდნენ.

ეხლა იქ, ტფილისში შეშფოთებული იცდიდნენ მოხუცები, ქალები, ბალები.

ხშირად—ქუჩაში გაივლიდა მამცნე და მას მოჰქონდა ამბები ბრძოლის: დაიხლოცა ბევრი ვაჟკაცი, მაგრამ უინი უდრეკია, მხნეობა არ იღუნება. საბრძოლველად ჩამოდნენ შორიდან; ბევრი ემატება და ყველა, ვინც ბრძოლის ველისაკენ მიეშურება—მიდის ამ ვიწრო ქუჩით. მათ აქვთ შექმუხნილი წარბები და მოკუმული ბაგეები...

იქიდან მოისმის განუწყვეტელი გუგუნი და, თუ ბანზე ახვალ, დაინახავ ახსრ
დნილ კორიანტელს, სიცოცხლეს რომ იტაცებს და ბევრ გულისცემას.

ერთხელ, როდესაც დაეშვა ღამის ბინდი, გამოჩნდა მამცნე; ის მოაქენე-
ბდა გაქაფებულ ცხენს და თვითონაც გაოფლიანებული და დამტვერული იყო.
მან სთქვა:

— ამ საღამოს მტერი შემოანგრევს ქალაქის ზღუდეს. თავგანწირული ბიჭები
ძლივს ამაგრებენ მტრის მოწოლას; ძლივს ამაგრებენ, ძლივს, მეტი არ არის ვაჟკაცობა.
ამ ამბავს მე მერჩია არასოდეს არაფერი მეთქვა. თქვენ უნდა გაიხიზნოთ! ჰეი, დასტო-
ვეთ ქალაქი!—სთქვა თუ არა ეს, მამცნე გაეშურა საქმეში.

— დასტოვეთ ქალაქი!—

— დასტოვეთ ტფილისი!—

უპ, როგორ იკუმშება ნისლი. ქუჩები იკლანკება ბოღმით და გამწარებით;
პირუტყვი ღმუის. შორიდან ისევ ისმის გუგუნი.

— გაიხიზნეთ!.. რა თქმა უნდა ეხლავე. მამცნემ სთქვა: ძლივს ამაგრებენ მტერს
და როდესაც თქვენ წახვალთ, წამით დადუმდება ტფილისი და მგლოვიარე იყუჩებს;
შემდეგ იქ გაივლის დამარცხებული ჯარი მოღუნულ სიამაყით. შეიძლება ბევრი მათ-
განი დაჰრილიც იყოს ღრმად და სასიკვდილოდ. მაგრამ სულყველა მგლოვიარე იქ-
ნება, გაყინული.—

თანისთან ნელდება გუგუნი. ილევა ვაჟკაცობა, ალბად ისევენ; ან იქნებ საარა-
კო ხიფათს უმზადებენ მტერს?

არა, გაიხიზნეთ!

აჰრიალდა ურმები. ქუჩები აივსო. განაპირა უბნები იცლებო.

ეს არის ტფილისი?

არა.

დამარცხებაა ეს, დამარცხება!

ლტოლვილები გავიდენ სამშვიდობოს. ტფილისი დარჩა მარჯვნივ, მაგრამ იქ
არ არის არც ერთი სანთელი. ასეთივე ბნელი იყო და მწუხარე გაქცეულთა ბანაკი.
ბრძოლიდან გამოეშვათ მცირე რაზმი და ლტოლვილებს მიჰყვებოდა. და უცებ, მოუ-
ლოდნელად განათდა ტფილისი.

უპ!


ტფილისი იწვის...

იტიალა, იტიალა ადექით—

ჩამი-ჩუმი. ცეცხლი ჩამქრალა. ცივა. მკლავებ გაშლილი დგანან გოლიათი
ხეები. მოდის ცვარი და ამ ცვარში არეულან პაწია ჩიტები, რომელთაც ჩვენთვის
მოაქვთ რიყრაყი.

მე მინდა ამაზე ვიფიქრო, მე მინდა დავიძახო: ძმებო და მეგობრებო...—მაგრამ
არ მანსოვს საკუთარი ხმა და არ ვიცი დავიძახე თუ არა, ოსმან მოვარდა:

— შენ არ გესმის, ჩუმად!



ოსმან არ ხუმრობდა; წამით მრისხანე თვალები შემომანათა და მუქარით შეტრიალდა, ზურგი მაქცია. მას მხარზე ბასრი წალდი უელვარებდა და სმენა დაძაბული გარემოს ყურს უგდებდა. უდავოა, ოსმან-მეგზური ამ დროს სუნთქვასაც იხშობდა, რომ სმები უკეთ გაერჩია.


ის იდგა ასე დიდხანს; ბოლოს ნიშანი მოგვცა ჩუმად გვევლო და ჩვენ დავიძარით.

«ნუთუ არასოდეს არ დასრულდება ეს კლდე-ღრესა და მთებზე ბობღვა, ტყეში ბორიალი? მერე რა რიგ გვწია, როგორ მივლასლასებთ?..»

ის იყო ხმელ შტოს უცაბედად ფეხი დავადგი, დავამტვრიე და დანაშაული ვიგრძენი, რომ ჩემი სახის პირდაპირ მეგზურის წალდი აიშართა:

— ჭოვ, ხუმრობ შენ, თუ რა ირჯები? არ გესმის რუსებია, ძალები ყეფენ?— ყეფა მართლა ისმოდა. უთუოდ სანაპირო რაზმის ძალები დაძრწოდენ. საზღვარს მცირედი მანძილი-ლა გვაშორებდა.

სტეფანე კახრაძე.



რამინდრანათ ტავადე:

სახლი და ქვეყანა.

ბიძალას მოთხოვნა.

თავი I.

(თარგმანი ინგლისურით)

1.

დედავ, დღეს მაგონდება კინოვარის ნიშანი *) შენი თმების განყოფის ადგილას რომ გქონდა, სარი **) ფართო წითელ კიდევებით, რომელსაც ატარებდი ხოლმე და ის გასაკვირველი თვალები შენი, სავსენი სიღრმითა და სიწყნარით. ისინი მომეგლინენ ჩემი სიცოცხლის მგზავრობის დასაწყისში, ვით განთიადის პირველი სხივი და მომცეს მე მათ საგზლად ოქროს მარაგი.

ზეცა სინათლეს რომ იძლევა—ლურჯია, და დედაჩემის სახე იყო შავგვრემანი, მაგრამ მას სიწმინდის ბრწყინვალეობა ჰქონდა და მისი სილამაზე სიმშვენიერის ყოველივე სიამაყეს შეარცხვენდა.

ყველა ამბობს, მე დედაჩემს ვგეგვარ. ჩემს ბავშობაში მე მწყენდა ხოლმე ეს, ამიტომ მაჯავრებდა მე ჩემი სარკე; ვფიქრობდი, ეს იყო ღმერთის უსამართლობა, რომელიც ჩემს სხეულს შემოხვევოდა,—ჩემი შავგვრემანი სახე ჩემთვის არ იყო დანიშნული, მაგრამ რალაც გაუგებრობისა გამო მივიღე იგი მე. ისლა დამრჩენოდა, რომ ღმერთისათვის მეთხოვნა: გავზდილიყავ. ვით ნიმუში იმის, თუ როგორი უნდა იყოს ქალი, რომლის შესახებაც ზოგიერთ ეპიურ პოემებში ჰკითხულობ.

ოდეს ჩემი ქორწინების წინადადება მივიღე, მოგზავნილ იქნა ვარსკვლავთმრიცხველი, რომელმაც ხელისგულზე მირჩია და სთქვა: «ამ ქალს კარგი ნიშნები აქვს, იგი სამაგალითო მეუღლე იქნება»-ო.

და ყველა ქალი, ვინაც კი გაიგონა ეს, იტყოდა: «რა გასაკვირალია, იგი ხომ თავის დედასა ჰგავს.»

გავთხოვდი რაჯას ***) სახლში. ოდეს ბავში ვიყავ, კარგათ ვიცოდი მომნიბველი ზღაპრის თავადის ამბავი. მაგრამ ჩემი ქმარი სულაც არ იყო ის, რასაც საზღაპრო ქვეყანაზე ოცნება წარმოადგენს: მისი სახე იყო შავგვრემანი, თითქმის ვით ჩემი. შიშის გრძნობა, ჩემი გარეგნული სილამაზის შესახებ რომ მქონდა, ოდნავ შემიმსუბუქდა; ამავე დროს კაეშანის შეხება დარჩა, ვით მღრღნელი გულში.

*) ქვრივობის პინდური ნიშანი და ღრმა პატივისცემის სიმბოლო.

**) სარი—პინდუ ქალის ტანთსამოსი.

***) რაჯა—თავადი.



მაგრამ ოდეს გარეგნული სახე ჩვენს გრძნობათა დაყინებით გამოცდას აქვთ-
რებს და ჩვენს გულთა საკუთრთხეველში შვეა, მაშინ შეუძლია მას თავისი თავი და-
ვიწყოს. ჩემი ბავშობის გამოცდილებიდან ვიცი, თუ თავყვანება თვით როგორი სი-
ლამაზნეა. ოდეს დედაჩემი თავის სიყვარულის ხელით მზრუნველობით მოწყვეტილ
სხვა და სხვა ხილს ალაგებდა თეთრ ქვის დაფაზე, და თავის მარაოს ნაზად არხევდა
ბუზების გასაფანტად იმ დროს, როცა მამაჩემი მიიბრუნებოდა, მისი მსახურება ისახებო-
და სილამაზნეში. რომელიც მშვენიერების ყოველგვარ გარეგნულ სახეობას ჩრდილა-
ვდა. თვით ჩემს ბავშობაში მე შემძლო მისი სიძლიერე მეგრძნო. იგი იყო განყენე-
ბული, მიუწოდომელი ყოველ მსჯელობისათვის ან ეჭვისათვის, ან ანგარიშისათვის;
იგი იყო წმინდა მუსიკა.

გარკვევით მახსოვს, ჩემი ქორწინების შემდეგ, როცა დილა ადრიან ფრთხი-
ლად და ჩუმად ავდგებოდი და ჩემი ქმრის გაუღვიძებლად მის ფერხთა მტვერს *) ავი-
ლებდი, იმ წუთში დილის ვარსკვლავივით მბრწყინავ კინოვარის ნიშანს ჩემს შუბლზე
ვგრძნობდი ხოლმე.

ერთ დღეს, გაელვია და სიცილით მკითხა: «რა არის ეს, ბიმალა? რას შერები?»
არასოდეს დამავიწყდება სირცხვილი, როცა მან ჩემი საიდუმლოება გაიგო.
შეიძლება, მას ეფიქრა, მე ვცდილობდი მალულად მისი წყალობა მომეგო. მაგრამ არა,
არა! ამას წყალობასთან არაფერი საერთო ჰქონდა. ეს იყო—ქალის გული ჩემი, რომე-
ლმაც უნდა თავყვანისცეს, რათა უყვარდეს.

ჩემი მამამთილის სახლი იყო ბადიშაპის დროიდან, ძველი თავისი დიდებუ-
ლებით. ზოგი მისი ადათი იყო მოგულის და პათანის, ზოგი მისი ჩვეულება მანუსის
და პარაშარის. მაგრამ ჩემი ქმარი სრულიად ახალი დროის კაცი იყო. იგი იყო ოჯა-
ხიდან პირველი, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მიიღო მ. ა. **)
ხარისხი. მისი უფროსი ძმა სიმთვრალისაგან ქაბუკობაშივე გარდაიცვალა, და არ და-
უტოვებია მას ბავშვები. ჩემი ქმარი არა სვამს და არ ეწევა ქეიფს. ეს თავშეკავება ისე
უცხო იყო ოჯახისათვის, რომ ბევრს თითქმის უზრდელობად მიაჩნდა! მათ ეგონათ,
სიწმინდე მხოლოდ ისეთებს ჰქონდათ, ვისაც ბედი არასდროს არ გადიმებია. ასეთია
მთვარე, ლაქიანი ადგილები რომ აქვს, და არა ვარსკვლავები.

ჩემი ქმრის მშობლები დიდხანია გარდაცვლილი იყვნენ, და მისი ბებია იყო სა-
ხლის უფროსი. ჩემი ქმარი იყო მისი თვალის ჩინი, მარგალიტი მის მკერდზე. და ამი-
ტომაც ჩემს მეუღლეს ძველ ჩვეულებათა გადასალახად ბევრი დაბრკოლება არ შეხვე-
დრია. ოდეს მან ჯიღბის ასული ჩემს მასწავლებლად და ამხანაგად მოიყვანა, მიუხედა-
ვად შინ და გარედ—ყველა მასარსალე ენათაგან მის გარშემო შხამის საიდუმლოდ და-
ნთხევისა, მან მაინც თავისი გაიტანა.

ჩემმა მეუღლემ სწორედ მაშინ დაიჭირა ბაკალავრის გამოცდა და ემზადებოდა

*) ფეხთა მტვერის აღება არის ღრმა პატივისცემის ნიშანი; საყვარელის ფეხ-
ზე ხელი ნელად უნდა შეახოს და შემდეგ შუბლზე მიიღოს. ჩვეულებრივად ქალი თავის
ქმარს ასე არ უშვრება.

**) მ. ა.—ხელოვნებათა მაგისტრი.

მ.ა. ხარისხისათვის; ამიტომ უნდა დარჩენილიყო იგი კალკუტაში კოლეჯში სამეცნიერო დინოდ. თითქმის ყოველ დღე მწერდა ხოლო იგი: მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს და უბრალო სიტყვებს, მაგრამ მისი ამაყი, მრგვალი ნაწერი მომჩერებოდა სახეში, ოპ, როგორ ნაზად! მე ვინახავდი მის წერილებს სანდალხის კოლოფში ყოველ დღე და ვფენდი მათ ყვაველებით, ბალში რომ ვკრეფდი.

იმ დროს მომხიზვლელ ზღაპრის თავადი დასქვანა, ვით მთვარე რიქრაჟის სინათლეში. ჩემი ნამდვილი ქვეყნის თავადმა ჩამოაგდო იგი ჩემი გულის ტახტიდან. მე ვიყავ მისი დედოფალი. მე მქონდა საჯდომი მის გვერდით. მაგრამ ჩემი ნამდვილი სიხარული იქნებოდა, ჩემი ადგილი მის ფერხთან ყოფილიყო.

მას შემდეგ მე მივიღე განათლება და შევედი ფეხი ახალ ხანაში მისი საკუთარი ახალი ენით და ამიტომ ეს სიტყვები, მე რომ ვსწერ, მგონია სირცხვილით წითლდებიან ასე პრინციპულად გამოთქმის გამო.

ამ ახალ ცხოვრების გაცნობის გარდა, სრულიად ბუნებრივია და უნდა მცოდნოდა: როგორც ჩემს ხელთ არ იყო ქალად დავბადებულყავ, ისევე არც ქალის სიყვარულში არ არის გაცვეთილი სიტყვა თავყანების ელემენტი, რომანტიულ პოემიდან მოტანილი და რგვალი ასოებით ქალიშვილის რგველში სასოებით ჩაწერილი.

მაგრამ ჩემი მეუღლე არ მაძლევდა შემთხვევას თავყანებისათვის. ეს იყო მისი სიდიადე. ისინი არიან ლაჩრები, ვინც თავის ცოლებისაგან მოითხოვენ სრულ თავყანებას, როგორც საკუთარ უფლებას. ეს ორივესათვის დამცირებაა.

მისი სიყვარული ჩემდამი, აღსავსე სიმდიდრითა და მზრუნველობით, ჰვარავდა, სცილდებოდა ჩემი სიყვარულის შესაძლებელ საზღვრებს. ჩემი აუცილებელი სურვილი კი იყო მიმეცა მეტი, ვინემ მიმელო; ვინაიდან სიყვარული არის მოხეტიალე, რომელსაც შეუძლია შეჰკრიბოს გზის პირზე—მტვერში საუკეთესო ყვავილთა თაიგული, ვინემ დარბაზის ბროლის ვაზაშია.

ჩემს მეუღლეს არ შეეძლო სავსებით გაეწყვიტა კავშირი ძველი დროის ჩვეულებებთან, ჩვენს ოჯახში რომ ბატონობდენ. ამიტომ იყო ჩვენთვის ძნელი, როცა კი გვსურდა, დღისით ერთმანეთს შევხვედროდით^{*)}. სისწორით ვიცოდი დრო, როდესაც მას ჩემთან მოსვლა შეეძლო, და ამიტომ ჩვენ შეხვედრას სიყვარულის მზრუნველობით მზადება ჰქონდა. ეს ჰგავდა პოემის რითმას; იგი უნდა მოსულიყო მეტრის^{**)} ბილიკით.

დღის მუშაობის გათავებისა და ნაშუადღევის აბანოს მიღების შემდეგ ვიკეთებდი თმას, ვანახლებდი კინოვარის ნიშანს და ვიცვამდი ზრუნვით დატკეცილ ნაოქიან სარის; და მაშინ ვათავისუფლებდი რა ჩემს სხეულსა და გონებას ოჯახურ მოვალეობათა ფაციფუტისაგან, მივეცემოდი ხოლო, ამ განსაკუთრებულ საათში განსაკუთრებული ცერემონიით, მხოლოდ ერთ პიროვნებას. ეს დრო ყოველ დღეს, მასთან ერთად,—იყო მოკლე, მაგრამ იგი იყო დაუსრულებელი.

*) არ არის ზრდილობა ქმრისათვის ზმირად იაროს საქალებოში.

**) ლექსის ზომა.



ჩემი მეუღლე მეტყობდა ხოლმე, ქმარი და ცოლი სიყვარულში თანასწორი არიან, ვინაიდან მათ ერთი მეორესადმი თანაბარი უფლება აქვთო. მექნება როდესაც მიდავია ამაზე, მაგრამ ჩემი გული ამბობდა:

თაყვანება ნამდვილ თანასწორობას არ ეღობება გზაზე, იგი მხოლოდ მაღლა სწევს დაახლოვების დონეს. ამიტომ უმაღლესი თანასწორობით ნაბოძები სიამოვნება მუდმივი რჩება; იგი არასოდეს არ ჩამოექანება ჩვეულებრივობის უხეშ დონემდე.

ჩემო საყვარელო, შენ ღირსეულად იქცეოდი ჩემგან თაყვანებას რომ არ უცდიდი, მაგრამ შენ რომ იგი მიგელო, ჭეშმარიტ სამსახურს გამიწევდი. შენ კი მიჩვენებდი შენს სიყვარულს ჩემი მორთვით, ჩემი აღზრდით; მაძლევდი, რაც მსურდა და რაც არ მსურდა. ვხედავდი, როს შემომცქეროდი, თუ სიყვარულის რა სიღრმე იყო შენს თვალებში. მე ვიცოდი საიდუმლო ნიშანი იმ ამოღვრისა შენ რომ ჩემი სიყვარულის გამო მაღავდი. შენ გიყვარდა ჩემი ტანი, თითქოს იგი სამოთხის ყვავილი ყოფილიყოს. შენ გიყვარდა მთელი ჩემი არსება, თითქოს იგი რომელიმე იშვიათი მაღალი არსის მიერ მოცემული ყოფილიყოს.

ასეთმა გატაცებულმა თაყვანებამ მომცა სიამაყე მეფიქრა, რომ სიმდიდრე, რაც შენ ჩემს კარებთან მოიტანე, ყველა ჩემი საკუთრება იყო. მაგრამ გრძნობა ამოღების მხოლოდ აბრკოლებს ქალის სიყვარულში ნებისთი თავის მიცემის გრძნობის მოზღვავენას. თუ სადღეოდლო ტახტზე ვზივარ და მოვითხოვ მორჩილებას, მოთხოვნა საფასურით არასოდეს არ დაკმაყოფილდება.—იზრდება მხოლოდ მოთხოვნის უნაღ. არის განა ნამდვილი ბედნიერება ქალისათვის, თუ იგი ადვილად გრძნობს, რომ მას მამაკაცზე ძალა აქვს? მხოლოდ თაყვანებით სიამაყის დაძლევაში არის ქალის ხსნა.

დღეს მაგონდება თუ, როგორ აღმოხეთქა ჩვენი ბედნიერების პირველ დღეებში შურის ცეცხლმა ჩვენს ირგვლივ. ეს ბუნებრივი იყო, რადგან განა მარტო შემთხვევით და დაუმსახურებლად არ მოვხვდი მე ჩემს კარგ ბედში! მაგრამ ბედი ნებას არ იძლევა ბედნიერება მუდამ გრძელდებოდეს, თუ დღიდან დღემდე, ურიცხვ დღეთა განმავლობაში მისი პატივისცემის ვალი არ გაისტუმრე; მხოლოდ ამ გზით გახდები დაცული. ღმერთს შეუძლია მოგვცეს ჩვენ წყალობანი, მაგრამ მათი მიღებისა და შენარჩუნების უნარი ჩვენ თვითონ უნდა გავვაჩინდეს. ვაი საჩუქარს, უღირს ხელში რომ ჩავარდება!

ჩემი მეუღლის ბებია და დედა მისი სილამაზით განქთმული იყვნენ. აგრეთვე ჩემი ქვრივი რძალი იშვიათი სანახავი სილამაზისა იყო. ოდეს, რიგრიგობით, ბედმა დასტოვა ისინი განმარტოვებული, ბებია ამ თქმა დასდო, რომ იგი არ დაიქინებდა მის ერთადერთ შვილიშვილს ლამაზი ქალი შეერთო. მხოლოდ ბედნიერმა ნიშნებმა, რომლითაც ჩემი ხელისგული დაჯილდოვებული აღმოჩნდა, მომიპოვეს მე საშვალება ამ ოჯახში შესვლისა;—სხვაგვარად მე არ მექნებოდა ნება აქ ყოფილიყავ.

ამ ფუფუნების სახლში მხოლოდ რამოდენიმე ქალს მიეღო მათი პატივისცემის ჯილდო. მაგრამ მიუხედავად მათ ყოველდღიურ ცრემლთა დენისა, ღვინის ქაფს რომ ეფრქვეოდნენ და მოცეკვავე ასულთა სამაჯურების წკრიალში რომ ინთქებოდნენ, ისინი მაინც შეჩვეოდნენ ოჯახს, მოეხერხებიათ არ ჩამხჩვალიყვენ და მაღლა ეტარებით თავი რანისის სახლის ღირსებით. განა ჩემს გამო იყო, რომ ჩემი ქმარი ღვინოს



არ აკარებდა ბავეს და ქალთა სხეულის ბაზარზე ვაჟკაცობას არა ფლანგავდა? აბა, რა თილისმა ვიცოდი, რომ დამეწყნარებია მამაკაცის გიჟი და მოხეტიალე გონება? ეს იყო მხოლოდ ჩემი კარგი ბედი, სხვა არაფერი. ჩემი მაწლის ცოლი ბედმა მეტად სასტიკად დასაჯა. ჯერ კიდევ საღამოს დასაწყისი იყო მისი ზეიმი რომ ჩაჰკვდა; დარჩა მისი სილამაზის ბრწყინვალეების სინათლე, ტყვილად რომ ცარიელ დარბაზებს ავსებდა—, და იწვოდა, იწვოდა მუსიკის უთანამგზავროდ.

ჩემი მეუღლის ახალმოდობის გამო მისი რძალი ზიზღს არა ფარავდა. რა სისულელეა გქონდეს ოჯახის გემი დატვირთული დროშაქმული დიდების ყველა სიმძიმით და გაუშვა იგი ზღვაზე მარტოდმარტო ცირა—ცოლის მესაჭეობით. ზიზღის შოლტებს ხშირად ვგრძნობდი. «ქურდი, ქმრის სიყვარული რომ მოიპარა!» «მატყუარა, დამალული მის ახალმოდურ მორთულობათა უსირცხვილობაში!» მრავალფეროვანი ახალი მოდის ტანთსამოსი, რომლითაც ჩემს ქმარს უყვარდა ჩემი მორთვა, შურიან გაჯავრებას იწვევდა. «როგორ არა რცხვენია თავი დედოფალად გადააქციოს,—და ისიც მისი «სილამაზის პატრონს!»

ჩემმა მეუღლემ ყველაფერი ეს იცოდა, მაგრამ მის კეთილშობილებას საზღვარი არა ჰქონდა. იგი მეხვეწებოდა მაწლის ცოლისთვის მეპატივებია.

მახსოვს, ერთხელ ვუთხარი მას: «ქალთა სული არის ისეთა პაწია, ისეთი მახინჯი!» «ჩინეთის ქალის ფეხთა მზგავსად, მიპასუხა მან. «განა საზოგადოების წნევის ძალამ არ ჩაქუჩყა იგი ამ სიპატარავეში და სიმახინჯეში? ისინი არიან ბედის კოჭები, რომელსაც ეთამაშებიან. რაღა საკუთარი პასუხიმგებლობა უნდა ქონდეთ მათ?»

ჩემი მაწლისცოლი შემთხვევას არ უშვებდა ჩემი ქმრისაგან მიეღო ყველაფერი, რაც უნდოდა. ჩემი ქმარი ერთი წუთითაც არ ჩაფიქრდებოდა ხოლმე, თუ რამდენად სამარლიანი ან გონიერი იყო მისი თხოვნა. მაგრამ რაც მე მალშფოთებდა ეს იყო, რომ იგი ამისათვის მადლობას არ ამბობდა. მე დავპირდი ჩემს ქმარს, მე მაწლისცოლს არ გამოვედავებოდი, მაგრამ ამან უფრო გამაჯავრა მე. ვგრძნობდი სიკეთეს თავისი საზღვარი აქვს, რომელსაც თუ გადახვალ, ერთგვარად, მგონია, ადამიანს ლაჩრად გახდის. ვსთქვა მთელი სიმართლე? ხშირად მსურდა ჩემ ქმარს ჰქონებოდა მეტი ვაჟკაცობა, ყოფილიყო ნაკლებად კეთილი.

ჩემი მაწლისცოლი, ბარა რანი *) ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო და სიწმინდის პრეტენზიები არა ჰქონდა. პირიქით, მისი ლაპარაკი, ქესტი და სიცილი რაღაც გამომწვევი იყო. ახალგაზრდა ქალიშვილებიც მის გარშემო რომ თავს იყრიდნენ, საქმარისად უსირცხვილონი იყვნენ. მაგრამ არავინ იყო ესაყვედურა მისთვის,—განა ეს სახლის ჩვეულება არ იყო? მგონია, ჩემი კარგი ბედი,—რომ ასეთი უნაკლო ქმარი მყავდა, მისთვის განსაკუთრებული ტკივილი იყო. ჩემი ქმარი კი გრძნობდა უფრო მისი ბედის სიმწარეს, ვინემ მისი ხასიათის ნაკლულოვანებას.

*) ბარა—უფროსი; ჩოტა უმცროსი.

2.

ჩემს მეუღლეს ძლიერ სურდა მე პურდაპიდან *) გამოვეყვანე. ერთჯერ მე მას ვუთხარი: «რაში მჭირდება მე გარეშე ქვეყანა?» «შეიძლება გარეშე ქვეყანას სჭირდები შენ»—მიპასუხა.

«თუ გარეშე ქვეყანა აქამდე უჩემოდ მიდიოდა, აწიცი შეუძლია იაროს. მას არ სჭირდება ჩემზე დარდით მოჰკვდეს».

«დეე, დაილუბოს, რას ვეძებ! ეს არ მაწუხებს მე! მე ვფიქრობ ჩემზე!»

«ჰო, მართლა... მითხარ რამ შენს შესახებ?»

ჩემი მეუღლე სდუმდა ღიმილით.

ვიცოდი მისი ჩვეულება, და მაშინათვე პრატესტი განვუცხადე: «არა, არა! შენ. აგრე ვერ გამექცევი. სთქვი ყველაფერი პირდაპირ.»

«განა შეიძლება ოდესმე დასრულდეს სიტყვებით კამათი?»

«შეაჩერე ამოცანებით ლაპარაკი. მითხარი»...

«მე მსურს, რომ შენ იყო ჩემი, და მე ვიყო შენი უფრო სრულად გარეშე ქვეყანაში. ეს არის ჯერ ჩვენი ერთი მეორასადმი ვალი...»

«განა ჩვენს სიყვარულს აკლია რაიმე აქ, შინ?»

«აქ შენ ხარ ჩაძირული ჩემში. შენ არ იცი, თუ რა გაქვს შენ, ან რა გჭირდება შენ.»

«მე არ შემიძლია ავიტანო შენი ასეთი ლაპარაკი.»

«მე მსურდა შესულიყავი გარეშე ქვეყნის გულში და სინამდვილეს შეხვედროდი. უბრალო საოჯახო მოვალეობათა შესასრულებლად, მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში ოჯახის პირობათა სფეროში საცხოვრებლად და საოჯახო ამოცანათა დავიდარბისათვის,—შენ არა ხარ გაჩენილი. თუ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, და ვიცანით ერთმანეთი, მხოლოდ ნამდვილ ქვეყანაში იქნება ჩვენი სიყვარული მართლაც ნამდვილი.»

«თუ აქ ერთიმეორის გაცნობას რაიმე ნაკლი გვიშლის, მაშინ სათქმელი არაფერი მაქვს. მაგრამ მე პირადათ არავითარ საჭიროებას არა ვგრძნობ..»

«კარგი. თუ ეს ნაკლი მხოლოდ ჩემი მხრიდანაა, რატომ არ უნდა დამეხმარო მოგსპო იგი.»

ასეთი კამათი ხშირად მეორდება ხოლმე. ერთ დღეს მან მითხრა: «გაუმძღარი ადამიანი, თევზი როცა სურს, დაბრკოლებას არ ნედავს გამოფატროს იგი თავის საჭიროების მიხედვით; მაგრამ ადამიანი, რომელსაც უყვარს თევზი, წყალში მითი ცქერით სიამოვნებს. და თუ ეს შეუძლებელია, იგი იცდის ნაპირზე; და თუ გინდ შინ დაბრუნდეს ისე, რომ ვერც კი შეხედოს მას, იგი დამშვიდებულია მითაც, იცის: თევზი თავისუფალია. მთავარი მოგება, რასაკვირველია, ყველაზე უკეთესია; მაგრამ თუ ეს არ შეგხვდა, შემდეგი რიგის მოგებაც კარგია.»

მე არ მომწონდა ჩემი ქმრის ამ გვარი მუსაიფი, მაგრამ ეს არ არის იმის მიზეზი, რომ საქალებო არ დავსტოვე. მისი ბებია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

*) პურდაპი—ფარი, შირმა, საქალებო განყოფილება.



ჩემმა მეუღლემ ჩვენი სახლი ბებიას გემოვნების წინააღმდეგ ოთხმოცდაცხრამეტი წელიწადი წილი მეცხრამეტე საუკუნით გაავსო, მაგრამ ბებია უკმაყოფილებას არ ხადებდა. ასევე მოიქცეოდა, თუ მისი რძალი *) რაჯას სახლში საქალებს მიატოვებდა. იგი მომზადებული იყო ამისთვისაც, მაგრამ მე ეს ისე მნიშვნელოვნად არ მიმაჩნდა, რომ ამის გამო მისთვის მწუხარება მიმეყენებია. მე წავიკითხე წიგნებში, რომ ჩვენ «გალიის ჩიტებს» გვეძახიან. არ შემიძლია სხვათა მაგივრათ ვილაპარაკო, მაგრამ მე იმდენი მაქვს ჩემი ამ გალიაში, რომ მსოფლიოში მისთვის ადგილიც არ იქნებოდა, ყოველშემთხვევაში ესაა, რასაც მაშინ ვგრძნობდი.

ბებიას მოხუცებულობაში მე უფრო ძლიერ ვუყვარდი. მისი სიყვარულის მწვერვალი იყო ის ფიქრი, რომ მე ჩემს ბედის ვარსკვლავთა საიდუმლოებით შევსდებოდი ჩემი ქმრის სიყვარული შემერჩინა. განა მამაკაცთ ბუნებრივად მიდრეკილება არ აქვთ ძირს დაეცენ? არც ერთ დანარჩენ ქალებს, თუ გინდ ულამაზესთ, არ შეეძლოთ შეეჩერებიათ თავისი ქმრები, თავფეხიანად რომ იფლებოდნენ დამწველ სიღრმეში, რომელიც სუამდა და ანადგურებდა მათ. ბებიას სწამდა, რომ მე მქონდა ცეცხლის ჩამქრობი საშვალეობა, მით უფრო კარგი ოჯახის ხალხისათვის! ჰო და ასე მფარავდა მე ბებია თავის მკერდს ქვეშ და ცახცახებდა, თუ კი სულ მცირედ უგუნებოდ ვიყავი.

ბებიას არ მოსწონდა ტანთსამოსი და მორთულებანი, რომელნიც ჩემს ქმარს ჩემთვის ევროპიულ მაღაზიებიდან მოჰქონდა. მაგრამ იგი ფიქრობდა: «მამაკაცებთ უყვართ ქონდეთ რაიმე სულელური სააღერსო საგანი, რომელიც უსათუოდ ძვირი უნდა დაუჯდესთ. აზრი არ აქვს მათ მფლანგველობას ხელი შეუშალო; ისიც სასიხარულოა, თუ სრულ გაკოტრებას გადაარჩენ. რომ ჩემი ნიკილი ისე არ იყოს გატაცებული თავის ცოლის ჩაცმადანსურვით, ვინ იცის თავის ფულს ვისზე დახარჯავდა.» და ასე როდესაც ჩემთვის ახალ ტანისამოსს მოიტანდნენ, იგი ატყობინებდა ამას ჩემს ქმარს და ხარობდა ხოლმე.

ამ გვარად მოხდა, რომ მისი გემოვნებაც ნელნელ შეიცვალა. ახალი დროის გავლენამ ისე მაგრათ შებოჭა იგი, რომ საღამოებს არ კარგავდა და ინგლისურ წიგნებიდან ამოკითხულ ამბებს მათქმევინებდა.

ბებიას სიკვდილის შემდეგ, ჩემს ქმარს სურდა გავყოლოდი და მასთან მეცხოვრა კალკუტაში. მაგრამ მან ეს მე ვერ გადამაწყვეტია. განა ჩვენი სახლი არ იყო ის, რომელსაც ბებია თავის მფარველობითი მზრუნველობით უვლიდა ყველა თავის უბედურებისა და მწუხარების დროს? განა წყევაკრულვა არ მომიწევს, თუ მე დავსტოვებ მას და ქალაქში გადავალ? ეს იყო ფიქრი უკან რომ მახვეიებდა და ბებიას მიერ დაცარიელებული ადგილი საყვედურით შემომმცქეროდა. ეს კეთილშობილი მანდილოსანი შემოვიდა ამ სახლში, ოდეს იგი რვაწლის იყო და სამოცდაცხრამეტის გარდაიცვალა. მას არ ჰქონია ბედნიერი ცხოვრება. ბედი ურტყამდა ჩაქუჩით მის მკერდს, რათა თანდათან გამოერყვა იქიდან მისი უქრობელი სული. ეს დიდი სახლი განწმინდულია მისი ცრემლებით. რა უნდა გავაკეთო კალკუტას მტვერში, შორს სახლიდან?

ჩემი ქმრის აზრი იყო, გვესარგებლა კარგი შემთხვევით და დაგვეტოვებია ჩვე-

*) რძალის კარგი სახელი ჰინდუს ოჯახში პირველ მნიშვნელოვანია.



ნი მაწლის ცოლი მეურნეობის მოსაგლეღად და ამავე დროს მოგვეწყოს ჩვენს ცხოვრება უფრო ფართოდ და მრავალნაირად. მაგრამ სწორედ ეს იყო ჩემთვის მწუხარება. მა მაწლის ცოლმა გამიმწარა სიცოცხლე, იგი ვერ ითმენდა ჩემი ქმრის ბედნერებას და ამის გულისათვის იგი ჩვენ უნდა დაგვეჯილდოებინა! და რა იქნება ის დღე, როცა აქ უნდა დავბრუნდეთ? განა დავიბრუნებ მაშინ ჩემს საჯდომს სათავეში?

«რათ გინდა ეს საჯდომი?» მეტყვის მე ჩემი ქმარი. «განა არ არის სხვა უფრო ძვირფასი ნივთი ცხოვრებაში?

მამაკაცებს არა ესმით რა ასეთი საქმეების; მათ აქვთ თავისი ბუდე გარეშე ქვეყანაში; მათ ძალიან ცოტა იციან, თუ რა არის ოჯახი. ამ საქმეებში ისინი ქალის რჩევას უნდა გაჰყვნ. ასეთი იყო ჩემი ფიქრი იმ დროს.

გვრძნოდი, რომ შენი უფლებებისათვის ფეხზე უნდა დადგე. წახვიდე და ყველაფერი მტერს მისცე ხელში, ეს იქნებოდა დამარცხების აღიარება და მეტი არაფერი.

მაგრამ რატომ არ მაიძულა მე ჩემმა ქმარმა მასთან ერთად კალკუტაში წავსულიყავ? ვიცი ამის მიზეზი. მან არ ისარგებლა თავისი ძალით, სწორედ იმიტომ, რომ იგი მას ჰქონდა.

3.

რომ ვვალებოდეს ვინმეს თანდათან ამოავსოს უფსკრული ღღისა და ღამის შორის, მას მოუნდებოდა საუკუნოები. მაგრამ აი, მზე ამოდის და ბნელი განიფანტა,— ეს წუთი საკმარისია რომ გადალახო დაუსრულებლობის მანძილი.

ბენგალში დაიწყო ერთ დღეს სვადეშის^{*)} ახალი ხანა; მაგრამ როგორ მოხდა იგი, დანამდვილებით არაფერი ვიცოდით. აქ არ იყო თანდათანობა გადასვლის, რომელიც წარსულს აწმყოსთან აკავშირებს. ამიტომ წარმოვიდგინე, რომ ახალი ხანა შემოიჭრა, ვით მდინარე, რომელიც ამსხვრევდა ზღუდეთ და იტაცებდა ყველა ჩვენ სიბრძნეს და მეშინოდა მისი. ჩვენ დროც არა გვქონდა გვეფიქრა მაზე, ან გავვეგო, თუ რა მოხდა, ან რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

ჩემი გონება და გრძნობა, ჩემი იმედები და სურვილები გაწითლდნ ამ ახალი ხანის ვნებით. თუმცა აქამდე სახლის კედლები—ჩემი გონებისათვის მსოფლიოს საზღვრები რომ იყვნ, დაურღვეველი დარჩენ, მე მაინც მათ ზემოდან გადავსცქეროდი სივრცეში და გავიგონე ჰორიზონტიდან ხმა, რომლის აზრი ჩემთვის ნათელი არ იყო, მაგრამ ძახილი იგი ჩემს გულს მოხვდა.

მას შემდეგ რაც ჩემი ქმარი სტუდენტი გახდა, იგი სცილობდა დამზადებით ჩვენს საკუთარ მხარეში ყველაფერი, რაც ხალხს სჭირდებოდა. ჩვენში მრავალი ფინიკის ხეა. იგი ცდილობდა გავერცხლებია წვენი გამოსაწური და შაქრის გასაკეთებელი მანქანა. გავიგონე, ეს იყო დიდი გამარჯვება, მხოლოდ მან გამოსწურა მეტი ფული, ვინემ წვენი. ცოტა ხნის შემდეგ, იგი დარწმუნდა, რომ ჩვენი ცდა ჩვენი მრეწველობის

*) ნაციონალური მოძრაობა ინდოეთში, რომლის მიზანი უფრო ეკონომიურია, ვინემ პოლიტიკური; მისი მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.



გამოცოცხლების შესახებ წარმატებით არ წავიდოდა, თუ საკუთარი ბანკი არ გვეხმარებოდა. ამ დროს იგი სცდილობდა ჩემთვის პოლიტიკური ეკონომია ესწავლებინა. იყო დიდი ბედენა, მაგრამ ამას გარდა, მან აიღო თავის თავზე სოფლებში გავრცელებია მომჭირნეობის იდეა, რათა ბანკისათვის ნიადაგი მოემზადებია; და შემდეგ მართლაც მოაწყო პატარა ბანკი, რომლის მაღალმა სარგებელმა მიიზიდა ჩვენი სოფლელები, რომელნიც თავის ფულს სიხარულით იქ სდებდენ, მაგრამ მალე ამავე სარგებელმა დალუპა იგი.

ჩვენი მამულის ძველი მსახურნი აღელდენ და შეშინდენ. მტრის ბანაკში წვიმი იყო. მთელი ოჯახიდან მხოლოდ ბებია ჩემი დარჩა შეურყეველი. იგი მკიცხავდა მე და იტყუა: «რატომ აწვალე მას ყველა ასე? მამულის ბედი გაწუხებთ? რამდენჯერ მიწახვას, რომ ჩვენი მამული საჯაროდ გაყიდვის წინ იდგა! განა მამაკაცები დედაკაცების მზგავსნი არიან? მამაკაცები მფლანგველებათ არიან დაბადებული და იციან მხოლოდ უთავბოლო ხარჯვა. შენე ბავშო, ბედნიერად ჩასთვალე თავი, რომ შენი ქმარი თავის თავსაც არ ფლანგავს!..»

ჩემი ქმრის წყალობათა სია გრძელი იყო. იგი უკანასკნელ შეძლებამდე ვმარებოდა ყველას, ვისაც სურდა გამოეგონებია ახალი საფეიქრო დაზგა ან ბრინჯის გასაფცქვნიელი მანქანა. მაგრამ ყველაზე უფრო მე ის მწყინდა, რომ სანდიბ ბაბუ სვადემის მუშაობის საბაბით მისგან ბევრს ფულს ღებულობდა. თუ მას უნდოდა გამოეცა გაზეთი, ან წასულიყო საქადაგებლად, ან გამოეცვალა პაერი მისი ექიმის რჩევით, ჩემი ქმარი მას დაუკითხავად ფულს აძლევდა. და ეს იმას გარდა, რასაც თვიურად და რეგულიარულად სანდიბ ბაბუ მისგან ღებულობდა. გასაკვირველი კიდევ ის იყო, რომ ჩემი ქმარი და სანდიბ ბაბუ აზრებში ერთმანეთს არ ეთანხმებოდენ.

როგორც კი სვადემის ნაკადული ჩემს სისხლშიც ათამაშდა, ქმარს ვუთხარი: «მე უნდა დავსწვა ყველა ჩემი უცხო ტანისამოსი».

«რატომ უნდა დასწვა?» სთქვა მან. «შენ შეგიძლია, რამდენხანსაც გსურს, არ ატარო.»

«რამდენ ხანსაც გსურს! არასოდეს მთელს ჩემს სიცოცხლეში...»

«კარგი, მაშ ნუ ატარებ მათ შენს სიცოცხლეში. მაგრამ რატომ უნდა გავმართოთ ჰიაკოკონა?»

«გსურს ჩემს გადაწყვეტილებას ხელი შეუშალო?»

«რაც მსურს გითხრა, შემდეგია: რატომ არ შეეცდები შექმნა რაიმე? შენ არ უნდა გაჰფანტო შენი ენერგიის არც მეთედი ნაწილი ამ დამარღვეველ აღელვებაში.»

«ასეთი აღელვება ჩვენ მოვცემს ენერგიას რომ ავაშენოთ.»

«ეს იმას ჰგავს რომ სთქვა: სახლის განათება შეიძლება მაშინ, თუ მას ცეცხლს წაუკიდებ.»

მერმე დაიწყო კიდევ ახალი მღელვარება. როდესაც ჯილბის ქალი ჩვენთან პირველად მოვიდა, დიდი აღელვება მოხდა. შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა მას ყველა შეეჩვია. ახლა კი ყველაფერი ისევ აირდაირია. უწინ თავი არ ამიტკენია, თუ ვინ იყო ჯილბის ქალი: ევროპიელი თუ ინდოელი, მაგრამ ეხლა კი. ჩემს ქმარს ვუთხარი:

«ჩვენ უნდა მოვიშოროთ ჯილბის ასული.»

იგი გამიჩუმდა.

მე ცხარედ ველაპარაკე ამაზე, და იგი წავიდა დაღონებული.

ცოტა ტირილის შემდეგ, გადავსწყვიტე საუკეთესო დრო შემერჩია, ღამით, როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდებოდით. «მე არ შემძლია», სთქვა ჩემმა ქმარმა, «ჯილბის ასული განვიხილო განყენებულად, სწორედ იმიტომ, რომ იგი ინგლისელია. განა ამდენი ხნის ნაცნობობის შემდეგ არ შეგიძლია მისი გვარი დაივიწყო? არ შეგიძლია წარმოიდგინო, რომ მას შენ ძლიერ უყვარხარ?»

მე ცოტა შემრცხვა და ერთგვარი სიმკაცრითაც ვუბასუხე: «დეე, დარჩეს. მაინც და მაინც კი არა მსურს იგი წავიდეს»

და ჯილბის ასული დარჩა.

მაგრამ ერთ დღეს გავიგე, რომ მას ეკლესიის გზაზე ერთმა ახალგაზრდამ შეურაცყოფა მიაყენა. ეს იყო ის ბიჭი, ჩვენ რომ ვეხმარებოდით. ჩემმა ქმარმა სახლიდან გააძევა იგი. არ იყო იმ დღეს არც ერთი სულიერი, რომ ჩემი ქმრისათვის ეს ამბავი ეპატივებია,—არც მე თვითონ. ჯილბის ასულმა თვით დაგვტოვა ჩვენ. ოდეს იგი გამოსათხოვრად მოვიდა, ცრემლებით სავსე თვალები ჰქონდა, მაგრამ მე ამას არ მოვუღივივარე. პატარა ბიჭუნას ასე დასჯა და ისეთი კარგი ბიჭუნასი! იგი დაივიწყებს თავის ყოველდღიურ აბანოსა და საჭმელს სვადეშის ალტყინებაში!

ჩემმა ქმარმა თავისი ეტლით გააცილა ჯილბის ასული რკინის გზის სადგურამდე, მჯეროდა, მან შორს შესტოპა. და როდესაც გადაჭარბებული ამბავი საზოგადოებრივ სკანდალად გადაიქცა და გაზეთების ფურცლებზეც გადავიდა, ვფიქრობდი, მან ეს დაიმსახურა.

ჩემი ქმრის საქციელი სშირად მალეღებდა, მაგრამ უწინ არასოდეს მის გამო არა მრცხვენოდა; ესლა კი ვწითლდებიქ დანამდვილებით არ ვიცი და არც მიკითხავს. ჯილბის ასოლისათვის საბრალო ნორენს რა შეურაცყოფის მიყენება შეეძლო, მაგრამ ის აზრი, რომ იგი ასეთ დროს ასე დასაჯეს! მე არ შეგანვლებდი მის ალტყინებას! ახალგაზდა ნორენმა ინგლისელი ქალი სიტყვებით გამოიწვია. მე არ შემეძლო არ მეფიქრა, ეს ჩემი ქმრის ლაჩრობის ნიშანი იყო, რომ იგი უბრალო რამეებს ველარ ხვდებოდა, და ამიტომ ვწითლდებოდი მისთვის.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ჩემმა ქმარმა უარი სთქვა სვადეშისათვის მხარი დაეჭირა ან მის წინააღმდეგ ემოქმენდა. მას არ შეეძლო მხოლოდ მიეღო მთელი გულით და სულით ბანდე მატარამი. *)

«მე მსურს». სთქვა მან, «ჩემს სამშობლოს ვემსახურო. მაგრამ თაყვანისცემას მე ვინახავ უფლებისათვის, რომელიც უფრო დიდია, ვინემ ჩემი სამშობლო. ჩემს ქვეყანას, როგორც ღმერთს თაყვანი ვსცე, ნიშნავს, წყევლა-კრულვა დავატენო მას თავზე.»

*) წმინდაო დედა: ამ სიტყვებით იწყება ბანკიმ ჩატერჯის, ცნობილ ბენგალელ ნოველისტის გალობა. ეს გალობა გადაიქცა ეროვნულ ანათემად, და ბანდე მატარამი ეროვნულ ძახილად სვადეშის მოძრაობის დაწყების დღიდან.

ეს ის დრო იყო, როდესაც სანდიბ ბაბუ თავისი მიმდევრებით ჩვენს მხარეში საქადაგებლად მოვიდა.

ჩვენი ტაძრის პავილიონში დიდი ყრილობა უნდა გამართულიყო. ჩვენ ქალე-ბი ერთ მხარეზე შირმის უკან მოფარებული ვიყავით. ბანდე მატარამ! —საჩემოა ყი-ყინა თანდათანობით გვიასლოვდებოდა: და მე ურქოლამ ამიტანა, მათკენ მიიწევდა გული ჩემი! უცბად ეზოში შემოიპრენ-ოხრასავით წითელ ასკეტურ ტურბანში ჩაცმუ-ლი, ფეხშიშველ ბავშვა ბრბოები, ეს მაგონებდა წვიმის ატეხის გამო წითლად ამღრე-ულ მდინარის შეჭრას დამშრალ კალაპოტში. მთელი ადგილი ურიცხვი ხალხით გაი-ჭედა და სანდიბ ბაბუ მოჰყავდათ ამაღლებულ სავარძელით, რომელიც ათ ან თორ-მეტ ჭბაბუკს მხარეზე ქონდა გადებული.

ბანდე მატარამ! ბანდე მატარამ! დედაო წმინდა!


ასე მეგონა, ცა დაემხო და ათას ნაკუწად განიბნევათქო.

უწინ მინახავს სანდიბ ბაბუს სურათი; მის სახეში იყო ისეთი რამ, რაც მე სასვებით არ მომწონდა. ის კი არაა, რომ იგი მახინჯი ყოფილიყო, სრულიადაც არა: მას ჰქონდა ბრწყინვალედ მშვენიერი სახე. მაგრამ, არ ვიცი რატომ მეგონა, ყველა ამ ბრწყინვალეების მიუხედავად, მასში არა კეთილშობილი რამ ეტყობოდა. მის თვალთა შუქი რაღაც არა მართლად გამოიყურებოდა. და აი რატომ არ მომწონდა, როდესაც ჩემი ქმარი ყველა მის მოთხოვნას განუკითხავად აკმაყოფილებდა. ფულის ფლანგვა კიდევ შემეძლო ამეტანა; მაგრამ მაწუხებდა ის ფიქრი, რომ იგი ჩემი ქმრის მეგობრობით სარგებლობდა, და შეიძლება ატყუებდა კიდევ. სანდიბ ბაბუ არამც თუ ასკეტს არა ჰგვანდა, არამედ არც საშუალო ქონების ადამიანს, იგი უფრო პრანჟია იყო. მგონია, მას ფუფუნების სიყვარული... მრავალი ასეთი ფიქრი დამტრიალებდა იმ დღეს, მაგრამ თავი დავანებოთ.

როდესაც ნაშუადღევს სანდიბ ბაბუმ თავისი სიტყვა დაიწყო, და ხალხის გუ-ლი დაიპყრო, როცა ყველას გული ატოკდა მისი სიტყვებით, თითქმის ყველა ჯაჭვე-ბის დამსხვრევას ეპირებოდა,—მე მაშინ ვიხილე იგი საკვირვლად გამოცვლილი. გან-საკუთრებით, როდესაც მის სახეს უცბად დაეცა პავილიონს იქით ნელად ჩამავალი მზის სხივი, იგი მომეჩვენა მე ვით ღმერთებისაგან მოვლენილი, მათი შიკრიკი მომაკვ-დავ მამა-და-დედაკაცთათვის.

მისი სიტყვის დასაწყისიდან დასრულებამდე, ყოველი მისი თქმა იყო გრიგა-ლისებური აღმოხეტქვა. არ ჰქონდა საზღვარი მის იმედთა რწმენას. არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ მოუთმენელმა გამოვყავ თავი და მივაცქერდი მას. არავინ იყო მთელ ამ ხალხში ისეთი, რომ ჩემი ქცევა შეემჩნია. შევნიშნე, მისმა თვალებმა მხოლოდ ერთ-ჯერ, როგორც საბედისწერო ორიონის ვარსკვლავებმა, სახსედ ჩემს სახეზე გაიღვეს.

მე ჩემი თავი აღარ მახსოვდა. მე მეტად აღარ ვიყავ რაჯას სახლის მანდილო-სანი, არამედ უბრალო ბენგალიის ქალთა წარმომადგენელი. და იგი იყო ბენგალიის ფალავანი. და როგორც ზეცამ გამოსახა მასზე ნათელი, ისე უნდა მიეღო მას ქალის წყალობა-კურთხევაცა...



და ოდეს მან დაიჭირა ჩემი შეხედვა, ცხადი იქმნა ჩემთვის, რომ მის სიტყვებში ცეცხლი აკოცონდებოდა. ინდრას*) რაში არ ემორჩილებოდა ლაგამს და ღივი იღობს დასტუქვა მესმა. ჩემ თავს ვუთხარ: მისმა ენამ ჩემ თვალთა ცეცხლი მოიტაცა; ჩვენ ქალები ხომ არა მარტო სახლის კერის ცეცხლი ვართ, არამედ თვით სულის ალიც.

იმ საღამოს მბრწყინავი ახალი სიამაყითა და სიხარულით დავბრუნდი შინ. ქარიშხალმა ჩემში დაგლიჯა ყველაფერი. ძველ საბერძნეთის ასულსავით მსურდა ჩემი გრძელი, სხივოსანი ნაწნავები მომეჭრა ჩემი გმირის შვილდისარისათვის. ჩემი გარე სამკაულები რომ ჩემს შინაგან გრძნობებთან დაკავშირებული ყოფილიყვენ, მაშინ ჩემი ყელის ძეწკვი, ჩემი სამკაველები, ჩემი სამაჯურები დასწყვეტდნენ თავის შესაბნევს და ყრილობას თავს გადაეგლებოდნენ, ვით კუდიანი ვარსკვლავები. და მე ვგრძნობდი, რომ მხოლოდ პირად მსხვერპლს შეეძლო ეშველა ჩემთვის ჩემი აღლევების ფორიაქი აეტანა.

როდესაც ჩემი ქმარი მოგვიანებით შინ დაბრუნდა, მე ვცახცახებდი შიშისაგან, რომ არ ეთქვა მას რაიმე ისეთი, რაც ძლევამოსილ ჰანგს ჩემს ყურებში რომ გალობდა, არ შეეფერებოდა, ან სიმართლისათვის მის თავდავიწყებას არ გამოეთქვა იმის გაკიცხვა, რაც დღეს ნაშუადღევს თქმულ იყო; ვინაიდან მე აშკარად უნდა გამომეწვია იგი და შეურაცხება მიმეყენებია. მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს... მე რომ არ მომეწონებოდა.

ნეტავ მას ეთქვა: «სანდიპმა მომარჯულა. ეხლა წარმომიდგენია, თუ ამ ხნის განმავლობაში რამდენი შეცდომა ჩამიდენია».

მაგრამ ვგრძნობდი, იგი მტრულად ჩუმი იყო; იგი ჯიუტად უარს ამბობდა აღფრთოვანებული ყოფილიყო. მე ვკითხე, სანდიპ ბაბუ ჩვენთან რამდენ ხანს დარჩებოდა.

«იგი ხვალ გამთენიას რანგპურში მიდის», მიპასუხა მან.

«ხვალ უნდა წავიდეს?»

«დიახ, იგი დაპირებულია ხვალ იქ სიტყვა წარმოსთქვას.»

ცოტა ხანს ჩუმად ვიყავ და მერმე ვკითხე:

«არ შეუძლია მას ერთი დღე მეტი დარჩეს?»

«ეს ძნელად შესაძლებელია, მაგრამ რისთვის?»

«მსურს მოვიწვიო იგი სადილად და დავესწრო მე თვითონ.»

ჩემს ქმარს გაუკვირდა. იგი ხშირად მთხოვდა დავსწრებოდი სადილს, როდესაც მას სტუმრად მისი ახლო მეგობრები ჰყავდა, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ მაჯერებდა. მან საკვირვლად შემომხედა, სიჩუმით; სავსებით ვერ გავიგე მისი ცქერა.

სირცხვილის გრძობამ უცბად დამიპყრო.

«არა, არა», წამოვიძახე, «ეს არ იქნება!»

«რატომ არა!» მითხრა მან. «მე თვითონ ვთხოვ მას, და თუ ეს შესაძლებელია, იგი ხვალისთვის უსათუოდ დარჩება».

ეს სავსებით შესაძლებელი შეიქნა.

*) ჰინდუს მითოლოგიის იუპიტერ პლუვიუსი.

უნდა სრული სიმართლე ვსთქვა. იმ დღეს მე ჩემს შემქმნელს ვუსაყვედურებდი, რადგან მან მე შეუღარებლად ლამაზი არ გამაჩინა,—არა იმიტომ რომ ვინმეს გული წარმეღო, არამედ იმიტომ, რომ სილამაზე—დიდებაა! ამ დიად დღეებში ჩვენი ქვეყნის მამაკაცებმა თავისი ღმერთები ქალში უნდა განახორციელონ. მაგრამ, ეკ, მამაკაცთა თვალეები ვერ სცნობენ ღმერთ ქალს, თუ გარეგნული სილამაზე აკლია. იხილავს სანდიბ ბაბუ დედა-სამშობლოს შაკტის*) განხორციელებას ჩემში? ან იქნებ მიმიღებს იგი უბრალოდ, როგორც ჩვეულებრივს, შინაურ ქალს?

იმ დილას ჩემს გამლილ თმას სურნელება ვაპკურე და მსუბუქ რგოლად გავნასკვე, შევკარი კოხტად ჩართული შინდისფერი ატლასის ლენტით... სუფრა უნდა გაშალონ შუადლისას, და დრო არა მქონდა აბანოს შემდეგ თმები გამეშრო, ჩვეულებრივ დამეწნა. ჩავიცვი ოქრო-მოყვლებული თეთრი სარი და მოკლე სახელოიანი მუსლინის მოსასხამი, აგრეთვე ოქრო-მოვლებული.

ვგრძნობდი, ჩემი ტანსამოსი ერდგვარად სადა იყო და ამ სადაზე უკეთესი რა არის! მაგრამ ჩემი მახლის ცოლი, რომელიც შემთხვევით შემეყარა, გაქვავდა ჩემს წინ, ამათვლიერ-ჩამათვლიერა და მოკუმშულ ბაგეზე გამოსახა მნიშვნელოვანი ღიმილი. როცა მიზეზი ვკითხე, მითხრა: «განცვიფრებული ვარ შენი მორთულობით!»

«რაა მერე აქ გასაციფრებელი?» შევეკითხე საკმაო მობეზრებულად.

«დიდებულია»,—სთქვა მან. «ესლა ვფიქრობდი, რომ ერთი ინგლისური მოკლედ გამოჭრილი ლიფი მას კიდევ უფრო უკეთესს გახდიდა!» მგონია, არა მარტო მისი ბაგე და თვალეები, არამედ მთელი მისი სხეული ინძრეოდა დახუთული სიცილით, როდესაც მან ოთახი დასტოვა.

საშინელი ჯავრი მომივიდა, და მინდოდა ყველაფერი გამომეცვალა, ჩემი ყოველდღიური ტანსამოსი ჩამეცვა. მაგრამ არ შემიძლია დანამდილებით ვსთქვა, თუ ჩემს გულისტქმას რატომ არ ავყევი. ქალები არიან საზოგადოების სამკაულები,—ასე ვმსჯელობდი მე ჩემთვის,—და ჩემს ქმარს არ მოეწონება, რომ მე სანდიბ ბაბუსთან უვარგის ტანსამოსით გავიდე.

ჩემი აზრი იყო გავსულიყავ, როდესაც ისინი უკვე სადილად დასდებოდნენ. სადილის დაწყების ფაცაფუცში და განკარგულებებში ჩემი პირველი უხერხულობა შეუმჩნევლად გაივლიდა. მაგრამ სადილი თავის დროზე მზად არ იყო და უკვე გვიანი ხდებოდა. ამავე დროს ქმარმა მომიხსოვა რომ სტუმრისათვის წარვედგინე.

საშინლათ მემორცხვებოდა სანდიბ ბაბუსათვის სახეში შეხედვა. მაინც საკმად დავიკავე ჩემი თავი ხელში და ვსთქვი: «სამწუხაროა, სადილი გიგვიანდებათ».

იგი თამამად მოვიდა, და ამ პასუხით ჩამოჯდა ჩემს გვერდით: «სადილს ყოველდღე გეახლებით, მაგრამ სიუხვის ღმერთ-ქალი არ მიხილავს. ესლა, ოდეს იგი ღმერთ-ქალი თვით გამოჩნდა, რა მნიშვნელობა აქვს, თუ სადილი გვიანდება».

იგი იყო სწორედ ისეთივე ენერგიული თავის ქცევაში, როგორც საჯარო სიტყვის დროს. იგი არც ქოქმანობდა და სჩანს მიჩვეული იყო მიუწვევლად აერჩია დასა-

*) შაკტი—განსაკუთრებული ღვთიური ძალა, რომელიც წარმოდგენილი იყო ღმერთ-ქალად.



ჯდომი, სადაც მოეპრიანებოდა. იგი ისეთი ნდობით მოითხოვდა ინტიმობის უფლებას, რომ სირცხვილს სჯამდა, თუ ვინმე ამის გამო დავას დაიწყებდა.

საშინლად დამფრთხალი ვიყავი, მეშინოდა სანდიბს არ ეფიქრა, რომ მე ძველებური, ქარაფშუტა ქალი ვარ. მაგრამ გამისკდეს მიწა, ვერ შევსძელი მკვეთრი სიტყვა, მას რომ მოხიბლავდა ან გააცვიფრებდა. გაჯავრებულ-გაკვირვებული ვიყავი, «რა ეშმაკები დაემართა, მის წინ რომ ასე სულელურად ვგრძნობ თავს».

როდესაც სადილი გაათავეს, ის-ის იყო უნდა წავსულიყავ, რომ სანდიბ ბაბუ, ისე, როგორც ყოველთვის, თამამად, წინ გადამიდგა.

«თქვენ მსუნაგად არ ჩამთვალათ მე.» მითხრა მან. «ეს იყო არა-სადილი მე რომ დამტოვა, ეს იყო თქვენი მოწვევა. და თქვენ რომ ესლა გაიქცეთ, ეს თქვენი მხრით სტუმრისადმი სამართლიანი მოპყრობა არ იქნებოდა.»

მას რომ ეს სიტყვები უღარდელი იოლობით არ ეთქვა, მეტათ შეუფერებელი იქნებოდა. მაგრამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი იყო ისეთი დიდი მეგობარი ჩემი ქმრის, რომ მე მას დათ ვერგებოდი.

სანამ ჩემში იყო ბრძოლა ავცურებელიყავ თუ არა, ინტიმობის ამ უმაღლეს მწვერვალამდე, ჩემი ქმარი მომეშველა სახსნელად და სთქვა:

- «რატომ არ უნდა დაბრუნდე, როდესაც შენ ისაიღებ?»
- «მაგრამ სანამ წახვიდოდეთ», მითხრა სანდიბ ბაბუმ, «სიტყვა უნდა მოგვცეთ.»
- «დავბრუნდები», გუპასუხე ღიმილით.

«ნება მიბოძეთ მოგახსენოთ», განაგრძობდა სანდიბ ბაბუ, «რატომ ვერ გენდობით. ცხრა წელიწადია, რაც ნიკილი დაქორწინებულია და ამ ხნის განმავლობაში თქვენ მერიდებოდით. თუ თქვენ ამას მეორე ცხრა წელიწადს განაგრძობთ, მაშინ ჩვენ ერთმანეთს ვერასოდეს ვერ შევხვდებით.»

მივხვდი ამ შენიშვნის აზრს და საპასუხოდ ხმას დავუწვიე: «რატომაც არ უნდა შევხვდეთ?»

— «ჩემი პოროსკოპი მეუბნება, რომ მე ადრე მოგვკვდები. ჩემს წინაპართა შორის არც ერთი ოცდაათ წელს არ გადასცილებია. ესლა კი მე ოცდაშვიდისა ვარ.»

მან იცოდა ეს ჩემზე იმოქმედებდა. იმ დროს ჩემს დაბალ ხმაში უნდა ყოფილიყო მწუხარების თანამოზიარობა, ოდეს ვუთხარი: «მთელი ქვეყნის ლოცვა-კურთხევა მწამს, ვარსკვლავთა ბოროტ გავლენას აგაშორებს.»

«მაშინ ქვეყნის ლოცვა-კურთხევა მის ღმერთ-ქალის მიერ უნდა ითქმოდეს. ეს არის ჩემი ზრუნვის მიზეზი, მაგრამ თქვენ, უსათუოდ მინდა დაბრუნდეთ, რათა ჩემ თილისმას დღეიდანვე მოქმედების დაწყება შეეძლოს.»

სანდიბ ბაბუ ისეთი სიჩქარით ეხებოდა საკითხებს, რომ მე საკადრისი პასუხის შემთხვევაც ვერ ვიპოვე, მაშინ როცა ასეთი ლაპარაკის ნებას სხვას არ მიცემდო.

«ამგვარად», დაასრულა მან სიცილით, «სანამ თქვენ დაბრუნდებოდეთ, თქვენ ქმარს აქ მივვლად დავიტოვებ.»

როდესაც უკვე მივდიოდი, მან წამოიძახა: «შეიძლება მცირე რამესათვის შევაწუხოთ?»

მე შევკრთი და მოვიხედე.



«ნუ შეშინდებით», მითხრა მან. «ეს არის მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი; თქვენ შეიძლება შენიშნეთ, რომ სადილზე ერთი წვეთი წყალი არ დამიღვებია. მე ვსვამ მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ.»

მე ამის შესახებ ინტერესი უნდა გამომეჩინა და მიზეზი მეკითხა. მან დაიწყო მისი დისპეპსიის ამბავი. მოჰყვა, თუ შვიდი თვის განმავლობაში რამდენი ტანჯვა გამოიარა, და ჩვეულებრივ უსიამოვნო ექიმობის კურსის შემდეგ, რომელიც სხვადასხვა ალერგიატიურ და კომოლოგიატიურ უბედურებებს შეიცავდა, როგორც მიაღწია საკვირველ შედეგებს ადგილობრივი მეთოდებით.

«თქვენ იცით» დაუმატა მან სიცილით, «ღმერთმა ააგო თვით ჩემი სისუსტე ისე, რომ იგი ქედს მოიხრის მხოლოდ სვადეშის აბების წინაშე.»

ჩემმა ქმარმა აქ დაარღვია თავისი სიჩუმე. «თქვენ უნდა გამოტყდეთ», სთქვა მან, «რომ თქვენთვის უცხოელ წამლებს ისეთივე მიმზიდველობა აქვს, როგორც მიწას მეტეორებისათვის? თქვენ სამი თალი გაქვთ სავსე»...

სანდიბ ბაბუმ გააწყვეტინა: «თქვენ იცით წამლები რა არის?—ესაა დამსჯელი პოლიცია. იგი მოდის არა იმიტომ, რომ საჭიროა, არამედ იმიტომ, რომ თავს მოგვახვია ამ ახალი დროის წესრიგმა, რომელიც ხარკს ჰკრებს და ზარალს გვაყენებს».

ჩემს ქმარს არ შეუძლია გადამეტების ატანა და ვხედავდი ეს მას არ მოსწონდა. მაგრამ ყოველი სამკაული გადამეტება. იგი გაკეთებულა არა ღვთის მიერ, არამედ ადამიანისაგან. მახსოვს, ერთხელ რაღაც არამართალში თავს ვიცავდი და ჩემს ქმარს ვუთხარი: «მხოლოდ მცენარეები, მხეცები და ფრინველები ამბობენ სრულ სიმართლეს, ვინაიდან ამ საწყალ არსებათ მოგონების ნიჭი არ აქვთ. ამაში ადამიანები დაბალ არსებასთან შედარებით დიდ უპირატესობას გვიჩვენებენ, და დედაკაცები მამაკაცებს კიდევ სჯობნიან. არც ზედმეტი სამკაული და არც ზედმეტი სიცრუე დედაკაცებისათვის შეუფერებელი არ არის».

როდესაც გარედ გამოვედი, საქალებოხსაკენ მიმავალ დერეფანში ვნახე ჩემი რძალი; იგი ახლო იდგა ფანჯარასთან, რომელიც მისაღებ ოთახს გასცქეროდა და ვენციურ დარბაზში იჭრებოდა.

«შენ, აქ?» შევეკითხე გაკვირვებულმა.

«ყურს გიგდებდით!» მიპასუხა.

5.

როდესაც უკან დავბრუნდი, სანდიბ ბაბუმ ნაზად მოიბოდიშა. «ვწუხვარ, მაღა გავიფუჭეთ», მითხრა მან.

საშინლად შემრცხვა. მართლაც, უზრდელად ჩქარა გავათავე ჩემი სადილი. სულ მცირე ანგარიში იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ მე თითქმის არაფერი მიჭამია. მაგრამ ვერც კი წარმომედგინა, რომ ვინმე ასეთი ანგარიშის ინტერესს გამოიჩინა.

მგონია, სანდიბ ბაბუმ შეამჩნია ჩემში სირცხვილის გრძობა, და ამან კიდევ უფრო დამარცხვინა. «დარწმუნებული ვიყავი», მითხრა მან, «თქვენი გულისთქმა იყო გაქცეულიყავით, ვით მარდი ირემი, ამიტომ დიდი წყალობაა, რომ თავი შეიწუხეთ და თქვენი დაპირება შეასრულეთ».



შესაფერი პასუხი ვერ მოვისაზრე და უხერხულობით გაწითლებული საცობლის კუთხეში ჩავჯექი. სრულიად დამეკარგა მხნეობა. უწინ ჩემი თავი ისე მეჩვენებოდა, თითქოს თვით ვიყავი ქალობის შაკტი სორცმესხმული, და თვით ჩემი დიდებული, უმორცხვო და უბრალო ქცევით სანდიბ ბაბუს ვაგვირგვინებდი.

სანდიბ ბაბუმ განძრახ ჩემ ქმართან კამათი დაიწყო. მან იცოდა, მისი მკვირცხლი გონება, დავაში ბრწყინვალე იქნებოდა. შემდეგ ხშირად ვამჩნევდი, არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა სიტყვიერი ბრძოლა არ გაემართა, თუ მე იქ ვიყავი.

იგი კარგად იცნობდა ჩემი ქმრის შეხედულებას ბანდე მატარამის კულტის შესახებ, და გამოსაწვევად დაიწყო: «მაშასადამე, შენ არ ხარ იმის მომხრე, რომ პატრიოტულ ქადაგებაში ხალხის გრძნობებზედაც აგრეთვე გავლენა მოვახდინოთ?»

«მგონია კი, მაგრამ ყველაფერი მართლ ამაზე არ უნდა აშენდეს. მე მსურს ვიცნობდე ჩემი ქვეყნის სრულ სინამდვილეს, ისეთს, როგორც ის არის, და ამიტომ კიდევ მეშინია და კიდევ მრცხვენია დამაბრმავებელი პატრიოტული სიტყვებით ვისარგებლოთ.»

— «შენ რასაც დამაბრმავებელ სიტყვებს ეძახი, მე მას სიმარლეს ვუწოდებ. მე მართლაც მრწამს, ჩემი ქვეყანა—ჩემი ღმერთია. მე კაცობრიობას თაყვანსცემ. ღმერთი ცხადდება როგორც ადამიანში, ისე ქვეყანაში.»

— «თუ ესაა, რაც შენ მართლა გრწამს, მაშინ შენთვის არავითარი განსხვავება ადამიანსა და ადამიანს შორის, და მაშასადამე, ქვეყანასა და ქვეყანას შორის არ უნდა არსებობდეს.»

— «სავსებით მართალია. მაგრამ ჩემი ძალა განსაზღვრულია, და ამგვარად ჩემი თაყვანისცემა კაცობრიობისადმი გრძელდება ჩემი ქვეყნის თაყვანისცემაში.»

«არაფერი მაქვს თქვენი თაყვანისცემის, როგორც ასეთის, საწინააღმდეგო, მაგრამ როგორ წარმოგიდგენია, შენ თაყვანისცე ღმერთს და გძულდეს მეორე ქვეყანა, რომელშიც იგი სრულიად თანაბრად ცხადდება?»

«სიძულვილი თაყვანისცემის მოზიარეა. არჯუნიამ *) მოიგო მაჰადევას გული, მასთან ბრძოლის გამართვით. ღმერთი დაბოლოს ჩვენთან იქნება თუ ჩვენ მზადა ვართ მას ბრძოლა გაუმართოთ.»

«თუ ეს ასეა, მაშასადამე, ის, ვინც ქვეყანას ემსახურება და ის, ვინც მას ზიანს აყენებს, ორივე მისი მათაყვანებელია. მაშ, რაღად იწუხებთ თავს პატრიოტიზმის ქადაგებით?»

«საკუთარი ქვეყნის შესახებ—სულ სხვაა. აქ გული აშკარად თაყვანისცემას მოითხოვს.»

«თუ შენ ამ საბუთს უფრო შორს გასწევ, შეგიძლია სთქვა: ჩვენ ჩვენს თავს უნდა ვსცეთ პირველად თაყვანი, ვინაიდან ჩვენი ბუნებრივი ინსტიქტი ამას მოითხოვს.»

«გამიგონე, ნიკილ, ეს მხოლოდ მშრალი ლოდიკაა, არ შეგიძლია იცნო, რომ აქარის ისეთი რამე, როგორც გრძნობა?»

*) არჯუნიამ—მაგაბპარატას გმირულ პოემის მთავარი მომქმედი პირია; მაჰადევი—სახელწოდება ვიზნუსი, რომელიც ამ პოემაში ადამიანის სახით მოქმედებს.



— «სიმაღლეს გეტყვი, სანდიკ», უპასუხა ჩემმა ქმარმა. «ჩემი გრძნობა მწუხარებით ღელდება, როდესაც შენ სცილილობ უსამართლობა მოვალეობად გაასაღებ და უკანონობა წნეობრივ იდეალად დასახლ. ის მოვლენა, რომ მე არ შემიძლია ვიქტორ-და, ჩემი ლოდიკური ნიჭის წყალობა კი არაა, არამედ იმის ბრალი, რომ მე მაქვს ერთ-გვარი პატივისცემის გრძნობა ჩემი პიროვნებისადმი და იდეალების სიყვარული.»

მე ჩემ გულში მეტათ ვჯავრობდი. დაბოლოს აღარ შემეძლო მეტი სიჩუმე. «განა თვითელი ქვეყნის ისტორია», წამოვიძახე მე, «იქნება ეს ინგლისი, საფრანგეთი, გერმანეთი, თუ რუსეთი, არ არის ისტორია ცარცვა-გლეჯისა საქუთარი ქვეყნის გულისათვის?»

— «მათ ამ მძარცველობისათვის პასუხი უნდა ავონ. ისინი ვხლა უკვე აგებენ პასუხს; მათი ისტორია ჯერ კიდევ არ დასრულებულა.»

— «ყოველ შემთხვევაში», ჩაერთა სანდიკ ბაბუ, «რატომ არ უნდა მივბაძოთ მათ? დეე, როგორც ამას სხვა ქვეყნები სჩადიან, ჯერ ჩვენი ქვეყნის საღაროები ავაგ-სოთ ოქროთი და მერმე ვუცადოთ საუკუნოებს, სანამ პასუხს ვაგებდეთ, თუ ეს აუცი-ლებელი იქნება. მაგრამ მე გეკითხები, სად ამოიკითხე ეს «პასუხისგება» ისტორიაში?»

«თუ როდის უნდა გაცეა რომს პასუხი თავის ცოდვების გამო, ეს არავინ იცო-და. მთელ ხანათა განმავლობაში, მისი კეთილდღეობის საზღვარი სრულებით არ სჩან-და. მაგრამ ვერ ხედავ შენ ერთ მოვლენას: თუ როგორ სკდებოდენ სიცრუითა და ლა-ლატით მათი პოლიტიკური ტომრები (ნაცარცივი სიმდიდრით დატვირთულნი) და როგორ იხნიქებოდენ ისინი წელში ამ სიმძიმის ქვეშ?»

უწინ არასოდეს მქონია შემთხვევა ჩემი ქმრისა და მის მეგობარ მამაკაცების მსჯელობას დაესწრებოდი. როდესაც იგი მე მეკამათებოდა, ვგრძნობდი, მას არ სურ-და მე ჩიხში მივემწყვდიე; არ სურდა, ვინაიდან მე მას ძლიერ ვუყვარდი. დღეს პირ-ველად ვიხილე კამათში მისი კენწლავობის უნარი.

ამის მიუხედავად, ჩემი გული უარს ამბობდა ჩემი ქმრის დებულება მიეღო. ჩემ გულში ვიბრძოდი, რომ მეპოვნა რაიმე პასუხი, მაგრამ ამაოდ. როდესაც სიტყვა «სამართლიანობა» გამოდის საბუთად, უხერხულია სთქვა რაიმე: არის საგანი, იმზომად კარგი, რომ არ გინდა იგი შენი სარგებლობისათვის გამოიყენო,—ეს ისე ულამაზაა.

უტბად, მოულოდნელად სანდიკ ბაბუ ჩემსკენ მოტრიალდა და მკითხა: «რას ბრძანებთ თქვენ ამის შესახებ?»

«მსუბუქ განსხვავებას მე ყურადღებას არ ვაქცევ», წამოვიძახე. «გეტყვით, სა-ერთოდ რას ვფიქრობ. მე ვარ ადამიანი. მე ვარ ხარბი. მე მსურს ჩემი ქვეყნისათვის ყველაფერი კარგი. თუ ეს საჭირო იქნება, მე მოვიტაცებ ამ კარგს, მოვიპარავ მას. მე მაქვს მრისხანება. ჩემი ქვეყნის გულისათვის შემიძლია მრისხანე ვიყო. თუ საჭიროა, შემიძლია გავანადგურო და გავგვლიტო, რათა მისი შეურაცყოფისათვის შუტი ვიძიო. მე მაქვს სურვილი გატაცებული ვიყო და გატაცება უნდა მომცეს თავისი სახით ჩემმა ქვეყანამ. მას უნდა ჰქონდეს ხილული სიმბოლო, რათა ჩემს გონებას ნათელი მოჰფი-ნოს. მე ჩემს ქვეყანას პიროვნებად ვხედი, ვუწოდებ მას დედას, ღმერთ-ქალს, დურგას»),

*) დურგა—ღმერთ შივას მეუღლის სახელია.



ვისთვისაც მე მიწას წითლად შევლებავ შესაწირავ მსხვერპლით. მე ვარ ადამიანი, ვარა
წმინდანი.»

სანდიკ ბაბუ წამოხტა, ასწია ხელები და დაიყვირა «ვაშა, ვაშაა», მაგრამ მა-
შინვე მოაგონდა და შესქაბა: «ბანდე მატარამ!»

ჩემი ქმრის სახეზე ტკივილის ჩრდილმა გადაიბრინა. მან მითხრა მეტად ღბი-
ლი ხმით: «არც მე ვარ წმინდანი: მე ვარ ადამიანი. და მაშასადამე, მე ჩემს თავს ნებას
ვერ მივცემ, ის ბოროტება ჩემში რომ არის, გაიზარდოს და გადაიქცეს ჩემი ქვეყნის
სახედ, არასოდეს, არასოდეს!»

«შეხე, ნიკილ», წამოიძახა სანდიკ ბაბუმ, «ქალის გულში ჭეშმარიტება ხორცს
როგორ იხსამს. ქალმა იცის, როგორ უნდა იქნეს იგი სასტიკი: მისი უზამიანობა ბრმა
ქარიშხლის მზგავსია. იგი მშვენივრად საშიშია. მამაკაცში ეს მოვლენა ანორმალური
გამონაკლია, ვინაიდან მასში დასადგურებულია ფიქრის და აზრების მღრღნელი ჭიები.
გეტყვი, ნიკილ, აი სწორეთ ეს ჩვენი ქალები დაიხსნიან ქვეყანას. ესლა არაა დრო მშვე-
ნიერ სინდისიერებისათვის. ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცედ, თავდავიწყებით სასტიკი. ჩვენ
ცოდვები უნდა ჩავიდინოთ. ჩვენ უნდა მივცეთ ჩვენს ქალებს წითელი სანდალის საც-
ხებელი, რომელსაც ისინი ჩვენს ცოდვას აცხებენ და ტახტზე აიყვანენ. არ გახსოვს,
რას ამბობს მგოსანი:

«ოჰ, მადრი ცოდვავ, მშვენიერო,
ცოდვავ ლამაზო,
შენი მტანჯავი და მსუსსავი
წითელი კოცნით
ჩაგვეხსნას სისხლში ღვინო წითელი
დამწველ კოცნით;
აახავივინე მბრმანებელი
ბოლოტება ხმით;
მღვეითთე შებლნი უკანონობის
მბრწყინავ ვეივგინით;
ჰო! ღმერთო დიად უწმინდურების!
მკერდები ჩვენი უგნ დავგითხუანე
სისამაგლით და უხიბრესივლებით».

— ძირს ეგ შენი სამართლიანობა, რომელსაც არ შეუძლია ტანჯვა და ნგრევა
ღმილით მოიტანოს».

სანდიკ ბაბუ იდგა თავაწეული და წუთიერ აღვლებით შეურაცყოფას აყენებ-
და ყველაფერ მას, რასაც ადამიანები ყველა ქვეყანაში და ყოველ დროს პატივისა სცე-
მდენ, როგორც მათ უმადლეს გრძნობას, და მე ქრუანტელმა დამიარა მთელ ტანში.

იგი კი, ფეხის რაკუნით განაგრძობდა ლაპარაკს, «ვხედავ, რომ შენ ხარ იმ
ცეცხლის მშვენიერი სული, რომელიც სახლს ფერფლად აქცევს და თავისი ალით
უდიდეს ქვეყანას ანათებს. მოგვეც ჩვენ ურყევი მხნეობა, რომ ნგრევის უმა-
დლეს მწვერვალს თვით მივადწიოთ. უწილადე წყალობა შენი ყველაფერს მას, რაც
დამღუპველია!»

ჩემთვის გასაგები არ იყო, ამ უკანასკნელ სიტყვით სანდიბ ბაბუ ვის მიმართო-
ვდა. შეიძლება იგი იყო ის ასული, რომელსაც თავის ბანდე მატარებით თაყვანსა სცე-
მდა. შეიძლება იგი იყო ქალი, სახე თვით ქვეყნის. ან შეიძლება იგი ყოფილიყო მისი
წარმომადგენელი, ქალი, მის წინ რომ იდგა. იგი აღბად ამავე გზით განაგრძობდა, მაგ-
რამ ჩემი ქმარი უცებ თავის ადგილიდან წამოდგა, წელა შეახო ხელი მის მხარს და
უთხრა: «სანდიბ, ჩანდრანათ ბაბუ აქ არის».

შევკრთი და მოვიხედე: კარებში დავინახე ხანში შესული კაცი, წყნარი და
დიდებული; ჭოკმანობდა შემოსულიყო თუ არა. მის სახეს ეფინა ნაზი ნათელი, ვით
ჩამავალი მზის სხივი.

ჩემი ქმარი მომიასლოვდა და ჩამიჩურჩულა: «ეს ჩემი მასწავლებელია, რომ-
ლის შესახებ ხშირად გელაპარაკებოდით. პატივი ეცი».

პატივისცემით დავიხარე და მის ფეხრთა მტვერი მივიღე. მან დამლოცა მე და
მითხრა: «ღმერთმა დაგიფაროს მუდამ, ჩემო პაწია დედავ».

იმ წუთში სწორედ ასეთი დალოცვა მეჭვივრებოდა.

(გაგრძელება იქნება)



IV



ვლ. ბაკტაძე:

ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა ქართულ კომუნისტურ პრესაში.

ამას წინათ ვილაცამ მომიტანა რამოდენიმე წიგნი გახვეული ქართულ გაზეთ «კომუნისტში». უნდა გამოვტყდე (ვიცი ეს სირცხვილია), რომ ამ გაზეთს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთად ერთი დიდი ყოველდღიური გაზეთია, რომელიც გამოდის ტფილისში ქართულ ენაზე, არ ვკითხულობ. არა იმიტომ, რა თქმა უნდა, რომ ეს კომუნისტური ორგანოა.

პირიქით, კომუნისტურ გამოცემას ვკითხულობ დიდის ყურადღებით და ხანდახან ინტერესითაც, მაგრამ თითქმის ყველაფერი, რაც იბეჭდება «კომუნისტში», დაწყებული მოწინავე წერილით და გათავებული უმნიშვნელო ხრონიკით, გარდა სამგლოვიარო და სარეკლამო განცხადებებისა, უშნო და ულაზათო გადაღეჭვაა იმისი, რაც იღეჭება მოსკოვის გაზეთებში.

თუ გაქვთ საშვალეობა და ხალისი წაიკითხოთ ორიგინალი, მაგ. «პრავდა», ზედმეტია და ამასთან მეტისმეტად მოსაწყენი მისი მკრთალი, უშნო და ულაზათო თარგმანის «კომუნისტის» კითხვა.

აი ამიტომ არ ვკითხულობ «კომუნისტს». მაგრამ, როდესაც გავხსენი წიგნები და გავშალე ფართე ზეწარი, რომელსაც «კომუნისტი» ჰქვია, მოვკარი თვალი დიდ ფელეტონს; ხელს აწერს მას ვილაც დუდუჩავა. როგორც ეტყობა მედიდურ კილოდან, ბ. დუდუჩავა გამოჩენილი და დამსახურებული მწერალი უნდა იყოს «კომუნისტის», ერთი უბრწყინვალესთაგანი იმ ქართველ მწერალთა ბრწყინვალე პლეადაში, რომლებიც ამშვენებენ «კომუნისტის» ფართე ფურცლებს.

ბ-ნ დუდუჩავას წერილზე არ ეღირებოდა, რა თქმა უნდა, ლაპარაკი, რომ ის არ იყოს მეტად დამახასიათებელი იმ ლიტერატურულ კრიტიკის ტრაფარეტის და იმ ზნე-ჩვეულების, რომლებიც დამკვიდრდნ რუსულ კომუნისტურ პრესაში და გადმოტანილ იქმნენ ქართულშიდაც.

ეს ტრაფარეტი ლიტერატურული კრიტიკის შექმნეს რუსეთში ლუნაჩარსკიმ, კოგანმა, ფრიჩემ და სხ.

მათ საქართველოში გამოუჩნდნენ მიმბაძველები, და მათ რიცხვში ჩვენი შესანიშნავი კრიტიკოსი ბატონი დუდუჩავა, რომელსაც, თუ ის კიდევ ახალგაზრდა კაცი და მისი ფელეტონი მხოლოდ დებიუტია, ექვს გარეშეა, ბრწყინვალე მომავალი აქვს და შორს წავა, თუ ის ჩვენ არ გამოსტაცა ქართულ ლიტერატურას, რათა მისი ნიჭი თვითონ გამოიყენოს, რაც დიდი დანაკლისი იქნება ქართული მწერლობისათვის (რათ გვაქვს ეს შიში ამაზე შემდეგ).

დავუგდოთ ყური ბ-ნ დუდუჩავას და გავეცნოთ მის ფრიად საინტერესო და ორიგინალურ აზრებს; მისი კრიტიკული წერილის სათაურია: «ანზორი» ურნალ «ქართული მწერლობის «შეფასებაში», «კომუნისტი» 22 დეკემბერი» 1928 წ.

«ანზორი» ყოფილა ახლათ გამოსული ფრიად რევოლუციონური და პროლეტარული პიესა, რომელიც მოსწონს ძალიან ბ-ნ დუდუჩავას, მაგრამ სამაგიეროთ, არ მოსწონს სრულებით თურმე (ამას ვგებულობთ დუდუჩავას წერილიდან) მეორე თეატრალურ და მხატვრულ კრიტიკოს ბ-ნ ჩიქოვანს, რომელიც მოღვაწეობს ურნალ «ქართულ მწერლობაში»-ში.

რატომ მოსწონს ეს პიესა დუდუჩავას და არ მოსწონს ჩიქოვანს?

ბ. დუდუჩავას მოსწონს პიესა არა იმიტომ, რომ ის შემკულია მხატვრული ღირსებებით, არამედ იმიტომ, რომ ის პროლეტარულია და რრრევოლუციონური. მხატვრული მხარე პიესის მისთვის არ არსებობს.

ბ. ჩიქოვანს არ მოსწონს «ანზორი», არა იმისათვის, რომ ის მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია, არამედ, იმისათვის თურმე (როგორც ვგებულობთ დუდუჩავას წერილიდან), რომ ის არ არის საკმარისათ რრრევოლუციონური და პროლეტარული. თუმცა, უნდა ითქვას სიმართლე, ჩიქოვანი პიესის მხატვრულ დეფექტებსაც აღნიშნავს.

მე ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, მაგრამ არ შემიძლია არ დაუთმო ადგილი ბ. დუდუჩავას გრძელ ტირადას, რომელიც მიმართულია ურნალ «ქართულ მწერლობის» კრიტიკოსის ბ. ჩიქოვანის წინააღმდეგ, ტირადას, აღსავსეს აღშფოთების გრძნობით და იმავე დროს რევოლუციონური და პროლეტარული პათოსით.

სიტყვა ეძლევა ბ-ნ დუდუჩავას:

«ჩიქოვანი, სერიოზული ლიტერატორის ტონით საბუთა ურნალის ფურცლებზე სწერს შემდეგს: «ანზორი» უსათუოდ რეაქციონური მოვლენაა და ეს გამოტანილ უნდა იქნეს დღის სინათლეზე»-ო. ამრიგად რევოლიუცია რეაქციით შეაფასეს. ხოლო ურნალის რედაქცია ამ დებულებებს სადისკუსიოთ აცხადებს. სად იყო ურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ს. ხუნდაძე, როდესაც რევოლიუციის «რეაქციონური» შინაარსი «დღის სინათლეზე გამოჰქონდათ» ვილაც არა მკითხვე ავტორებს?? ნუ თუ არ იცის რედაქტორმა-კომუნისტმა, რომ ასეთ შემთხვევაში «დრმათ პატივცემულ ავტორებს» რედაქციის კარებს უჩვენებენ და თავის გონებრივ ნაცოდვილევით უკანვე აბრძანებენ? ნუ თუ დაავიწყდა ურნალ «ქართულ მწერლობას», რომ ჩვენი რევოლიუციის პროგრესიული და სოციალისტური ხასიათი სადისკუსიოთ და პრობლემატიურად მხოლოდ პროლეტარიატის დაუძინებელი მტრებისათვის არის მიჩნეული? ჩიქოვანი ეკუთვნის «მემარცხენეთა»



ჯგუფს და თუ ჯგუფი იზიარებს მის ასეთ დებულებებს, ჩვენ სრულყოფილად გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი «მემარცხენეები» კოლექტიურად დაეკანონებოდნენ.

საჭიროა ყურადღებით წაიკითხოთ ეს ამონაწერი იმის გასაგებათ და გასაცნობათ, თუ როგორი მეთოდები ლიტერატურული კრიტიკისა შემოიღო კომუნისტურმა პრესამ.

რათ ქუხს და ჭექს ასე ბ. დუღუჩავა? რამ გამოიწვია მისი ასეთი აღშფოთება? რათ აძლევს ის პასუხისგებაში არა მარტო საბრალო ჩიქოვანს, არამედ ყურანლის რედაქტორსაც? რათ სწერს ის დანაშ («სლოვო ი დელო!») ყურანლის რედაქტორზე და მის თანამშრომელზე? რა დანაშაული მიუძღვით მათ?

ამის გასაგებათ საჭიროა გავცნოთ მოკლეთ პიესის შინაარსს. ჩვენ არ გვქონდა ბედნიერება პიესის გაცნობის, მაგრამ იმის მიხედვით, რასაც ბ. დუღუჩავა ამბობს, პიესის შინაარსი დაახლოებით უნდა იყოს შემდეგი:

«ანზორის» ავტორს აღებული აქვს ერთი ეპიზოდი ბრძოლისა ბოლშევიკებსა და «თეთრების» (დენიკინელები) შორის.

ბოლშევიკები მიიწვევენ პეტროვსკის ასაღებათ, რომელიც «თეთრებს» უკავიათ, რათა გაიკაფონ გზა ბაქოსაკენ.

პირველი მოქმედება წარმოადგენს მზადებას ჯავშონს ასაღებათ. სანამ მუშები მარტო იბრძვიან, მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ მათ დასახმარებლათ მოდიან გლეხები და აძლიერებენ მათ რაზმებს.

მეორე მოქმედებაში ისინი გადადიან შეტევაზე და იღებენ ჯავშონს.

მესამე მოქმედებაში ისინი იპყრობენ პეტროვსკს და ემზადებიან ბაქოსკენ წასასვლელათ.

მთავარი გმირი პიესის ანზორია, რომელიც პიესის დასაწყისში პასიურ როლს თამაშობს, მაგრამ, როდესაც მას დენიკინელები დაუხმაცავენ ნათესავებს, ის გადადის აქტიურ ბრძოლაზე და მთავარი გმირი ხდება.

როგორც მკითხველი უკვე მიხვდა ალბათ, ამ მოკლე შინაარსიდან, პიესა დაწერილია განსაზღვრულ, წინდაწინ მიცემულ ტეზაზე და ეს ტეზა განლაგებულია: მორიგი ლოზუნგი კომუნისტური პარტიის, ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, სტალინის და მისი მომხრეების, ტეზა აუცილებელი საჭიროების მუშათა და გლეხთა მქიდრო კავშირის.

ჩვენ ვიცი, რომ ოპოზიცია ტროცკის სახით, სხვანაირათ ფიქრობს და წინააღმდეგია სტალინის «გლეხური პოლიტიკის».

ამნაირათ გასაღები ბ. დუღუჩავას აღშფოთების ჩვენ თითქმის უკვე გვაქვს.

ბ. ჩიქოვანი, სწერს რეცენზიას ამ პიესის შესახებ და პიესას აცხადებს რეაქციონურათ, რადგანაც მუშების კავშირი გლეხებთან, რომლებსაც ის «კულაკებათ» სთვლის, დაუშვებლათ მიაჩნია. ის ამაში ხედავს «ესეროვშიჩის» გავლენას. აქედან დასკვნა: პიესა რეაქციონურია...

რას იტყვით დრამატურგზე, რომელიც დრამას სწერს ფრაქციული ლოზუნგის გასამართლებლათ და დასასაბუთებლათ და ამ ორ პატივცემულ კრიტიკოსებზე, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებს აფასებენ ფრაქციული ლოზუნგების თვალთა ხედვის ისრით და არ გრობენ მთელ კომიუნისტურ ასეთი სასაცილო მოვლენისას?

გავყვეთ ქვევით და ჩვენ გავეცნობით ბ-ნ დუდუჩავას კიდევ უფრო საინტერესო რესო აზრებს.

ჩიქოვანი, შედარებით, როგორც სჩანს. მეტს მოითხოვს მაინც მხატვრული ნაწარმოებიდან, ვიდრე ფრაქციული ტრაფარეტის უბრალო გადიალოგებას (დიალოგებით გადმოცემას). ის ასე ვსთქვამთ პსიქოლოგიურ ანალიზსაც კი ბედავს და ანზორის მოქმედებას შურის ძიებით ხსნის.

მაგრამ ლიტერატურის სადარაჯოზე პოზიციების დასაცველათ, რომელსაც კონტრ-რევოლუცია ემუქრება, სდგას ისეთი უშიშარი რაინდი, როგორც დუდუჩავა და მას, რა თქმა უნდა, ვერ გამოეპარება ისეთი კონტრევოლუციონერი, როგორიც არის ჩიქოვანი. ის (დუდუჩავა) უკვე ყვირის: კარაულ!

დაუგდოთ ყური:

«ჩიქოვანის რეცენზია დაწერილია მანვე ტენდენციურობით. აბა რით უნდა აიხსნას მისი მტკიცება, თითქმის «ანზორის» გარეგანი უციონერება ხდება შურისძიების ნიადაგზე». ავტორს არ უნდა დავიწყებოდა ის გარემოება, რომ ანზორს ჯერ არც კი ჰქონდა გავებული ამბავი თავის ოჯახის ამოწყვეტის შესახებ, რომ მას უკვე სდებენ ბრალს რუს-მატროსებთან (ბოლშევიკებთან) კავშირში (1-ლი მოქმედება, სცენა: მირზას, ანზორის და ახმას შეხვედრა), ხოლო მას შემდეგ, როცა მას თეთრები ოჯახს ამოუწყვეტენ ის უფრო აქტიური ხდება და პირადი შურისძიება გადააქვს იმ რეჟიმის მოსპობისაკენ, რომელიც არ აძლევს ადამიანური ცხოვრების საშუალებას: «მენახირეს, წვრილ გლეხს, ქალაქის მუშას, სოფლის მუშას და სხვ. (მესამე სურათი). ანზორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ გლეხობის განთავისუფლებისათვის საჭირო ხელმძღვანელობა იმ კლასის მხრივ, რომლებმაც იციან «ტენიკური» — და ასეთია მუშათა კლასი. მაგრამ ჩიქოვანს მთელი გლეხობა კულაკობათ ჰყავს წარმოდგენილი».

და შემდეგ:

«ჩიქოვანის მთელი მსჯელობიდან ერთი დასკვნა ლოღიკურად გამომდინარეობს: მუშათა კლასს არ სჭირია გლეხობის დახმარება, ვინაიდან მთელი გლეხობა კულაკობაა. ამ დებულებაში მთელი ასი პროცენტით ნამდვილი მენშევიზმი, ნამდვილი კონტრ-რევოლუციაცაა მოცემული, რადგანაც თუ საშუალო და ლატაკი გლეხობა «გაკულაკებულია» და მაშასადამე რევოლუციის მთავარი დასაყრდენი ფაქტორი — კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობის შორის მოხსნილია. აი სანამ დის მივიდა «მემარცხენე» ავტორი, აი როგორ აფასებს რევოლუციას დისკუსიებში შეყვარებული ჟურნალი «ქართული მწერლობა».

სცადეთ აუხსნათ ბ. დუდუჩავას, რომ მხატვრულ ლიტერატურას თავისი კანონები აქვს, რომ მხატვრული ნაწარმოების დაფასება არ შეიძლება პოლიტიკური ფრაქციების რეზოლიუციების მიხედვით.

ის მაშინათვე შეგაწყვეტიებთ (კარაულ!) და მიგიტითებთ კომუნისტური პარტიის სათანადო რეზოლიუციას: «საკავშირო კ. პ. ც.-კ. რეზოლიუციაში ლიტერატურის შესახებ (sic!) ნაზგასმით არის აღნიშნული»... და სხ. და სხ.

სცადეთ აუხსნათ მას, რომ პოეზიას და ხელოვნებას თავის პრინციპები აქვთ,



რომ მათი არ დაცვა უკარგავს ნაწარმოებს მხატვრულ მნიშვნელობას და მას წინ უბრალე კომუნისტურ პროზათ.

«ქორტუ მხატვრული პრინციპები!», «ქორტუ მხატვრული ლიტერატურა», დაიყვირებს ის, როგორც ჯაყო ჯივაშვილი ჯავახიშვილის რომანში («ჯაყოს ხიზნები»), როდესაც მას მიუთითებენ კანონზე.

ვალაპარაკოთ ესლა ჯაყო:

— რომელი «პრავა»? რის «ზაკონი»? აი შენი «პრავა» ფუ და იატაკზე დანაფურთხი ფეხით გაგლისა. აი ჩემი «ზაკონი» — და ოდნავ ხანჯალი ამასწია.

ბ. დუდუჩავა ხანჯალს არ წევს, მაგრამ სამაგიეროთ ჩეკას უძახის: «უყურეთ როგორი კონტრევოლიუციონერი და მენშევიკი აღმოვაჩინეთ!»

ჯაყო განაგრძობს: — შენა გაიღვიძებდე! გაიგებდე, რომა «ზაკონის» დრო აღარ არის! წინათ თქვენა სწერდებოდეთ «ზაკონებსა». ესლა კი მორჩებოდით და, ჩაძლდებოდით. ესლა მე გწერ კანონებსა, შენა. ჯაყო გწერს კანონსა, ჯაყო! მაშ, მაშა! ასე ვიცის ჯაყომა.

ბ. დუდუჩავაც აუქმებს კანონებს, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდეს ყოველი მხატვრული ნაწარმოები.

«ქორტუ მხატვრული პრინციპები, გაუმარჯოს კომპარტიის რეზოლიუციებს! წინათ იყო ეს. მაგრამ ხელისუფლება ესლა ჩვენია, და «nous avons changé tout cela!»

ესლა კანონებს სწერს ჯაყო, უკაცრავათ, კომუნისტური პარტია. მაშ, მაშა, ასე ვიცის ჯაყომა!

თუ ვინმე არ ემორჩილება ამ კანონებს, რომლებსაც ჩვენ ვქმნით მხატვრული ლიტერატურისათვის, კარაულ! სად არის ჩეკა? რას უყურებს ის?

აი ასეთია მეთოდი ლიტერატურული კრიტიკის, რომელიც შემოაქვს ბ. დუდუჩავას (და მარტო დუდუჩავას?) ქართულ ლიტერატურაში.


მხატვარი, ან მხატვრული კრიტიკოსი ღალატობს კომპარტიის რეზოლიუციებს და ღოჭუნებს (სულ უკანასკნელებს), ან ასე მოეჩვენა ბ. დუდუჩავას და ის მაშინათვე სწერს «დანოსს» ჩეკის საყურადღებოთ და ამის ლიტერატურულ და მხატვრულ კრიტიკას უწოდებს.

აი ამისათვის გამოვთქვით ჩვენ შიში წერილის დასაწყისში, რომ ბ. დუდუჩავას წაიყვანს ჩეკა თავის თანამშრომლათ, სადაც ის დაუფასებელი იქნება. ქართულ ლიტერატურაში კი ტყუილა იხარჯება მისი ნიჭი და ენერჯია, რომელსაც უფრო მიზანშეწონილათ გამოიყენებს ჩეკა. ლიტერატურა ამითი არაფერს დაკარგავს, ჩეკა კი მოიგებს.

ჯაყო ჩვენ შემთხვევით არ გაგვიხსენებია. ბ. დუდუჩავას «ფილოსოფიური კონცეპცია» იგივეა რაც ჯაყოსი.

მართალია, მათი სტილი ცოტა განსხვავდება, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯაყოს ჯერ არ წაუკითხავს, არც ბუხარინის კომუნისტური ანბანი და არც ლუნაჩარსკის და ფრიჩის ნაწერები.

მაგრამ აცალეთ ცოტა! ჯაყოს ჩვენ ვიცნობდით 1924 წელში. ამ წელში მან და-



იწყო ქართული წერა-კითხვის სწავლა და, თუ ჯავახიშვილს დაუჯერებთ, დედა-ენას ჩაუჯდა და გულმოდგინებით იწურებოდა:—აი თითი... თათი... აი თათი... თუთა... ერთი კვირის შემდეგ მარგოს შეგირდი რვეულში გოჯის ოდენა ასოებით სჯღაბნიდა: ჯაყო ხევის თავი... გენაცვალე მარგოსა»...

მერე სოფელში გავიდა, მთელი დღე დოინჯ-შემოყრილი კარდაკარ დადიოდა და თავის თავს ქვეყანას აჩვენებდა, თანაც წარამარად ბაქიობდა:

— როგორ ბიწი ხარ ჯაყოი?! მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა! დაიცადებდე, ჯერ წიგნიც ისწავლა ჯაყომა! მერე ნახეთ ჯაყოი!

მერე ჩვენ ჯაყო არ გვინახავს, მაგრამ მას აქეთ გაიარა ოთხმა წელმა. ჩვენ ვიცით ჯავახიშვილის სიტყვებიდან, რომ მან «კომუნისტი» გამოიწერა, ალბათ შემდეგ რაბფკომშიდაც იყო, სწავლა ალბათ დაამთავრა; თავისი სტილი ცოტა გააშალაშინა; ბუხარინის კომუნისტური ანბანი ისწავლა და ლუნაჩარსკი და ფრიჩეც წაიკითხა.

რა იცით რომ ის ეხლა «კომუნისტის» რედაქციაში არ ზის და მოწინავე წერილებს, ან კრიტიკულ ეტიუდებს არ წერს...

შეიძლება ზოგიერთ მკითხველმა სთქვას: ღირს ამდენი ლაპარაკი ვიღაც დუღუჩავაზე და მის ლიტერატურულ ნაცოდვილეზე?

ღირს, ღირს ბატონებო! ჩვენ გვაქვს საქმე ქართულ მწერლობაში არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ დუღუჩავასთან, რომელიც ქანდარმათ უდგას ქართულ ლიტერატურას, ფრთებს უკვეცს და გასაქანს არ აძლევს მას, რომელიც ქმნის დეკრეტებით და რეზოლიუციებით ლიტერატურულ მანერას და სტილს, რომელიც დიდათ არ განსხვავდება ჯაყოს სტილისაგან, აუქმებს მხატვრულ ლიტერატურის ელემენტარულ პრინციპებს, მხატვრულ ტაქტს, ესტეტიურ გემოვნებას და ცდილობს ქართული ლიტერატურა მოათავსოს პროკრუსტის სარეცელზე. რომელიც ცდილობს ერთი სიტყვით დაამახინჯოს ქართული ლიტერატურის ბუნებრივი განვითარება და ჩასწყლიტოს იგი კომპარტიის რეზოლიუციების ფარგლებში.

საჭიროა ამისათვის დაუგდოთ ყური კიდევ დუღუჩავას.

«ანზორის» ავტორს გამოყავს თავის პიესაში ჩინელი, როგორც ერთი პერსონაჟი.

ბ. ჩიქოვანი მოკრძალებით შენიშნავს, რომ ჩინელის გამოყვანა არ იყო საჭირო; ის არაა დამახასიათებელი არც რევოლიუციისათვის და არც მასების ყოფაცხოვრების დასასურათებლათ, რომლებიც პიესაში მოქმედებენ. ის ამბობს, ერთი სიტყვით, რომ პერსონაჟი ხელოვნურია და ამიტომ მას შეაქვს პიესაში ანტიმხატვრული ელემენტი. ეს აზრი, რა თქმა უნდა, სწორია.

ბ. დუღუჩავა მხატვრული კრიტიკოსია, მაგრამ ხელოვნებას ის ეპყრობა დაახლოებით ისე, როგორც ჯაყო ბუჰვალტერიას: «ქორტუ» ბუჰვალტერია! «ქორტუ!» მორჩი და გათავდი!

«ჩიქოვანმა ვერ გაიგო, სწერს ბ. დუღუჩავა, თუ რა აზრი აქვს ჩინელის გამოყვანას პიესაში. ჩინელის გამოყვანით პიესაში ხაზგასმულია ის ძმური სოლიდარობა, რასაც ამჟღავნებს ჩინელი ხალხი კერძოთ და აღმოსავლეთის ჩაგრული ერები საზოგადოთ, რუსეთის დიდი რევოლიუციის მიმართ. ეს იდეური აზრი ვერ



გაიგო ჩიქოვანმა, რის გამო ჩინელის გამოყვანა პიესაში მან ხელოვნურად გამოაცხადა».

ესე იგი პიესის მოქმედების ბუნებრივი განვითარება არ მოითხოვს სრულებით იქ ჩინელის ხელოვნურად ჩაჩხირებას, ამით ის ახდენს ანტიმხატვრულ შთაბეჭდილებას და პიესას უკარგავს მთლიანობის ხასიათს.

მაგრამ სამაგიეროდ ჩინელი ხალხი უცხადებს «ძმურ სრლიდარობას» რუსეთის რევოლიუციას, ამიტომ «ქორტუ» ესტეტიური კანონები ლიტერატურის და გაუმარჯოს... ჩინეთის რევოლიუციას!

ანდა როგორც ამბობს ჯაყო: «გვიცოცხლოს ჩვენი მთავრობა და რევოლიუცია, რომელიც რომა ჯაყოსთანა საწყალ ხალხს მიწა და სახლი მოგვცა. ძირს ეორდანია, აღარ გინდა ჯაყოსა ბურჯუნიის მთავრობა, აღარა!»...

მხატვრული ნაწარმოების ერთი ელემენტარულ კანონთაგანია დაცვა მხატვრული სიმართლის. რამდენათაც ის ამ კანონს ღალატობს, ის კარგავს მხატვრულ მნიშვნელობას და ხელოვნების გარეშე რჩება.

ჩიქოვანი ფიქრობს, რომ «ანზორი» ამ მხატვრულ სიმართლეს ღალატობს, რადგანაც რუსეთის რევოლიუცია მთელ ყოფილ რუსეთის იმპერიის სივრცეზე ერთი შაბლონით არის დახატული. ასე რომ რევოლუციები, მაგალითად, შუაგულ რუსეთში და საქართველოში არაფრით არ განსხვავდებიან, თუ დაუჯერეთ «ანზორის» ავტორს.

ბ. ჩიქოვანი მართალია, რა თქმა უნდა, როდესაც პიესის ამ დეფექტს აღნიშნავს და «ლოკალზე» ლაპარაკობს. მაგრამ გამოდის ისევ დუღუჩავა.

«მუიდრო კავშირი პროლეტარიატისა გლეხობასთან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით—აი «კონსტრუქცია» რუსეთის რევოლიუციის. ეს ხასიათი და «კონსტრუქცია» ერთი იყო ყოფილ რუსეთის იმპერიის სივრცეზე და ამიტომაც ლაპარაკი ამ შემთხვევაში რაღაც «ლოკალზე» არის არგაგება ანდა, უფრო სწორათ, არცნობა რუსეთის რევოლიუციის, როგორც პროლეტარული რევოლიუციის.»

ესე იგი: ქორტუ მხატვრული სინამდვილე და სიმართლე და... გაუმარჯოს რუსეთის «რევალციას», რომელიცა რომა და სხ. როგორც ამბობს ჯაყო.

შემდეგ. ჩიქოვანი ფიქრობს, რომ პიესაში, თუმცა სხვა და სხვა დიალექტებზე მოლაპარაკე პერსონაჟებია გამოყვანილი, მაგრამ ქართულ (რუსთაველის) თეატრში, სადაც პიესა იდგმება, ლაპარაკი მაინც ქართულ ენაზე უნდა იყოს. ეს ელემენტარული მოთხოვნილება არ ყოფილა თურმე დაცული!

მაგრამ ბ. დუღუჩავას მისი მხატვრული გემოვნება უკარანახებს სხვას: მისი აზრით მეგრელმა მეგრულათ უნდა ილაპარაკოს სცენაზე, სვანმა სვანურათ, ებრაელმა კიდევ თავის ენაზე და ასე.

თუ ბ. დუღუჩავას დაუჯერებთ, ამაში სწორეთ «უდიდესი მიღწევაა წითელი თეატრის», ეს ყოფილა თურმე «სივრცის და რეფლექსოლოგიის პრინციპების დამკვიდრება სცენაზე».

ჩიქოვანს, როგორც/სჩანს, მხატვრული მოთხოვნილება აქვს. ის უწუნებს პიესას, რომ იგი შესდგება ეპიზოდებიდან, არ არის მოქმედების თანდათან განვითარება,



არ არის სიუჟეტის მთლიანობა. ფიქრობ და ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს შენიშვნა სწორი უნდა იყოს. მაგრამ გამოდის ისევ დუღუჩავა:

«სიუჟეტის მთლიანობა ანზორში აბსოლიუტურათ უზრუნველყოფილია. ეპიზოდებად დანაწილება პიესის ნიშნავს, როდესაც მოქმედებათა შორის ორგანიული კავშირი არ არის, ასეთი პიესა წარმოადგენს ქრონიკას და მეტს არაფერს. სულ სხვა მდგომარეობაა ანზორში. აქ პირველი მოქმედება ლოლიკურათ წინამძღვარია მეორესი, ხოლო მეორე მოქმედება უაზროა მესამეს გარეთ და ასე ბოლომდის. პარტიზანების მზადება ჯავშონოს ასაღებათ, ჯავშონოს აღება და ბოლოს პეტროვსკიში შესვლა—ნუ თუ ეს არ არის სიუჟეტი».

ძნელია დააჯეროთ დუღუჩავა, რომ ხელოვნებას თავისი ურყევი კანონები აქვს, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები უნდა ემორჩილებოდეს განსაზღვრულ ესტეტიკურ კანონებს, რომ მხატვრულ პიესაში უნდა იყოს მოქმედების თანდათანო და ბუნებრივი განვითარება, უნდა იყოს მხატვრული და ისტორიული სიმართლე, უნდა იყოს დაწერილი მხატვრული და ლიტერატურული ენით, პიესას უნდა ჰქონდეს მხატვრული მთლიანობა, რომ სიუჟეტის მთლიანობა არ არის სრულებით ის, რაც მას წარმოუდგენია და სს.

ძნელია დააჯეროთ იგი, რომ ეს პრინციპები სავალდებულოა ყოველ დრამატული ნაწარმოებისათვის, დამოუკიდებლათ იმისა იდგმება, იგი წითელ პრალექტურულ თუ თეთრ ბურჟუაზიულ თეატრში. ის არ დაიჯღრებს, და თუ დაიჯერა, მაინც იყვირებს: ეს იყო წინათ, ბურჟუაზიული მთავრობის დროს, ესხაკი... nous avons changé tout cela!

კჩორტუ ესტეტიკური პრინციპები! კჩორტუ სოფოკლი, შექსპირი, მოლიერი, რომელთა დრამატული თხზულებები აგებულია ამ პრინციპებზე, გაუმარჯოს ლიტერატურულ ცაზე ახალ ბრწყინვალე ვარსკვლავს «ანზორის» ავტორს და მის კამენტატორს, რა თქმა უნდა, ბ-ნ დუღუჩავას!

უნაყოფოა დუღუჩავასთან ლაპარაკი ესტეტიკის პრინციპებზე, ისე როგორც ჯაყოსთან ასტრონომიის კანონებზე.

როდესაც ჯაყოს უხსნიან, რომ მზე ერთ ალაგზე დგას, და დედამიწა კი თავის ღერძზე ტრიალებს და მზეს გარშემო უვლის, ჯაყომ ისე გადინარხარა, რომ მისი ხმა «ლიანვის ჭალას ჩასწვდა» და ამას მოყვა შემდეგი საინტერესო დიალოგი:

— მზე ერთ ალაგზე სდგებარ?! ხა-ხა-ხა! დედამიწას ღერძი გაქვს! ხო-ხო-ხო! დედამიწა ურემი ხომ არ ხარ, რომ ღერძი გქონდეს!

— ჭკუაში, ჯაყო, ჭკუაში წარმოიდგინე.

— ჭკუაში მე კი არ მაქვს ღერძი, შენა გაქვს, შენა, შე ბრინკავ შენა! შენი თავი ტრიალებს, თორემ დედამიწა ვინ დაგიძრავს ადგილიდან? აი, აგრე ვიცის ბევრი წიგნის კითხვამა.

— ჯაყო! გაიგე რომ...

— კარგი, მორჩი და გაგათავე! შენც გაგიყდებოდე და საწყალი ჯაყოც გინდა გაგაგიყო?! არ გინდა ჯაყოს შენი სწავლა! «კჩორტუ» შენი ღერძიც და ბულლატერაც, «კჩორტუ»! მორჩი და გაგათავე!

გულში ფიქრობს, შეიძლება, ჯაყო: ეს იყო, ალბათ, წინათ ბურჟუაზიის მთავრობის დროს, ეხლა კი მიწა გაჩერებულია და მზე ადის და ჩამოდის. ვინ გალიღვი და კაპერნიკი! ძირს უორდანია! აღარ გვინდა ჯაყოს ბურჟუაზიული მთავრობა, აღარა... ღმერთმა გაცოცხლოს ბალშევიკების მთავრობა და რევალცია, რომელიცა რომა და სს.

ამნაირათ, თქვენ ხედავთ, რომ მეთოდი და არგუმენტაცია ჯაყოს და დუდუჩავასი თითქმის ერთი და იგივეა იმ პატარა განსხვავებით, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. მაგრამ ეს იყო, როგორც უკვე ვიცით, ოთხი წლის წინათ, როდესაც ჯაყოს წერაკითხვის სწავლა ახლათ დაწყებული ჰქონდა. «კომუნისტი» ჯერ კიდევ გამოწერილი არ ჰქონდა და ფრიხე წაკითხული...

ბ. დუდუჩავა ეძებს «ახალ სტილს» და რადგანაც ფრიხეს ნაცონნი არ აქვს კარგათ მონელებული, ის სწერს ასეთ აბდა-უბდას, რომლის უაზრობას ცდილობს დამალოს რანა-რუხით უცხო სიტყვებისა, რომლის მნიშვნელობა, ცხადია, არ ესმის თვითონ. მაგალითად:

«რადგანაც მხატვრული ხერხების სისტემა წარმოადგენს ერთადერთ ემოციონალურ გამტარს მხატვრული იდეოლოგიისა მკითხველთა კატეგორიაში, ჩვენში ხელოვნების მიზანია მასების ემოციების ორგანიზაცია იმ მიმართულებით, რომელსაც თხოულობს გამარჯვებული პროლეტარიატი»,

ბევრ ასეთ სისულელეს სწერს ბ. დუდუჩავა. «სტილის ძიება»... თითქმის შეიძლებოდეს ხელოვნურათ «ახალი სტილის» შექმნა და ხელოვნების «ახალი პრიციპების» დამკვიდრება!

ინგლისური თქმულება: ბრიტანიის პარლამენტს შეუძლია ყველაფერი, გარდა ერთისა: ის მამაკაცს ვერ გარდაქმნის დედაკაცათ.

კომპარტიას და ჩეკას შეუძლია ბევრი რამე, მაგრამ ის უძლურია ხელოვნების დარგში. მას არ აქვს რეცეპტები, რომლითაც შეიძლებოდეს უნიჭო ნაჯღაბნის ნიჭიერ ნაწარმოებათ გარდაქმნა, არ აქვს საშვალეება უნიჭო მჯღაბნელი ნიჭიერ მხატვრათ გადააქციოს.

შეუძლია მხოლოდ მიბაძოს იმ უნიჭო მხატვარს, რომელმაც ლომის მაგიერათ ძალღი დახატა და ქვეშ მიაწერა: ეს ძალღი კი არ არის, არამედ ლომი.

შეიძლება «ანწორი» გამოაცხადოთ გენიალურ ნაწარმოებათ, მაგრამ ამით კომუნისტური პროზა არ გახდება პოეტურ ნაწარმოებათ, ისე როგორც წარწერის წყალობით ძალღი არ დაემსგავსება ლომს.

იმ ზნე-ჩვეულებების გასაცნობათ, რომლებიც დაამყარეს ქართულ მწერლობაში დუდუჩავებმა, საჭიროა მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი დუდუჩავეს წერილიდან.

დუდუჩავა გამოდის, წარმოიდგინეთ, კატონის როლშიც. ის სწუხს და ცრემლებს აფრქვევს იმის გამო, რომ თეატრალურ კრიტიკის დარგში დამყარდა ცუდი ზნე-ჩვეულებები. «ხდება—ამბობს იგი—

თეატრალურ კრიტიკის გამრუდება, მისი უორიკანობის მოტივებით გავსება, მისი პერსონალური ღვარძლიანობის ხაზებში გაშლა».



ამის დასამტკიცებლათ მოყავს ჩიქოვანის წერილიდან ერთი ადგილი. საინტერესოა, რომ ამის შემდეგ ის თვითონ, მისივე სტილი რომ ვინმასთან, «პერსონალური ღვარძლიანობის და ქორიკანობის ხაზებში იშლება».

აი ნიმუში: «ჩიქოვანმა თავისი ლიტერატურული «კარიერა» რუსაველის პრესპექტზე სადღეგრძელოებით და დებოშებით დაიწყო».

დასწერა რა ეს, მას ჰყოფნის კიდევ ცინიზმი დარიგება მისცეს ლიტერატურული მორალის შესახებ თეატრალურ კრიტიკას:

«ასეთი «რეცენზიები» სწამლავენ თეატრალურ ატმოსფერას და თითქმის შეუძლებლათ ხდიან ნორმალურ შემოქმედებითი მუშაობას. თეატრალურ კრიტიკიდან უნდა წაიშალოს ნათესაობის, ღვარძლიანობის და მანე ტენდეციების შტრიხები».

აი ამაზე იტყვიან სწორეთ: «ოგლიანის კოწა ნა სვლი როგა».

ჩვენ ვთქვით ზევით, რომ ბოლშევიკები ცდილობენ მოათავსონ ქართული ლიტერატურა პროკრუსტის საწოლზე.

პროკრუსტრი იყო ძველი ატიკის (საბერძნეთი) ავაზაკი, რომელიც არ კმაყოფილდებოდა მგზავრების გაცარცვით, ის აწვენდა მათ რკინის საწოლზე და სჭრიდა ფეხებს, თუ ისინი არ ეტეოდენ საწოლზე, და უჭიმავდა ფეხებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ წვდებოდენ საწოლის ბოლოს.

ბოლშევიკები უკეთებენ ისეთივე ოპერაციას, როგორც პროკრუსტი, ქართულ ლიტერატურას. მათ უნდათ მოათავსონ იგი კომპარტიის რეზოლიუციების ფარგლებში და, თუ იგი ამ კალაპოტში ვერ მოთავსდა, ამისათვის არის ჩეკა და დუდუჩაგები.

მაგრამ არ ყოფილა მაგალითი, რომ რომელიმე ხელისუფლებას, რა ტირანიულიც არ უნდა ყოფილიყო ის, შეეჩერებია დიდი ხნით ლიტერატურის ბუნებრივი განვითარება და ზრდა.

ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმ ჩუმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს დუდუჩაგების და ქართულ ლიტერატურას შორის, ლიტერატურა გამოვა გამარჯვებული.

ბოლშევიზში გაქრება, ქართული ლიტერატურა კი დარჩება. «წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო».

ვლ. ბაქრაძე.



ი. მ ა ნ წ ვ ა ვ ა :

ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

I.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ლიტერატურა იწყებს ეროვნულ ბრძოლის ხაზზე გადასვლას. პოეზია, პროზა, დრამატული ხელოვნება, თეატრი, მხატვრობა, ყველაფერი ეს ერთ მთლიან განუკვეთელ ჯავშნათ იქცევა, ერთ მთლიან განუხრელ წრედ იქმნება და ასე მიდის მე-19 საუკუნე მდორე და მე-20 საუკუნის ქარიშხლიანი პირველი მეოთხედი. ამ პერიოდის მხატვრული შემოქმედების მთავარი მოტივი და დედა ძარღვი, ესაა ეროვნული მერმისის საღი შეგნება და ბრძოლა ამ მერმისისათვის.

აკაკი წერეთლის დიდი ტალანტი ამ შეგნების უდიდესი ცეცხლით იყო ანთებული და ამ მერმისის ბრძოლის სამსხვერპლზე დაიფერფლა.

ილია ჭავჭავაძე, ეს დიდი პოეტი და მოაზროვნე, ვაჟა ფშაველა, მთელი ამ პერიოდის ლიტერატურულ შემოქმედების არწივი, ალექსანდრე ყაზბეგი ეს დიდი რომანისტი, რომლის გმირები გაპირული ხანჯლით კავკასიის უღელტეხილთან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძვიან რუსეთის შემოსვლას; ჭოლა ლომთათიძე დიდი სოციალისტი, მარა კიდევ უფრო დიდი ხელოვანი და შემომქმედი და მთელი რიგი შემდგომი მწერლებისა, ამ შეგნების უღრმესი სიყვარულით არიან გატაცებული და მათი შემოქმედების მთელი შინაგრძობა და მთავარი ძარღვი ამ სიყვარულის ფონზეა განვითარებული.

ამ პერიოდის მხატვრული შემოქმედება სხვა პრობლემებსაც ეხება, მასში სხვა სოციალურ და საზოგადოებრივ ხასიათის საკითხებიცაა აღძრული, მარა ესაა მთავარი და ყველა დანარჩენი სხვა წრეშია მოქცეული, მეორე რიგზეა დაყენებული.

ბუნებრივია და გასაგები ქართული შემოქმედებითი გზების ასეთი განხრა. ჩვენ მოვექეცით კავკასიის დაპყრობილ რეალში. დასავლეთიდან გვაწვებოდა ისლამისტური ოსმალეთი, ჩრდილოეთიდან კი რუსეთი მონარქიული და ქრისტიანული დროშით კულტურული განადგურების და ფიზიკური უშიშროების პოლიტიკით.

ჩვენ სახელმწიფოებრივ პერსპექტივაში არ სჩანდა არავითარი იმედის ნიშანწყალი, დარდნელის სრუტე დიდი ხნით გადაიკეტა და საქართველო, ეს ანისა და ევროპის გზაჯვარედინი მოემწყვდა კავკასიის ქედსა და შავი ზღვის გადაჭრილ ზონაში. ასეთ ტყვეობაში იყო საქართველო 1917 წლამდე. ამ გვარად, მთელმა მე-19 საუ-



კუნემ და მე-20 საუკუნის პირველმა მეოთხედმა ეს ევროპის ცივილიზაციისა და კულტურული დავაყვაცების საუკეთესო ხანამ, ტექნიკურ რევოლუციების და სოციალ-პოლიტიკური ძვრის უაღრესმა პროგრესიულ პერიოდმა, ჩვენი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მიღმა ჩაიარა. ვიდრე ევროპიული კულტურა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ერებით დასახლებულ უთავბოლო ველებს გამოივლიდა, ჩვენამდე მცირე ნასუფრალის მოღწევას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ რუსეთის მიზანი ჩვენში იყო არა მარტო პოლიტიკურად დაგლახება, არამედ კულტურული დაპყრობაც და გადაგვარება.

ასეთ მძიმე სოციალ პოლიტიკურ ვითარებაში ჩვენ არ ვაგებოროტდით, ვებრძოდით კი მოწოლილ მტერს მარჯვნივ და მარცხნივ და მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია კულტურულ სიმაგრეების დაცვის რკალს ებჯინებოდა.

ფრიად დამახასიათებელია ჩვენი ეროვნული თავისებურებისათვის ის გარემოება, რომ მთელ ამ პერიოდის მხატრულ შემოქმედებაში არაა წრეს გადასულობა, აქ ეროვნული შეგნება საღია, ულტრა ნაციონალისტურ ზრახვებს დაშორებული. აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე ეს ჩვენი ეროვნული შეგნების უდიდესი წარმომადგენლები და საერთოდ ამ პერიოდის ლიტერატურა ერთმანეთს აშორებს ამ ორ ცნებას. ამაშია სწორედ გამარჯვება ქართული შემოქმედების და ეს აძლევს მას მარადიულ ცხოველმყოფელობას.

ასე ვითარდებოდა ჩვენი ეროვნული ლიტერატურა. ასე შეეგება იგი 1917 წ. რევოლუციას. რევოლუციამ არსებითად შესცვალა რუსეთის იმპერიის ძველი რუქა ეროვნულ გადაჯგუფების მხრივ, ამ დროს ჩვენც დავაძვრეთ თავი რუსეთის ბატონობას და საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღსდგა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორია საუბედუროდ მხოლოდ სამი წლით განისაზღვრა და სამი წელი მეტად მცირეა ლიტერატურულ და მხატრულ შემოქმედებისათვის და ვეც რომ არ იყო, ეს ისეთი ხანა იყო ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში, რომ მთელი ჩვენი გმირობა და ეროვნული ენერგიის სიმკვრივე დაიხარჯა მოპოებულ თავისუფლების დამაგრებისთვის ბრძოლაში და ვის ეყოფოდა გულციობა ეწერა, როცა სხვები იბრძოდნენ?

1921 წელმა ხელმეორედ დაგვებრუნა ძველ ტყვეობაში. მარა იმ განსხვავებით, რომ თუ მონარქიული რუსეთი ეკონომიური და პოლიტიკურ დაგლახების და კულტურული გადაგვარების მიზნით გვებრძოდა, დღეს საბჭოების რუსეთი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშეც გვაყენებს და ამ გარემოებამ მეტად მძიმე პირობები შექმნა ჩვენი ქვეყნისთვის. დღეს ადმინისტრაციული აღვირახსნილობა თანაბრად ვრცელდება, როგორც პოლიტიკური აზრის, ისე ხელოვნური შემოქმედების წინააღმდეგ. ის რაც რუსულ კომუნისტურ უტოპიურ მსოფლმხედველობას სცილდება ცოდვათა აღიარებული და იდეენება სავალლო საუკუნოების ინკვიზიციის წესებით. ეს ადმინისტრაციული აღვირახსნილობა არაა შენლედული არავითარი იურიდიული და ზნეობრივი ნორმებით ისე, როგორც ძველ აღმოსავლეთში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნ ტირანები პოლიტიკურ და იდეურ მოწინააღმდეგის მიმართ.

დღეს ხელოვნება და ლიტერატურა ხელისუფლების სამსახურისთვისაა მოწო-



დებული. მთელი საბჭოთა ორგანიზაციების სახელგამის გამოცემებში მცირედის გამოკლებით,—ესა ნამდვილი ხალტურა, დაწერილი წინასწარი დაკვეთით ან ხელისუფლების პოლიტიკასთან შეგუებული, დაწყებული ე. წ. პროლეტმწერლების უნიჭო გამოცემებიდან გათავებული «მნათობით» და «ქართული მწერლობით», სადაც უმთავრესად «თანამგზავრები» თანამშრომლობდნენ. იშვიათად ნახავთ ნაწარმოებს, რომელიც გამართლებული იყოს ესთეტიური თვალსაზრისით. რა უნდა შექმნას რაიმე ღირებულების მქონე იმ მწერალმა, რომელიც საგანგებოდ ჰონორარისთვის სწერს?! რა ხელოვნურია იმაში, როცა მწერალი პირად კეთილდღეობის მიზნით ლექსებს უწერს აღმასკომის თავმჯდომარეს ან რომელიმე პარტკომის მოხელეს?! რა ხელოვანია ის, რომლის შინაგან ბუნებას აღელვებს ელექტრონის სადგურის ან საკასრე ქარხნის აგება და ვერ ამჩნევს ამ მეტად განსაკუთრებულ ხანაში სხვას უფრო დიდს, უფრო ღრმას, უფრო ნიშნობივს და უფრო დამახასიათებელს?!. დღევანდლობა თავიდან ბოლომდე საესეა სოციალურ წინააღმდეგობით, პოლიტიკურ შეხეთქებით, ზნეობრივ იდეათა შეტაკებით. დღეს ახალი ადამიანი იზრდება თავისებური პსიქიკით, თავისებური მორალით. ახალი და ძველი თაობის განაბრძოლებ ველზე დღეს ისევ სისხლიანი ღამეა.

მართალია, არის რამდენიმე ჯამბაზი ავტორი, რომელიც ამ ატეხილ გრიგალს თითქოს ფეხდაფეხ მიყვება. მათ კარგათ იციან მომენტის გარეგნული სახეობა და გარბიან, რომ ყოველ მნიშვნელოვან ქრონიკას ხელოვნური აღნიშვნა უქნან. მარა მთელი ეს მუშაობა ნაჩქარევია და ზერელე, მატერიალური სარგებლიანობაა მისი მთავარი მიზანი. ეს გარემოება რყვნის ხელოვნურ შემოქმედების აზრსა და მნიშვნელობას, რყვნის მთელ თაობას, ამახინჯებს და ბილწავს ხელოვნების სიწმინდესა და ცხოველყოფილობას.

ხელოვნური შემოქმედება—ესა უშუალო მისვლა საგნებთან და მოვლენებთან. მისი არე განუსაზღვრელია და თავისუფალი. ხელოვნურ შემოქმედების საწყისი შემოქმედების შინაგან ბუნებიდან მოდის ყოველგვარ წინა აზრისა და ანგარების გარეშე. შემოქმედებითი პროდუქცია მის აღელვებულ სულსა და მწვავე განცდების სიღრმიდან იღვრება, როგორც ატეხილი ნიაღვარი, როგორც ზღვის ტალღები ნაპირებს რომ ტბორავს დიდი ქარიშხლიდან გახელებული. ხელოვნური შემოქმედების ბუნება სტიქიურია. იგი არავითარ საგანგებოდ შექმნილ კანონებსა და წესებს არ ემორჩილება. მისთვის სრულიად უჩვეულოა წრე და საზღვარი, კანონი და ნორმა. ქეშმარიტი ხელოვანი ქმნის მდუმარებით და სარწმუნოებრივი სასოებით. აქანდაკებს თავის ნააზრევს ყოველ სახეს უზადლოთ და უადრესი გულწრფელობით.

ქეშმარიტი ხელოვანი არასოდეს არ შედის იმის განსჯაში, თუ ვის მოეწონება ან ვის დააკმაყოფილებს მისი შემოქმედება, რამდენ ფულს აიღებს ან ვინ შეაქებს მას ამისთვის; იგი ქმნის თავის ნაწარმოებს შინაგან გრძნობებისა და განცდებით და მიიმებული.

ხელოვნური ნაწარმოები არასოდეს ძალდატანებით წინასწარადებული აზრით, საგანგებოთ ან დაკვეთით არ შეიძლება დაიწეროს, როგორც პუბლიცისტური წერილი, როგორც სპეციალი გამოკვლევა და თუ იწერება იგი ყალბია, ნაძალადევი, უსულესთეტიურ ემოციანალობას და შემოქმედებით სრულქმნას მოკლებული, იგი ხელოვნურია.



ხელოვნობა ერთია და ხელოვნება მეორე. მათი ბუნება არსებითად განსხვავებულია, მათი გზები დამოუკიდებელი პარალელებით მიდიან, მათი მიზნები სრულიად სხვა და სხვაა...

ქეშმარიტი ხელოვანი არაოდეს აუდიტორიას არ ეძებს. აუდიტორია თვით ეძებს მას. ხელოსანი კი აუდიტორიას დაეძებს. ქეშმარიტი ხელოვნება მარადიულია, ხელოვნობა კი დროული და წარმავალი.

მთელ საბჭოთა კავშირში და საქართველოში დღეს ხელოვნობაა გაბატონებული. აქ ლექსი, მოთხრობა, რომანი, პოემა, ქანდაკება, სურათი იყიდება ბაზარზე, ისე როგორც ნაადრევი კარტოფილი, როგორც ბოლშევიკურ პაპების ინდულგენცია.

მწერალი სწერს იმას კი არა, რასაც გრძნობს, რასაც განიცდის, არამედ იმას, რასაც გასავალი აქვს, რაც დაიბეჭდება, რასაც ხელისუფლება მოიწონებს, რაშიც მეტ პონორარს აიღებს, ასეა დაწერილი «ჯონ რიტი» (გ. ტ. პოემა) «ჯავშნიანი მატარებელი» (დ. შ. მოთხრობა), «თებერვალი» (რომანი ნ. მ.), «დეზერტირკა» (ახიანის) და ის აუარებელი ლექსები და პოემები პროლეტ მწერლების, გლეხკორების, მუშკორებისა და მწერლების, რომლებიც ბოლშევიზმის, როგორც გაბატონებულ წოდების ქება-დიდებას შეიცავს.

მართალია, ქართული მხატვრული შემოქმედება ამით არ ამოიწურება; ეგრე რომ იყოს, ეს ჩვენს ეროვნულ დაგლახებას მოასწავებს, არა! ეს გარედან მოკიდებული ხავსია, მარა კარგა მოზრდილი ხავსი; ეს ობია პოლიტიკურ ტირანიის სისასტიკისაგან შექმნილი.

გარდა ამ ხელოვნობისა, გარდა ამ იაფფასიან საბაზრო ნაწარმოებისა, ამ უკანასკნელ წლებში (21-28 წ.) ჩვენს ხელოვნურ შემოქმედებაში არის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალა, რომელშიც შიგა და შიგ თუ მთლიანად არა დღევანდელი ნატეხები მაინც მოცემულია.

თავისუფალი შემოქმედების გზები დღეს დახშულია საქართველოში, მართალია მისი თანამგრძობი და ჭირისუფალი საზოგადოება, მარა საზოგადოება პოლიტიკურ რეჟიმის ინკვიზიციისგან ხელფეხში ბორკილებ გაყრილია და დამონებული.

პოლიტიკურ რეჟიმის სისასტიკით აიხსნება ის გარემოება, რომ მხატვრული ლიტერატურა ისტორიულ თემებს შორეულ წარსულში დაეძებს (შ. დ. «უბედური რუსი», ნ. ლ. «რაინდები») ან ისეთ თემებს, რომელიც დღევანდელიდან არსებითად დაშორებულია (დ. შენგელია: «სანავარდო», გ. რობაქიძე: «გველის პერანგი», «ლინდა», «ლამარა», «მალშტრემ»; კ. გამსახურდია: «დიონისეს ღიმილი» და სხვა...).

თუ დიდხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა ხელოვნება იძულებულია გაყვეს ისტორიულ ან ყოფა-ცხოვრებით თემებს ან ერთსაც და მეორესაც დაშორდეს და მონახოს სულ სხვა სფერო, მარა იგი სისავსით დღევანდელიდან სახეობას ვერ ასახავს, მის შინაგნობის ბუნებასთან ვერ მივა. იმიტომ კი არა, რომ არ იყოს სამისო მასალა, იმიტომ კი არა, რომ დღევანდელიდან არ წარმოადგენდეს ამ მხრივ ფრიად მდიდარ ნედლ ყამირს, პირიქით, იგი მეტად მდიდარია, განსაკუთრებული და თავისებური, მარა პოლიტიკური რეჟიმი ამ მხრივ მიმართულ ყოველ გვარ მუშაობას შეუძლებელს ხდის



დღეს ხელისუფლება უქიჩავებს ხელოვნების ყოველ დარგს თავის სამსახურში
საკენ. ყოველგვარ საშვალებას ხმარობს იგი საპრაპაგანდო იარაღად გადააქციოს.

დღეს თეატრი, კინო, და მთელი რიგი დაქირავებული მელექსეებისა, რეჟისორებისა და მწერლებისა საკმაოდ მოზრდილ სუფსიდიებს დებულობს ხაზინიდან და მთელი ეს აპარატი დიდძალი მოხელეებით დაყენებულია საპრაპაგანდო ხაზზე. მთელი ეს ლიტერატურული ნაგავი კომუნისტურ წოდების მიერ აღიარებულია ნამდვილ შემოქმედებათ და ნამდვილი შემოქმედება კი გამოცხადებულია კონტრევოლუციად.

მართალია, ხელისუფლებას ძვირად უჯდება ეს საპრაპაგანდო ლიტერატურული დომხალი, მარა იგი ხარჯს არ ერიდება, თავს არ იზოგავს, რომ ბატონობა გაიხანგრძლიოს, მიზანს მიადწიოს.

ასე იყო ძველ რომში, როცა ნერონმა თავის ბატონობის გასახანგრძლივებლად ისროლა ლოზუნგი: მიეცით ხალხს პური და სანახაობა, რომ ძვალის გადაგდებით, რამდენიმედ მაინც მოედუნებია მის წინააღმდეგ განწყობილი საზოგადოებრივი აზრი. და მართლაც ხალხს მისცეს ცოტადენი პური და რომის ყველა კვარტალში გაიმართა თეატრი და ცირკი, სადაც თვით ნერონი გახდა აქტიორად.

კაცობრიობის ისტორიამ საშვალო საუკუნოების შემდეგ არ იცის ერთი მაგალითი აზროვნების და შემოქმედების ასეთი საშინელი შეზღუდვის.

მთელი საბჭოთა კავშირი და განსაკუთრებით საქართველო ესაა დარკინული საპყრობილე, რომლის ყოველ კარებში სდგას ალკოჰოლით გამოტენიებული ჯალათი; ამ საპყრობილეში დაბანგულია ყველაფერი, დამძიმებულია ჰაერი და ისმის მხოლოდ ბოლშევიკურ და მობოლშევიკო ბერების მონოტონური წირვა-ლოცვა.

ი. მანჭავა.

პარიზი. 1928 წ.



მ. წულუკაძე:

ე ს კ ი ზ ე ბ ი

თანამედროვე ქართულ ლიტერატურიდან.

გალაკტიონ ტაბიძე.

«ცხვრდობდა ვინმე... გულში ტარული
უთბოდდა ციურ შექთა გაშარა:
ამ ქვეყნად ხერდა მას სიყვარული,
მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა».

მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი?
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი,
მეფობს სიკვდილი—ჭკნობის მსურველი!
გაჭკრა ხერხელი, დასჭკრა ყვავილი!»

გალაკტიონ ტაბიძე.

ქართული მხატვრული მწერლობის ძირითადი თვისება სიცოცხლის სიყვარული, ამ სიყვარულით გამოწვეული სიხარული და გამარჯვება!


ქართული პოეზია დღის, სინათლის—მზის პოეზიაა! მან იცის, თუ რა არის ჭმუნვა, მაგრამ ის ამ მდგომარეობიდან თითქმის ყოველთვის მოდიმარი გამოდის. ვარდს უმღერს ქართველი მგოსანი, თუ გმირების ბრძოლას, გლეხის ჭირ-ვარამს, მუშის იმედებს, თუ მთელი ერის მისწრაფებას,—ის უტებს ხალისით შეჰყურებს ცხოვრებას, მომავალს. მაშინაც კი, როდესაც აშკარად ხედავს, რომ იმედი მარცხდება, ტანჯვა იმარჯვებს, მზე ჩადის, ბნელდება, ვარდი სჰკნება.

ღამეს მაინც დღე მოჰყვება, მზე ამოვა,—ჰფიქრობს ის,—მისი სხივები დამ-ჰკნარ ვარდს კვლავ გამოაცოცხლებენ, სიცოცხლე გაიმარჯვებს:—გაიხარებს ადამიანი.

ქართული მხატვრული მწერლობა სიკვდილის დამთრგუნველი, მისი უარმყოფელია! მას სწამს მხოლოდ ისეთი სიკვდილი, რომელიც სიცოცხლეს გზას უკაფავს, მას ადასტურებს:—სიკვდილი ბრძოლაში ხალხის,—ერის თავისუფლებისათვის.

ასეთ სიკვდილს ქართველი მგოსნები უძღვნიან თავის შემოქმედების უმშვენიერეს მომენტებს.—სიკვდილი სიცოცხლისათვის—დევიზია ქართულ მხატვრულ მწერლობის!

ქართველ მხატვარს არ უყვარს ღამე:—ღამე ცივი, უსიცოცხლო, საშინელი თავის ხმაურით, თუ საიდუმლო სიჩუმით, სიკვდილს რომ მოგაგონებს,—ღამე ნაემბერის ან ზამთარის,—თოვლ-ჰყვანიანი, წვიმიანი, სულს რომ უტანჯავს ადამიანს, გარედ არის ის ამ დროს, თუ თავის ცივ ოთახში განმარტობით.



თუ ქართველი მწერალი დამეს უმღერს, ის უთუოდ სიცოცხლის, სიხარულის მომგვრელი ღამეა:—მთვარიანი (მზის სინათლე), ცხოველი, გაზაფხულის ან ზაფხულის ღამე.

ბუღბუღი უგალობს მას, ცვარ-ნამით გაცოცხლებულ ვარდ-ყვავილებში ჩაყუჩული, სიყვარულზე, სიცოცხლეზე, იმედზე... და სადმე მიყრუებულ მშვენიერ კუთხე—ბაღში, ტყეში ან წყლის პირად—შეყვარებულნი ოცნებობენ მომავალზე:—მზის ამოსვლას ელიან,—ხვდებიან. მზეს უმღერს, მზეს შეჰხარის ყოველი.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა იმედიანი, ხალისიანი მწერლობაა:—მომავლის გამარჯვებით ჰსიცოცხლობს ქართველი მხატვარი.

ასეთებია:—ჩვენი დიდი შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, ამ ჰანზე აქვს მომართული თავისი ქნარი თანამედროვე ქართულ მწერლობასაც, რამდენათაც ის თავისუფალია.

თვით ნ. ბარათაშვილი, ასეთი მარტო, ასეთი რთული თავისი ხანმოკლე ტრადიკულ სიცოცხლით, უდიდესი მაგალითი არ არის განა ქართველ მწერლისა, რომელსაც მოთხოვნილება, სურვილი, მისწრაფება აქვს ბრძოლას, მომავალ სიცოცხლეს უმღეროს?!

და რა შუაშია მგოსანი, თუ მისი სიმღერა საზოგადოებას, ერს არ ესმის!!!..

სწორედ აქ არის ნ. ბარათაშვილის ტრალიზმი... მაგრამ არ დრკება მაინც მებრძოლი სული და, მშვენიერ რაშზე შემსხდარი მგოსანი იმედიანათ ჰყვიის:

«ტყვილად ხომ მაინც ან ჩაივლის ეს განწითლული ხულისკვეთება

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანდ ჩემი, მაინც დაჩქება»-ღ.

და არ არიან მართალი ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ ბარათაშვილის მერან «ფერდებ ჩავარდნილი ჰაკი ცხენია».—არა,—ეს ის ისტორიული რაშია, რომელზედაც ქართველმა ერმა მეოცე საუკუნის დასაწყისში კვლავ შეაჯინა თეთრი ჰაბუკი შვიდ მნათობთან სასაუბროდ. ამ ჰაბუკს უტკბეს სიყვარულით გამთბარი ძუძუ ილია ჰაჰვაჰადის «ქართველ დედამ» აწოვა და «აღმართ-აღმართ სიარული» მწვერვალზე მისალწევად ჩონგურით ხელში აკაკის ნათელამ ასწავლა.

II.

დიახ, ქართული მხატვრული მწერლობა სიცოცხლის, სიხარულის, სიყვარულის, ბრძოლის და გამარჯვების ხობტაა...

და სრულებით განმარტობით სდგას ამ მწერლობაში გალაკტიონ ტაბიძე.

ის არავის ჰგავს და მას არავინ. როგორც შინაარსით, ისე ფორმით მისი ჰოეზია განსხვავებულია.

თითქმის ოცი წელიწადი იქნება, რაც გალაკტიონ ტაბიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

გამოიცვალა დრო. გამოიცვალენ მგოსნები;—შეიცვალა მათი მხატვრული სახე, მათი მისწრაფება—გალაქტიონ ტაბიძემ შესანიშნავად შესცვალა,—გააფაქიზა, გაამსუბუქა, გააუმჯობესა—ფორმა და ამით კიდევ უფრო ნათლად გამოჰკვეთა თავისი მხატვრული სახე, უცვლელად შთენილი,—მისი შინაარსი (უკანასკნელ დრომდე).

გალაქტიონ ტაბიძე ტანჯვის მგოსანია,—მისი, როგორც ასეთის, გატაცებული



«ღჯანუბო ნადიმი»



«ცინტეების კეიფი დათივლ შეშელთან»

მომღერალი. მწერალის აზრით გრძნობა ტანჯვისა პასიურია და ამიტომ მის გამოსახულებაში პოეტიც პასიურია—უნდა იყოს.

და სწორედ ამ პასივობაში სჭვრეტს გალაკტიონ ტაბიძე ადამიანის განცდის მთელ სილამაზეს:—ტანჯვაა რომ აფაქიზებს ადამიანის სულს, აღრმავებს მის ბუნებას. მაგრამ როგორი ტანჯვა? ტანჯვა ყოველთვის ინდივიდუალურია—ჭფიქრობს მგოსანი და მხოლოდ ასეთს უმღერს ის თავის მშვენიერ ლექსებში. ტანჯვა აქტიური, კოლექტიური, რომელიც ადამიანს ადამიანთან აახლოვებს, საზოგადოებრივ სურვილში,—ბრძოლაში გადადის და გამარჯვებით, ან დამარცხებით თავდება, მგოსანს არ იტაცებს.—მას უნდა თავის განცდებში თავის სულთან მართო იყოს. მას არა აქვს მოთხოვნილება, ან სურვილი გაანდოს ვინმეს ამ სულის საიდუმლოება. მაშინ ის ხომ საიდუმლოება აღარ იქნებოდა!

ცალკე, მართო თავისი ტანჯვებით, თავისი განცდებით, მართო თავისი ვნებებით თავის «მე»-სთან.

სხვა ხომ მაინც ვერ გაიგებს: ვერავინ შეიყვარებს სულს ტანჯულს, განმარტოებულს, ვერავინ შეითვისებს მას!

ვერც მგოსანი შეითვისებს, შეიყვარებს სხვას! განა არ უნდოდა მას სიყვარული, შეთვისება?!

«ამ ქვეყნად ხურდა მას სიყვარული,
მაგრამ ვერავინ ვერ შეიყვარა,

თუმცა გულში მას

«ფარული უთრთოვია გიურ მუქთა გამარა».

აქ ადამიანის შეთვისებაზე, მასთან დაახლოებაზე და საზოგადოებრივ სიყვარულზეა ლაპარაკი. ამას უნდობლობით უცქერის მგოსანი.

გალაკტიონ ტაბიძეს მართლობა სურს—ის უყვარს. მას უყვარს თავის «მე»-სთან ბასი ცალკე, მისი წვალება და ამ წვალებაში ტანჯვა, ის ეტრფის სულის განმარტოებას, მასთან საიდუმლო ყოფნას.

სად? როდის? სად უყვარდა ედგარ პოს თავის სულთან ლაპარაკი?!

სად და როდის ესაუბრებოდა ივანე კარამაზოვი ეშმაკს თავის «მე»-ს უფსკრულში ჩასახედათ.

«მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი» ღამეს ეძებს, ღამეს უსინათლოს, სიკვდილივით ჩუმს—მართლობისათვის;—ამ ღამეში ყველაზე უფრო მივარდნილი,—შესაფერ ადგილს თავის სულში ჩასახედათ მგოსანი სასაფლაოზე კპოულობს.

აქ გრძნობს გალაკტიონ ტაბიძე თავს თავის სტიქიაში:—აქ არიან «მე და ღამე», «მესაფლავე». მაგრამ ეს არ კმარა.

ღამე უნდა იყოს ქარიანი, წვიმიანი, თოვლქყაპიანი, ცივი, სველი, რომელიც ჩუმ ღამეს მოჰყვება—ტანჯვისათვის, წვალებისათვის.

მართლობა, სულში ჩახედევა, საუბარი «მე»-სთან—ღამე ჩუმი, სასაფლაო! ტანჯვა, წვალება განმარტოებულ სულს—ღამე ნაწვალევი თვითონ!



და ხშირად შესვლებით «მე და ღამის» მომღერალს ნაბად-მოსურსებს წვიმია,
ღამეში სადმე ხის ქვეშ მწარე ღიმილით სახეზე, გაფაჩიხებულს...

«ან რას ღიმილით რად გავხეკერდდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამებს?
ან «მესადღავეს» რისთვის ვმღერდდი
ან ვინ იხმენდა ჩემს «მე და ღამეს?»»

ქარი და წვიმის წვეთები სშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე აგტირდი ვით მეფე ღირი,
ღირი ყველასგან მიტყვებული».

და იტანჯება ადამიანი, სუკნება ნორჩი არსება,—მგოსანი, რომელიც «ვარდთა
სისხლიან ბაგეს ეწაფებოდა თვალდახუჭული».

«შემოდგომის გზაზე» დამდგარი «მუკნარი ახალგაზდობა» მიეკანება ზამთრის
სიცივისაკენ.—ამ გაქანებაში არის სილამაზე მარტოობაში აღზრდილის!—გვეუბნება
მგოსანი.

ღამე, წვიმა, ზამთარი, სველი თოვლი, «ატმის ყვავილები, «ბებერი ქარისაგან»
განიავებული და მათთან მეგობრულად მობაასე ქართველი მგოსანი.

ამ ბაასში სიფაჩიხეა ტანჯვაში შობილის!—გვიმღერის გალაკტიონი.

ბევრს, თუ ყველას არა, გინახავთ ალბათ მგოსანი, მარტო ყოფნა რომ უყვარს
(თუ ესლაც უყვარს ნეტავი?!...) მაღალი ტანის, ფერმკრთალი, დატანჯულ თვალებით
(ნეტავი თუ ასეთია ესლაც?! თუ გამოიცვალა და გარდაიცვალა მისი ნაზი შე-
მოქმედება?!...)

«თენებათ რიგი თვალს მიფარა!
მტვრით გაისვარა წყალთა ღიკლივი,
ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა
წითლად დაჭტარა ბაღის ბილივი.

ბაღის ბილივზე მივდივარ და თან
გამრცვნილ ატამთან ზღვები გრღვდებოდა,
ხადამღვდებოდა და მზის ჩახვლასთან
მწუსნი თანდათან მიასლღვდებოდა».

«მწუხრის მოახლოება» ჰფარავს ფაჩიხ ტანჯვის საიდუმლოებას, ჰფიქრობს
მგოსანი და გვეუბნება: «რა იციან მეგობრებმა, თუ რა ტანჯვას იტევს გული»-ო, მაგ-
რამ იციან მეგობრებმა «თუ რა ტანჯვას იტევს» გალაკტიონ ტაბიძის გული (ნეტავ
ესლაც-თუ იმ ტანჯვას იტევს?!), რადგან მისი პოეზია ეს გალაკტიონია თვითონ—მისი
სული, მისი გული.

ძალიან იშვიათად (თითქმის არა!) მოიპოვება ქართულ მწერლობაში ისეთი
სუბიექტიური მგოსანი, როგორც გალაკტიონ ტაბიძეა.—

რა იწვევს ტანჯვას, რომლის განცდა ასე ტკბილ-მწარეა—გრძნობას, რომელიც «სულს ავსებს თოვლით» და «აბერებს» გულს?

რას «იტევს» სულში მგოსანი, რომლის «მომქეობა იანვარს არ ეძნელება»? რას?

«მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქაღწულებივით ხიდიდან ცვენა;
მწუხარე ვდმნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა».

სიყვარულია, ტანჯვას რომ იწვევს, ესოდენ სანატრელს, სიყვარული მუდამ მოალატე, მუდამ მიუწვდომელი! და ამ მიუწვდომელობაშია სწორედ ამ გრძნობის მშენიერება, მისი სილამაზე! «მერის» ეტრფი და «მერი სხვაზე ჯვარს იწერს» და კითხვაზე პასუხსაც არ იძლევა.

«ხოქვი: უცნაო გასხვიცხნება
რად ჩაჰქრა ასე? ვის ვევედრები?
რად ამრიალდა ჩემი ოცნება,
რღვდრც გადრენილ არწივის ფრთები?»

მგოსანს არც უნდა მიიღოს პასუხი:—ეს ხომ მისი წმინდა გრძნობის დამცირება, დაცინვა იქნებოდა! მისთვის საკმარისია, რომ მას უყვარს, უყვარს მართოდ, ტანჯვით,—ამიტომ მთელი თავისი არსებით.

რათ უნდა ტანჯვის მომღერალს პასუხი, როდესაც მისი «მე», მისი მხატვრული სული კითხვაც არის და პასუხიც?!

სიყვარული—მიღწევა:—ოჯახური ბედნიერება გალაკტიონისათვის არ არსებობს. მგოსნის სიყვარულის საგანი, მისი სატრფო არ ჰგავს იმ წითელ ლოყებიან, თქოვებ მაგარ გოგოს, რომელიც ცოლქმრობისათვის, სიცოცხლის გაგრძელებისათვის,—ოჯახისათვის არის გაჩენილი!

მისი საოცნებო ქაღწული ფერმკრთალი, ნაწი, ჰაეროვანი, არა ამქვეყნიური, სავედრებელი,—შორეული არსებაა!

მგოსანი ამ «იისფერ თოვლივით» ქაღწულის სიახლოვეს სულით განიცდის:—მას არ სურს ეს სიახლოვე სინამდვილეთ იქცეს. ზეარსი ქაღწული იგი, სითბოს ვერ იტანს და მხატვარი «ცივი სისოვლის მწუხარე გრძნობით ითმენს თავის შორეულ სიყვარულს. ითმენს და იტანჯება, იტანჯება და უყვარს:—სიყვარული ხომ მიუღწევლობა, ტანჯვა, საოცნებო ქაღწულის სახის გულში მუდმივი ტარებაა,—ქაღწულის, რომლის «თოვლივით მკრთალი ხელები» მგოსანს სულში უსვენია! ზეარსი ქაღწულის სიყვარული მგოსნის გულში აღბეჭდილი ირრეალი მოვლენაა: ის მუდმივი მისწრაფება, მუდმივი გარდაცვალებაა! რეალობა არის სიყვარულით დატანჯული გული. სიყვარულის მისაღწევად უნდა გარდაიცვალოს გული. მგოსნის სულს ზეარსს ქაღწულის სულთან გულის გარდაცვალება—სიკვდილი შეაერთებს:—უნდა მოკვდეს მგოსნის გული! ტანჯვის დაძლევა და სიყვარულის განხორციელება სიკვდილი არის.—ტანჯვა-სიყვარული-სიკვდილი-ხსნა!

«დირდა თუ არა სხვა სიგდესლესე
დგნება ჩუმი და ფერმისდილი,
მე გზა არ ვიცი უახლდესი:—
ერთად ერთი გზა არის სიკვდილი»...

და კუბო ვი დამით ხავსება იით
და წაქცეული სვეტები დგება:
ამოდის მთვარე და სამაიით
ფერმკრთალ ქალები მისოდის წყება.


გმკვავს სამეფოდ ნაქარგი ქლში
და სელხასდგთა ქრთან ზღაბრები
და შექანთან მშვიდ სამეფდში
მთები, სიხმრები და წინაბრები».

«ერთად ერთი გზა არის სიკვდილი», რომელიც განთავისუფლება ამ ქვეყნიურ საშინელ ტანჯვისაგან და კვლავ—შობა «სამუდამო ბალიშზე» «სამუდამო მხარეში»—სიყვარულისათვის. სიკვდილი სიმღერებში, ვარდ-ყვავილებში,—გედის სიკვდილი უნდა ტანჯვის მგოსანს.

«და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სვედიან გედათ,
დღონდ ვსთქვა თუ დამემ ხელში რღვორ ჩაიხედა,
თუ სიხმარმა ვით შეისხა ციდან გამდე ტრთები
და გამალა დგნებათა ლურჯი იალქნები—
თუ სიკვდილის სიასლდევე რღვორ ახსვაფერებს
მღმაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ რღვორ ვვრძნობ, რომ ხულისთვის ამ ზღვამ რემ აღმზარდა
სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის ვარდა»...

ხანდახან ჩვენ მგოსანს ეზინია სიკვდილის—«ქცობის მსურველის», ეზინია თავის სიტყვების,—ჟკან იხევეს. მაგრამ წუთიერი გატაცება—გადაქანება სიცოცხლის დამყარებისაკენ ჩქარა იძლევა და მხატვარი გედის სიმღერით კვლავ მიექანება «ლურჯა ცხენებით» «სამუდამო მხარისაკენ», სადაც «ჰქრება ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება, ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმსურვალეში».—მგოსანის დატანჯული სული თავის სიყვარულის საგანს ეხება,—სიკვდილით

«გამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭადარა გულის ზმანება ავი—
ჩააწყვეთ რიგში გამეტი ტყვია,
გამეტჯერ უნდა მოვიგლა თავი!»



«ცამეტი წელი», «ცამეტი ტყვია», «ცამეტჯერ თავის მოკვლა». — ცამეტი სიმბოლოური ციფრია, რომელიც ასე უყვარს გალაკტიონ ტაბიძეს — მწარე ბედის, ტანჯვის მგოსანს. «მეფობს სიკვდილი — ქცობის მსურველი», «პქრება სურნელი, სუკნება ყვავილი», გედი თავის უკანასკნელ სიმღერას მღერის, «ლურჯა ცხენები» მიჰქრიან «სამუდამო მხარეში», რომ «სამუდამო ბალიშზე» დასვენონ «ვნება-წამებით» დატანჯული გული...

III.

გალაკტიონ ტაბიძე თავისი შემოქმედებით განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართულ მხატვრულ მწერლობაში, რომლისთვისაც, როგორც ვთქვი, საზოგადოთ უჩვევია მოტივი, აქ გარჩეულ მწერლის პოეზიას რომ ახასიათებს.

გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის დასაწყისის ურწმუნო ხანის ურწმუნო შვილია. ამ ხანამ დასვა წაუშლელი დალი მის ახალგაზდა ფსიქიკას, მის ნორჩ შემოქმედებას. იმედების დამარცხებამ უიმედობა დაბადა მწერალში: — ის მოშორდა საზოგადოებას, მის ინტერესებს, ბრძოლას კოლექტივში, ამ მომენტების მხატვრულად გამოხატვაზე უარი სთქვა და თავისი შემოქმედება მისი «მე»-ს განცდებს დაუკავშირა.

სხვები ამ ხანის გავლენისაგან მალე განთავისუფლდნენ. გალაკტიონ ტაბიძემ თავის სულთან კავშირი არჩია: — არ მოისურვა განთავისუფლება.

ამას ზედ დაერთო ქუთაისის განსაკუთრებული ატმოსფერო: საზოგადოებრივი ცხოვრების სისუსტე, ინტელიგენციის უსაქმურობა, ფუქსავატობა, რომელიც ქუთაისის «ბულვარში» გრძნობდა თავს თავის ქერქში. ნაწი ფსიქიკის მგოსანს გული გაუტყდა. მეგობრები არსად იყ. კიდევ უფრო განმარტოვდა მწერალი და თავის «მეს» დაუშვებობდა.

ამ დროს ქუთაისში გამოვიდა ქართველ სიმბოლისტების ორგანო «ცისფერი ყანწები». გ. ტაბიძე დაუახლოვდა ამ ახალ მიმართულებას ჩვენს მწერლობაში, რომელმაც მის მხატვრულ შემოქმედებაზე ფორმის მხრივ (და არა მარტო მათზე) შესამჩნევი გავლენა მოახდინა. ამ გავლენას, რომელმაც ახალგაზდა მგოსანის შემოქმედების შებოჭვა მოისურვა და ახალ მიმართულებასთან დაკავშირება, ჩვენმა მწერალმა ძლიერი პოეტური ნიჭი და დამოუკიდებელი მხატვრული «მე» დაუპირდაპირა.

ხანმოკლე გამოდგა სიმბოლისტებთან დაახლოვება: — მგოსანი თავისი გზით წავიდა. მან უარჰყვა «ცისფერი ყანწების» ეთიკა და ესთეტიკა: «იისფერ ქალწულის» კავალერმა არ მიიღო ელენ დარიანის მეგობრების მხატვრული ხაზი.

გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული სახე ნათელია, პიროვნება მისი ჩამოყალიბებული. ის ვერ შესცვლის ქართული მწერლობის მიერ არჩეულ გზას. ვერც თავის სკოლას შექმნის მგოსანი. ის ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში დარჩება ისევე განმარტოებული, როგორც ის გრძნობს თავის თავს მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ მოახდენს გავლენას მისი პოეზიის ღირსებაზე. პირიქით!

გალაკტიონ ტაბიძე დარჩება ქართულ ლიტერატურაში ბევრ თავის ლექსე-



ბით, როგორც განსაკუთრებულ ინტიმიურ და ფაქიზ გრძნობების აღმცხველი მგოსანი, რომელთან მარტოდ დარჩენა და საიდუმლო საუბარი ხანდახან პირდაპირ შეუძლებელია ლებას წარმოადგენს.

ბევრი არ დაეთანხმება გალაკტიონ ტაბიძეს იდეურათ, ყველას, ვისაც კი ესმის რაიმე ხელოვნების, შეუყვარდება მგოსანი: მისი ლექსი, მისი განცდა, მისი ტანჯვა! რადგან, ვის არ განუცდია მომენტებით მაინც ის, რასაც მხატვარი განიცდის, როგორც ერთ უწყვეტელ მთლიან პროცესს. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული სულიერი კავშირი, რომელიც მყარდება ხოლმე მგოსანსა და მკითხველს შორის.

გალაკტიონ ტაბიძე არ არის მწერალი ყოველგან და ყოველთვის წასაკითხავი და გასაგები, როგორც მაგ. გრიშაშვილი, შანშიაშვილი, ნ. ნადირაძე და სხვ. მას თავისი აუდიტორია ესაჭიროება და განსაკუთრებული სულის ვითარება.

ლექსი მგოსნის, მისი წყობა, მისი რითმი, მისი დინამიკა მართლა საკვირველია.

ბევრი მისი ლექსები შეიძლება შედეგებად ჩაითვალოს:—«ლურჯა ცხენები», «ატმის ყვავილები», «მერი», «მთაწმინდის ღამე» დაამშვენებდნენ დიდ ერების ლიტერატურასაც—იმდენად ძლიერია მათი მხატვრული ღირსება. იშვიათია მხატვრულ ნაწარმოებში ისეთი შედუღება შინაარსის და ფორმის, იდეის და მისი განსახიერების, როგორც ამ ლექსებშია.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების გარჩევას მე დავამთავრებ მისი ლექსით, რომელიც საუკეთესო დახასიათებაა მგოსნის ნაზ და ფაქიზ შემოქმედების.

ატმის ყვავილები.

რტლებში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს.
ტყდობა, ნანაობს ვთვრი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

და ქარი შესვდა ატმის ყვავილებს,
ვარდისფერ ღილებს შეატყო ყრყოლა,
ფრთა დაატლბა გაუმღელ ღილებს,
დაწვდა ბილილებს და აათრთოლა.

ატმის ხე იდგა თაიფლივით,
იქ მას მიღვვით უთრთოდა ხელი!
შდრით მოხული გაზადხულ სხივით
და წამთა მძივით გარემოცული.

ატმის სე იდგა ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში:
ხინარნარეში სწვავდა მზის ძალი,
და გრძნობათ ალი სიმწუსარეში.

ატმის სე შლილი ოცნებას გავდა,
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ზშირად მზიბლავდა,
და ზშირად მწვავდა ტრფობის სურვილი!

მაგრამ ეწვია ატმის სეს ქარი
და ფრთა მეღვარი შემოაზვია,
აზღაფ ატყვია სეს განაზზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დაადრქვია.

რღვორც ზებლები მშვიდი და ფრთხილი,
შემდეგ აშლილი და აფრენილი—
გადაცვნილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყვნილი.

ოცნებათ რიგი თვალს მიეტარა!
მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლივი,
ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა
წითლად დაჭებარა ბადის ბილივი.

ბადის ბილივზე მოვდივარ და თან
გამრცვნილ ატამთან ზღვები გრღვდება,
სადამოვდება და მზის ჩახვლასთან
მწუსრი თანდათან მიახლოვდება.

მე აღარ ვდარდებ... რა მსურს, რას ვგელო
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი
მეგობს სიკვდილი - ჭკნობის მსურველი!
გაჭკრა სურნელი, დასჭკნა ყვავილი!



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

IV.

ასეთია, ასეთი იყო გალაკტიონ ტაბიძე უკანასკნელ დრომდე. მისი ქმედებები ნებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ მგოსანი «ახალი გზის» ძიებაშია. კარგია ახალი გზის ძებნა, თუ ის მხატვრულ შემოქმედების თავისუფალი აფრენის შედეგია, ცუდია და მიუღებელი თუ «ახალი გზა» შეფარდების საკითხად გადაიქცა მძებნელისათვის.

ვშიშობ, გულწრფელად ვშიშობ, რომ მაღალ ნიჟიერმა პოეტმა «ახლის» ძიებაში თავისი ძველად ნაცადი მხატვრული «მე» არ დაახურდავოს, თავისუფალი აღმაფრენა ბრწყინებულში არ ჩაუგდოს ნაძალადეგ ტენდენციას,—ფენი არ წაიტეხოს. ამის ნიშნები არის. ყოველ შემთხვევაში ამ ახალ მოვლენას გ. ტაბიძის მხატვრულ მოღვაწეობაში, თუ ის ხანგრძლივი გამოდგა, ახალი განხილვა, ახალი მიდგომა დასჯირდება.

მ. წულუკიძე.



ჭ ა უ პ ტ მ ა ნ ი ს ი უ ზ ი ლ ე ს გ ა მ ო .

ჯერ კიდევ 1922 წელში, როდესაც გერმანიამ გ. ჭაუჭტმანს 60 წლის შესრულების იუბილე გადაუხადა, ბერლინის ქართულ კოლონიაში დაიბადა აზრი მისთვის მისალმება გაეგზავნა. მაშინ ეს ვერ მოხერხდა.

მხოლოდ 1927 წლის ნოემბერში, როდესაც გ. ჭაუჭტმანის 65 წლისთვის შესრულება იდღესასწაულა გერმანიამ, მიეცა ამ კარგ აზრს განსორციელება.

«გერმანიაში მყოფ ქართველ მოქალაქეთა» სახელით გერმანიის დიდ მგოსანს შემდეგი მიმართვა გაეგზავნა ქართულათ და გერმანულათ დაწერილი:

მისალმება,—გაგზავნილი გეტ ჭაუჭტმანისათვის
65 წლის შესრულების გამო.

დიდ რუსთაველის პატარა, მშვენიერ სამშობლოდან—შორ საქართველოდან მოგვაქვს სალამი გვიანი.

«ქართველ მოქალაქეთა კავშირი გერმანიაში», არ შევცდებით თუ ვიტყვით, მთელი საქართველოს,—მთელი ერის—სახელით გილოცავს თქვენ, დიდ გერმანიის დიდ მგოსანს სამოცდახუთი წლისთვის შესრულებას.

—იმ საქართველოს სახელით გესალმებით, მგოსანო, რომელიც დღეს, უფლება აყრილი, თავის სუვერენობას მოკლებული, უშიშრათ, შეუდრეკელათ განაგრძობს თავის ტანჯვითა და თავისუფლებისათვის ბრძოლით მდიდარ ისტორიას.

უცხო ძალით დაპყრობილი საქართველო—სამშობლო მრავალ უნიჭიერეს მწერალთა და ხელოვანთა, მოკლებული საშუალებას ღირსეულათ, თავისუფლათ იდღესასწაულს ეს სასიქადულო წლისთავი, სიყვარულით და აღფრთოვანებული სიხარულით მოიგონოს შორეული, მაგრამ ასე ახლო მგოსანი, არ დაივიწყებს ტანჯული გულის მესაიდუმლეს, «განმარტლებულთა» სულის მგოსანს, მებრძოლთ მომღერალს.

ეს სიყვარული, ეს აღფრთოვანება მიიღეთ, მგოსანო, დღეს ჩვენ გვიან სალამში «მზის ამოსვლის წინ».

განთავისუფლებული საქართველო—სამშობლო მიჯაჭვულ ამირანისა, ხვალ თვით იტყვის სიტყვას ნათელს, სიტყვას მშვენიერს.

ქართველი ხალხი კარგათ იცნობს გერპარტ ჭაუჭტმანს.

საქართველოს უნიჭიერესი მწერლები და მსახიობები თავის ვალათ სთვლიდენ და სთვლიან გაცნობას ქართველ ხალხისას გერმანიის დიდ მგოსანს შემოქმედებასთან.

არა ერთხელ აღფრთოვანებულა ქართველი პაინრიხის მაღალ იდეალიზმით.



მის სამრეკლოს თვალუწვდენლობით, მისი სულის მშვენიერებით, ~~ჩვენ უნდა ვთქვათ~~ რომ ასე თავისათ მიაჩნდა და დატანჯულა მიწის ცრემლებით ~~დატანჯულა~~ საშინელებით.

მრავალჯერ განუცდია მას მგოსანთან ერთად ტრაგედია «განმარტოებულთა» და ადამიანის ზნეობრივი და საზოგადოებრივი დაქვეითების ისტორია ცხად «მოჩვენებით» გადაქცევია: მის წინ უბედურების ცრემლები უღვრია «როზა ბერნდს» და გულმოკლულ «ჰენშელს» სიკვდილისთვის თვალეზში შეუხედნია.

ბევრჯერ უბაასნია მასთან პაწია «ჰანნელეს» მისტიური ვიზიონებით...

და კვლავ იმედიანი ძახილი მოსმენია მას—ძახილი ძლიერ კოლექტივისა: წინ შეერთებული ძალით!

მასში თვალუწვდენელ სამრეკლოზე ჰაინრიხის ზარის ატანის იდეა კვლავ გადვიძებულა: მის თვალწინ გაუვლია «ფეიქრები»-ს ბრძოლის ისტორიას, ისტორიას უბრალოს, მაგრამ მით უფრო დიდს, მით უფრო იმედიანს.

აქ ქართველ ხალხს გერმანელი მგოსანი თავისათ უგრძობია,—მათ შორის უხილავი, მაგრამ მით უფრო მაგარი სულიერი კავშირი გაბმულა.

დღეს ამ სულისკვეთების გამომსახველი ჩვენ ვართ, სამშობლოს მოცილებული, მოწყვეტილი ქართველი მწერლები.

მიიღეთ, მგოსანო, ჩვენი გვიანი სალამი, როგორც სალამი მთელი ქართველი ხალხისა, გამოხატული სურვილში: ხანგრძლივი სიცოცხლე და მრავალი შემდეგი გამარჯვება ხელოვნებაში გერმანეთის დიდ მგოსანს გერჰარტს ჰაუპტმანს.

გერჰარდ ჰაუპტმანის პახუსი.

ქუმბარითათ პატივნაცემი იმ მართლა თბილ კავშირის გრძნობის გაბმით, რომელსაც თქვენ ჩემდამი მომართულ სალამში ასეთი ცოცხალი ფორმები ეძლევა, გულითად მადლობას გიძღვნი.

ერის და ადამიანის ტანჯვა კაცობრიობის ისტორიის თანდაყოლილი სენია და ამ ტანჯვისაგან განთავისუფლება იმალება მედგარ წინააღმდეგობაში და ჩვენი სულის სიძლიერეში, რომელიც ცოცხალ იდეალსა ჰქმნის.

მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ტანჯვის დაღები ერის და ადამიანის სახეზე მტკიცე საფუძველია კაცობრიობის წინსვლის ისტორიის უმაღლეს იდეის განსახორციელებლათ. და რწმენა, რომ ეს მართალია, მართალი უნდა იყოს, შეიძლება ჩვენი უმაღლესი ქონება იყოს.

ღრმა პატივისცემით გერჰარდ ჰაუპტმანი.

V

მ. ბილანიშვილი:

ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი

ხელოვნება თავის შინაარსით რთულია და იმავე დროს ერთიანი—მთლიანი. რთულია ის თავისი მრავალნაირი გამოხატულებით და ერთიანი—თავისი აუცილებელი პრინციპებით.

ის აზრი, რომ ხელოვანი საერთოდ ან მხატვარი კერძოდ არის თავისუფალი და შეუბრალები თავის შემოქმედებაში, არ არის სწორი. ნამდვილი მხატვრის წინაშე, რა მიმართულებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ყოველთვის ისმება ამოცანა: კომპოზიცია სიმბრტყეების, ხაზების, ფერების და ჩრდილ-სინათლის. ესაა უმთავრესი პირობა. შემდეგ კი მოდის მეორე ხარისხოვანი ამოცანები, როგორცაა: ფორმა, მასალის გადაცემა, გრძნობა და სხ.

რომ ამ საკითხში მხატვარი არის შებოქილი რაღაც ჩარჩოებით, ამის ნათელსაყოფათ მივმართოთ ხელოვნების სხვა და სხვა დარგებს. მაგალითად მუსიკა და პოეზია. ხელოვნების ეს ორი დარგი მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომად, გასაგებად ჩაითვლება და ამიტომაც საჭირო იქნება მოვიგონოთ რიტმი და ტაქტი—მუსიკაში; რიტმი და რითმა—პოეზიაში.

მუსიკოს—კომპოზიტორისათვის შეუძლებელია აუხვიოს გვერდი ამ აუცილებელ მოვლენებს. თუ მან ეს ჩაიდინა, მაშინ ეს მუსიკა კი არ იქნება, არამედ ხმაურობა. მუსიკა ხომ ბუნების ხმების რიტმიული და ჰარმონიული დალაგებაა და რაც ამ წესს არ დაექვემდებარება, ის მუსიკის სახელსაც ვერ ატარებს.

ამგვარ წესზეა დამორჩილებული მხატვრობაც. ყველა მისი მხარეები: ფორმა, ფერი და ხაზი, თუ სათანადოდ არ იქნა დამუშავებული ე. ი. რიტმიულად დალაგებული, ეს არ მოგვცემს ხელოვნების ნიმუშს, არამედ იქნება ბუნების მასალათა უბრალო შენაკრები.

მთელი იტალიური რენესანსი, როდესაც ხელოვნებამ ევროპაში თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია, სავსებით ეყრდნობოდა ზემო აღნიშნულ პრინციპს, ე. ი. ფერების, ხაზ-სიმბრტყეების და ჩრდილ-სინათლის კომპოზიციებს. ამავე პრინციპებზე იდგენ საფრანგეთის საუკეთესო მხატვრები: პრუდონი, პუსენი, ენგრი და სხ.



მაგრამ შემდეგში ძველმა აკადემიზმმა, რომელსაც მიზნათ ქონდა ტუნების ბრმათ მიბაძვა, განდევნა ეს პრინციპი მხატვრობიდან და ევროპიული ტუნების წესამდე მიიყვანა. მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში, დიდი ნიჟის მხატვრებმა შესძლეს ამ გაუვალ შუშაბანდის დანახვა, რომელშიდაც ჩაქედილი იყო ევროპის მხატვრობა და აქედან იწყება ახალი გზების ძიება და გამოსავალს პოულობენ ძველ რენესანსში, აფრიკისა და ოკეანის პრიმიტივიში. ამავე დროს ხდებოდა ინტენსიური შესწავლა ხალხური მხატვრობისა და შედარება სხვა და სხვა ხალხთა მხატვრობის პრინციპებისა. ამ ძიებაში ისევ ძველი და ყოველთვის ახალი აზიაც მოჰყვა. დასკვნა ამ ახალ საერთო მოძრაობიდან მიღებულ იქნა შემდეგნაირი: ძველი ეგვიპტეს მოქანდაკენი და მხატვარი იმავე პრინციპებით მუშაობდნენ, როგორც იტალიის რენესანსის მხატვრები, ისევე როგორც ინდოეთის და სპარსეთის მხატვრები და ხალიჩების მქსოვნი.

ამავე პრინციპებს ემყარება, როგორც მსოფლიოს ისევე საქართველოს ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის-ჯგვარის საყდრის (მწირის მონასტერი) აღმშენებელი და ჩვენი ხალხური გენიის გამომხატველი ნიკო ფიროსმანაშვილი, ტფილისის დუქნებში ცნობილი, როგორც ნიკო ფიროსმანი.

ახლა შევედგეთ ამ შესანიშნავ მხატვრის შემოქმედების გასინჯვას და სხვა მხატვრებთან შედარებას.

კომპოზიციაში, ნახატში, ფერებში ამ გარჩევის და შედარების დროს ბევრ საყურადღებო შემთხვევებს წავაწყდებით.

ნიკო ფიროსმანიშვილი ჩვენში ცნობილია, როგორც ნამდვილი ქართველი, ეროვნული მხატვრობის წარმომადგენელი, მაგრამ რათა და რისთვის, არავინ, არც ერთი კრიტიკოსი არაფერს ამბობს. გამოდის, რომ ფიროსმანი არის ქართველი მხატვარი იმიტომ, რომ დახატა ტფილისის კინტოები და მოქალაქენი; მე გამიგია ხშირად სხვა ერების მხატვართა წარმომადგენლებისაგან, რომ ნიკო არა ქართველი, არამედ საერთოდ კავკასიის წარმომადგენელია; ამ აზრს ასაბუთებენ იმით, რომ ტფილისელი კინტოები არა ქართველებიც იყვნენო. ამასთანავე ფიროსმანს აქვს ისეთი სურათებიც, როგორიცაა მალაკნების ცხოვრებიდან (მალაკნების ქეიფი) და სხვ. ამ საბუთების მიხედვით თითქოს უკანასკნელნი მართალნი არიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიღებთ დებულებას, რომ მხატვრის ვინაობა ირკვევა სურათის შინაარსით და არა ფორმით: ჩვენ თუ ამ დებულებას მივიღებთ, მაშინ გამოვა, რომ რუსთაველი არაბი ყოფილა, რადგან «ვეფხისტყაოსანი» არაბეთში იწლება და მომქმედნი პირნი არაბები არიან, ანდა ვიქტორ ჰიუგო ინგლისელი იყო, რადგან მისი «კაცი, რომელიც იცინის» ინგლისელების ცხოვრებიდანაა. ზემოხსენებულის შემდეგ ამკარაა, რომ ასეთი მსჯელობა მიუღებელია. მაშ რაშია საქმე? პასუხი სულ უბრალოა: რა ენაზეა დაწერილი თხუთულებანი? აი ამ ენაზე ვილაპარაკოთ.

ფიროსმანიშვილის ენა წმინდა ქართულია. მხატვრობის ენა კი შემდეგია: 1. ფერები. 2. ხაზების რიტმი. 3. ჩრდილ-სინათლე და 4 ფორმა. დაეწყოთ პირველიდან.

ფერები ფიროსმანს გარკვეული აქვს: ესაა შავი, აგურის ფერი, მუქი ლურჯი, ყვითელი მუქი, ნაცრის ფერი და მწვანე. ყველაზე მეტად სჭარბობს შავი ფონი, რომელიც ფონისა და ჩრდილის როლს თამაშობს. გავრცელებულია აზრი, რომ

ნიკოს ტილოს მაგივრათ შავი «კლიონკა» ქონდაო. ჩემის აზრით ეს სინამდვილეს არ შეეფერება; რომ ეს შავი ფერი ფირფიტისა და ფირფიტისათვის არ ყოფილიყო მისაღები, იგი დასურავდა ამ შავ ფერს სხვა ფერით ან და თუ ფერების ეკონომიას გასწევდა, სხვა ფერის «კლიონკას» აირჩევდა.

მე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ ამაში, რომ ფირფიტისა და ფირფიტისგან შავი ფერი განზრახ არის მიღებული. საერთოდ, თუ გაიცნობთ მთელ ხაზს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, დედამიწის გეოგრაფიულ სივრცეში, ტროპიკულ და უმთავრესად ქვეტროპიკულ ქვეყნებში, ჩინეთ, ინდოეთ, სპარსეთ, ბიზანტია, იტალია; ისპანეთ და საქართველოში, ცხადად დაინახავთ საშინელ სიყვარულს სუფთა შავი ფერისადმი. მე ვფიქრობ, ეს აიხსნება მზის სიძლიერით, რომელიც სურის თვალს და შავი ფერი თავისი თვისებით კი ჰკლავს სინათლეს და ამით ასვენებს ადამიანის თვალს. მე ხშირად გამიგონია, საქართველოში, მკათათვეში, საშინელი პაპანაქების დროს, გლეხი ამბობს: ერთი ჩრდილში თვალი დავასვენოვო! ეს გასაგებიცაა; ჩვენ მზიან ქვეყანაში მწვავე მზე, რომელიც ყველაფერს აერთებს სინათლეში და ჩრდილში, აძლევს სინათლეს რაღაც დაშლის ფერს და ჩრდილებს ხდის, კონტრასტის გამო, შავად. აი ამ შავ ჩრდილში ქართველი თავის თვალს ასვენებს. ყველაზე ახლო ჩვენს ბუნებას უდგება ისპანეთი და იქაც ასეთსავე მოვლენას ვხედავთ. ისპანეთის მხატვრობა უმთავრესათ შავ ფერს ხმარობს (რივერა, ველასკეი, გოია, ძურბარან და სხვანი). იტალიის მხატვრობაშიაც იგივეა. მოვიგონოთ ტიციენი, ბოტიჩელი, ლუინი, თვით ლეონარდო დე ვინჩი და ბევრი სხვა. ყველა ამ ქვეყანაში ხალხური ტანისამოსი უმთავრესათ შავია. ჩვენში ამბობდნენ, შავი ფერი შეითვისა ქართველმა ხალხმა იმიტომ, რომ მთელი მისი ისტორია იყო გლოვაო. ესეც შეიძლება იყოს, მაგრამ უმთავრესია ბუნების მოთხრობილება.

შავ ფერს ემატება ფირფიტის სურათებში ყვითელი და ეს ფერი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის (სადაც იყო დაბადებული ავტორი), ფერი ამომწვარ გორაკებისა და ფერი მომწიფებულ ყანებისა. მწვანე ფერი უდრის მწვანე ბაღებს, გამწვარივებულს მდინარეების ნაპირებზე, და რაც შეეხება წითელს, ეს ფერი ჩვენში არასოდეს არ იყო მიღებული, მის ალაგას არის შესაფერისი ჩვენთვის აგურის ფერი. ამისთანა ფერებით და არა ბევრით, როგორც ვხედავთ, ჰქმნიდა ფირფიტისანი ისეთ სურათებს, რომელნიც ცხადად გვაჩვენებენ დამახასიათებელ და მხატვრულ თვალსაზრისით, მეტად სრულ მხატვრობას.

ამ ფერების თამაშით ნიკო ფირფიტისანი ჰქმნის ჩრდილ-სინათლის შთაბეჭდილებასაც. მე ვიმეორებ, ჰქმნის შთაბეჭდილებას მეტი, იმიტომ რომ მთელ აზიურ და იტალიურ რენესანსის ხელოვნებაში ჩრდილ-სინათლე, როგორც ასეთი არ არსებობდა და მხატვრები მით სარგებლობდნენ მხოლოდ ფორმის გამოსაყვანათ. ძველი აკადემისტები აღნიშნავდნენ ამას, როგორც ნაკლს. რენესანსის ეპოქის სურათებზე ამბობდნენ, არ სჩანს, საიდან მოდის სინათლეო, მაგრამ სწორეთ სინათლის გამოყოფის შემოდების შემდეგ დაიკარგა ფერების კომპოზიცია, რადგან ფერი ჩრდილ-სინათლესთან განუყოფელად შეერთებულია.


ამ ფერების კომპოზიციას ფირფიტისანი აერთებდა ხაზების რიტმიულ კომპოზიციასთან, რაც ფერებთან შედარებით იძლევა სიბრტყეების კომპოზიციას. და პირდა-

პირ გაოცებაში მოდის ადამიანი, როდესაც ამ საზგასმულ კომპოზიციებში, ანუ კომპოზიციას, აშენებულს რაფაელისა და ტიციენის და ამასთანავე ახლანდელ ფრანგულ კუბისტების პრინციპებზე; მაგალითად ავიღოთ აქვე მოთავსებული ნიკო ფიროსმანის სურათები «ოჯახური ნადიმი» და «კინტოების ქეიფი დათიკო ზემელ»-თან, რომელნიც აშენებული არიან დიაგონალების და ამასთანავე ოთხკუთხედების ერთი მეორეზე დალაგების საშვალებით. საერთოდ ფიროსმანის კომპოზიციები ერთდამივე დროს, არიან აშენებული აზიური და ევროპული პრინციპებით (ფორმის მხრით); ეს იმიტომ კი არა, რომ ნიკო იყო ორივე შტოს გავლენის ქვეშ, არამედ სრულიად დამოუკიდებლად და მისი როლი მსოფლიოში მით უფრო დიდია, რომ მან დაამტკიცა: ხელოვნების საერთო პრინციპი ერთია ყოველგან, იქნება ის აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, და ჩვენი გეოგრაფიული-მდებარეობა უფრო სადათ, ვიდრე სხვაგან, ამედანებს ამ პრინციპს და ფორმის გრძობა კი ჩვენში სპეციალურია, რომელიც უდრის აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც და იმავე დროს არ არის არც ერთის, არც მეორის გავლენაში, რადგანაც წარმოადგენს თავისთავად მარტივ ელემენტს.

მაშასადამე, ნიკოც თავის კომპოზიციებს თვითონ ჰქმნიდა თავისი და ქართველი ერის გენიოსობის წყალობით. მამ საიდან და როგორ, ამ უმაღლესმა პრინციპებმა იჩინეს თავი ჩვენს ხალხში—და მის წარმომადგენელს ნიკო ფიროსმანაშვილში, ამაზე ვილაპარაკებთ შემდეგში, რადგან თემა იმდენათ რთულია და საინტერესო, რომ მისი ასეთ მოკლე განხილვაში მოთავსება შეუძლებელია.

დაბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ ფიროსმანი ერთადერთი მძივია იმ ჯაქვისა, რომელიც აერთებდა აზიას ევროპასთან და ამისთანა მძივები შეიძლება ბევრნი ყოფილიყვენ, მაგრამ ჩვენმა კრულმა ისტორიამ სხვები დაგვიკარგა. მოვიგონოთ ერთი, რომ ფიროსმანიშვილი არ არის მოვლენა შექმნილი ორი მიმართულების გავლენით, არამედ სრულიად ორიგინალური პიროვნებაა, გამოსული მთლიანათ ჩვენი ბუნებიდან.

მ. ბილანიშვილი,



სიმღერა (პიესა)

სიმღერა 1917 წლის

სიმღერა 1917 წლის

სიმღერა 1917 წლის

Canto

Vivo

Piano




მე ვიცი - ვიცი ბიჭის - ბიჭის ზნე-განა - გი-განა - გი-განა



მე ვიცი - ვიცი ბიჭის - ბიჭის ზნე-განა - გი-განა - გი-განა

The image displays a handwritten musical score on aged, yellowed paper. It consists of four systems of staves. Each system includes a vocal line (top staff) and a piano accompaniment (bottom two staves). The music is written in a style characteristic of 20th-century Iranian manuscript notation. Persian lyrics are written below the vocal line. The score includes various musical notations such as notes, rests, and dynamic markings like *pp* and *p*. There are also some handwritten annotations and symbols, including a large 'X' in the first system and a '2' in the second system. The paper shows signs of age, with some staining and discoloration.

Handwritten musical score on aged paper. The score consists of two systems. The first system has a vocal line on a single staff and a piano accompaniment on two staves. The vocal line includes lyrics in Armenian: "Կ - րո՞ւն քո-նա՞յր", "քո-նա՞յր - նա-ր-կո", "և քո-նա՞յր քո-նա՞յր". The piano accompaniment features chords and melodic lines. The second system continues the piano accompaniment. The word "Fin" is written at the end of the second system. The date "7 Երևան 1928" is written at the bottom right of the page.



VI




ქ ა რ თ ვ ე ლ ს ა ზ ო გ ა დ ო ბ ა ს

ერის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთოდ დიდი როლი, რომელსაც აკუთვნებს ისტორია ახალგაზრდობას და უმთავრესად მის მოსწავლე ნაწილს. მაგრამ კიდევ მეტი და განსაკუთრებული როლი დააკისრა ქართველ ახალგაზრდობას წლების ამ უკანასკნელმა ათეულმა—საქართველოს სუვერენულ არსებობის ხანამ და მის შემდეგმა პერიოდმა.

ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდობას დიდი და მძიმე მოვალეობა აწვა თავს და მთელი თავისი ენერგიით და თავგანწირვით ის კვლავ განაგრძობს ამ მოვალეობის ასრულებას.

დამოუკიდებელ საქართველოს გამავრებაში მონაწილეობა, მისი ფიზიკური დაცვა უცხო ქვეყნების თავდასხმებისაგან და ამავე დროს აკადემიური მუშაობა-სწავლა, ეროვნული კულტურის გასაძლიერებლად, მისი მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად—აი ის ორმაგი მოვალეობა, რომელსაც თვითეული ქართველი ახალგაზრდა გრძნობდა და პირნათლად ემსახურებოდა. აქ მისი სწავლა არ მიემართებოდა იმ გზით, როგორათაც ეს ხდებოდა ძველი რუსეთის ხელში, როცა ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი პასიური იყო თვით ამოერთიან სწავლის დარგი, როცა მშობლების სურვილი, კარგი ჯამაგირიანი შვილი ყოლოდა, თვით ახალგაზრდასაც იტაცებდა და ამგვარად სწავლა იხილებოდა მასზე დახარჯულ ფულის მომგებიანობის თვალთსაზრისით. დამოუკიდებელ საქართველოში ახალგაზრდობას თავის სწავლაში მხოლოდ ერთი მოტივი ახელმძღვანელებდა: ესწავლა, რათა ეს ცოდნა თავისი ქვეყნისათვის, თავისი ხალხისთვის მოეხმარა, მიეცა თავის მაცადინეობისათვის ისეთი მიმართულება, რაიც უფრო საჭირო და სასარგებლო იყო საქართველოს პირობებში.

მთელი თავისი გატაცებით დაეწაფა ის ამ მუშაობას, მთელი თავისი თავგანწირვით ებრძოდა ის ამასთან ერთად, იარაღით ხელში საქართველოს მტრებს. დიდი მსხვერპლი მიიტანა მან ამ ბრძოლაში სამშობლოს წმინდა საკურთხეველზე იმ რწმენით, რომ ეს მსხვერპლი არის უკანასკნელი და რომ ეს განდება საფუძველი ერის მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობისა.—მისი კულტურულ-ეკონომიური განმტკიცებისა.



მაგრამ ბედმა ეს იმედები არ გაამართლა და, საქართველოს გარეშე ძალის მიერ დაპყრობით, კიდევ მეტი გამოცდა, მეტი გაჟივრება და მსხვერპლი მოითხოვა ახალგაზრდობიდან ქვეყნის დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად აქ ახალგაზრდობა არალეგალურ მუშაობაშიც და ბრძოლის გადამწყვეტ და უღმრთებელ მომენტებშიც ყოველგან სათანადო რიგებში იდგა, უშიშრად მიდიოდა მტერზე და დაპყრობილ საქართველოს პირობებში მან თავისი მოვალეობა მხოლოდ ამ ბრძოლით შემოხაზა; სწავლაზე ფიქრი მეტად ძნელი შეიქნა იმ უმაგალითო რეპრესიებისა და ცხოვრების ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელიც დაამკვიდრა ჩვენს ქვეყანაში რუსმა დამპყრობელებმა. დიდი უმრავლესობა მოწინავე ახალგაზრდობისა ან საცხებით გამოასალმეს სიცოცხლეს ან წელი სიკვდილის პირობებში ყავთ რუსეთის ცივ ციხეებში მომწყვდეული. საქართველოში მყოფნი კი სასწავლებლებს გარეშე და ჩეკის განუწყვეტელ თვალყურის და დევნის ქვეშა მოქცეული.

ამის მიუხედავად, ახალგაზრდობა კიდევ მეტის სიმტკიცით ადგას თავის მოვალეობას ეროვნულ საქმის წინაშე და განაგრძობს ბრძოლას შეუსუსტებელის ენერგიით. თუ მას იქ წართმეული აქვს ყოველგვარი საშუალება სწავლისა, ის მაინც, ისე როგორც საერთოდ, აქაც იმედით უცქერის საქმეს, იქვი არ ებადება იმაში, რომ უცხოეთში გადმოხვეწილი ახალგაზრდობა, რომელსაც ყოველ შემთხვევაში ფიზიკური საფრთხე არ უდგას წინ, მისცემს მომავალში ჩვენს ქვეყანას საკმაოდ მრავალრიცხოვან ინტელექტუალურს კადრს და მით შეავსებს იმ დანაკლისს—დანარალებას, რომელიც აუცილებლად ახლავს ყოველ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, და ჩვენს ბრძოლას კი—განსაკუთრებით.

ამგვარად აფასებენ საქართველოში საზღვარ-გარეთ მყოფ ახალგაზრდობის მდგომარეობას და ჩვენი ვალია ყოველი ღონე ვისმართო, რომ გადავლახოთ ათასგვარ დაბრკოლებათა ხლართი, რომელიც აგრერიგათ გებორკავს, ხელს უშლის ჩვენს აკადემიურ მუშაობას და ნაწილობრივად მაინც, თუ მთლათ არა, გავამართლოთ ეს იმედები.

მართალია, მეტად მძიმე პირობებში უხდება ცხოვრება უცხოეთში ქართველ ემიგრანტ ახალგაზრდობას. მთელი დღეები ქარხანაში მუშაობა არა თუ ართმევს მას საშუალებას გონებრივ წინსვლაზე ფიქრისას და მუშაობისას, არამედ წარსულში შეძენილ ცოდნის წელი და სრული დაკარგვითაც კი ემუქრება. ასეთი საფრთხე უეჭველია არსებობს და ამიტომაც მთელი ჩვენი ძალა და გულისყური აქეთკენ უნდა იქნას მიმართული. საჭიროა რაც შეიძლება მეტის ყურადღებით, თანაგრძნობით და დახმარებით მოვეპყრათ ყოველივე ისეთ საქმეს, რაიც ახალგაზრდობის გონებრივ წინსვლას ემსახურება.

ლექციები, მოხსენებები, ამხანაგური საუბრები სხვადასხვა თემებზე, უმათავრესათ მეცნიერულ-ლიტერატურულზე, აუცილებელია მოწყობილ იქნას ყოველგან, სადაც კი არსებობს თუნდაც სულ პაწია ჯგუფი ახალგაზრდათა. ისინი რომელთაც აქვთ საშუალება უმაღლესში სწავლისა უნდა აქტიურათ ჩაებან ამ მუშაობაში და თავისი ცოდნა და შედარებით თავისუფალი დრო მოახმარონ ამ საერთო საქმეს. ემიგრაციაში მყოფმა ახალგაზრდობამ თავის დროზე და თავის ადგილას მეტათ მჭერმეტყვე-



ლურად დაამტკიცა ფიზიკური ბრძოლისა და სამშობლოსთვის თავდადების უნარი. თავის საყვარელ ქვეყანას მოწყვეტილმა და კულტურულ ევროპაში თავშემოქცეარბულმა, მან ესლა უნდა დაამტკიცოს თავგანწირვისთვის ამგვარ მზათყოფნასთან ერთად, თუ როგორის ენერგიით შეუძლია მას კულტურულ-აკადემიურ მუშაობის წარმოება.

ერთ მთავარ ძალად, რომლის საშუალებით და რომლის გარშემო იწარმოებს ეს მუშაობა, ვფიქრობთ, გახდება ჩვენი კრებული. მან უნდა მისცეს ახალგაზრდათა წრეებს მასალა ლექციებისა და საუბრებისათვის, გამოიწვიოს ინტერესი სხვადასხვა აკადემიურ საკითხების დამუშავებისათვის. კრებულმა უნდა შექმნას ახალგაზრდებში წამქეზებელი განწყობილება—იმუშაონ, სწერონ და თავისი ნაშრომი ჩვენი კრებულის ფურცლებზე მოათავსონ. ამრიგათ წარმოიშვება ახალი კადრი სამწერლო ასპარეზზე მომუშავეთა. ამ გზით მოხდება, ერთის მთავარის მხრივ, ახალგაზრდობის გონებრივი წინსვლის საქმის მოგვარება, ამ საქმის ჯეროვან დონეზე დაყენება.

ასეთი გეგმებით იწყებს სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება კრებულ «კავკასიონი»-ს გამოშვებას. მაგრამ იგი ვერ დაფარავს შიშს, რომელსაც ის ამ საქმის კეთებისას განიცდის. ის კარგათ გრძნობს, რომ წინასწარ განწირულად უნდა ჩაითვალოს ამ საქმის ბედი, თუ მასთან არ იქნება ახალგაზრდობის უღრეკელ ნებისყოფასთან ერთად მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება და დახმარება. უფროს, გამოცდილ ძალების დახმარებასა და თანამშრომლობაშია კრებულის ბედი. ასეთ დახმარების გარეშე, საერთოდ, ახალგაზრდობის განსწავლა, მათთვის გზის გაკაფვა არ მოხერხდება.

მრავალგვარ მიმე დაბრკოლებათა მიუხედავად, ჩვენ მტკიცე იმედით შევეყურებთ «კავკასიონი»-ს მომავალს, დარწმუნებულნი, რომ ეს კრებული გახდება ქვეშაორიტი გამომსახველი ჩვენ მიერ დასმულ ამოცანებისა და რომ არც ერთი წრე ქართული ემიგრაციისა არ მოაკლებს მას თავის თანაგრძნობას.

ქართველ სტუდ. ენდვნ. გაერთიანების გამგეობა.



სომხით-საზღვარულს ქმლავის წარწერები.

(ნიწილი პირველი)

ქვემო მოყვანილი წარწერები შეკრებილია 1894—1900 წლებში. ესენი უნდა დაბეჭდილიყო წერილების რიგში, რომელთა საერთო სახელი იყო «არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი» და რომელნიც იბეჭდებოდენ ჟურნალ «მოამბეში», მაგრამ 1905 წელს «მოამბე» დაიკეტა და მასალის ბეჭდვა შესწყდა. რაც დაიბეჭდა, ის შემდეგ ცალკე წიგნათაგ გამოვიდა (იხ. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი წიგნი პირველი. ტფილისი, 1907). პირველ გვერდის შენიშვნაში ამ წიგნისა ნაჩვენებია, რა უნდა ყოფილიყო მოთავსებული ამ გამოცემაში და ვინ შეგვიწყო ხელი და დახმარება ამოგვიჩინა ჩვენი სხვა და სხვა დროს მოგზაურობის დროს.

შემდეგ ამ მხარეს ჩვენ გავგზავნეთ გვეგების და სურათების გადმოსაღებად იმ ძეგლებისა, რომელნიც ჩვენ ნახული გვექონდა, სამოქალაქო ინიცირი კალგინი, მისი თანაშემწე გ. ებრაელიძე და მხატვარი გრინევსკი. ზოგი ამათი შესრულებული გვეგები გამოცემულია ჩვენს არხეოლოგიურ მოგზაურობათა ალბომში, რომელსაც ჩვენმა უნივერსიტეტმა დაარქვა: «ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი», შედგენილი პრაფ. ექ. თაყაიშვილის მიერ, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1924 წ. იხილეთ აგრეთვე ჩვენი «კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოყენისა», ტფილისი. 1920. გვ. 17—16.

ფოტოგრაფიული სურათები ძეგლებისა მოიპოვება ერმაკოვის კოლექციაში. რომელიც ეხლა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და ტფილისის უნივერსიტეტს ეკუთვნის, ზოგიც, მცირე ნაწილი, როინიშვილის კოლექციაშიც იყო. ფოტოგრაფი როინიშვილი ჩვენი მოგზაურობის დროს შეგვხდა ბოლნისში.

1852 წელს ამ მხარეში იმოგზავრა ნუმიზმატმა და არხეოლოგმა პოლკოვნიკმა ბარტოლომეიმ, გადმოიღო წარწერები ესტამპაჟით და გაუგზავნა ბროსეს. ბროსემ გაარჩია და დაბეჭდა Mélanges Asiatiques-ში, t. II, p. 264—344. ბარტოლომეის დიდის მასპინძლობით შეხვდა და დაატარა ეს ადგილები იმიტრი ორბელიანმა.

მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების გამოცემაში ეგრედ წოდებულს მატერიალებში კავკასიის არხეოლოგიისა (ტ. VII, გვ. 63—64) ალ. ხახანაშვილს მოუქცევია სტატია პითარეთის მონასტრის შესახებ, მაგრამ აქ არა თუ ახალი არაფერი არ არის, არამედ არსებული ცნობებიც ვერ არის ჯეროვანად გადმოცემული. ახალი მარტო ისაა, რომ ცნობას დართული აქვს მხოლოდ ერთი პატარა სურათი მონასტრისა ერმაკოვის მიერ გადმოღებულს.

ეხლა ხანს ვნახეთ საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი III, 1927 წელი, რომელშიაც მოთავსებულია ახალგაზდა მკლევარის გ. ჩიტაიას სტატია: «პითარეთისა და გუდარეხის საფლავის ქვები», გ. 110-126. აქ მოყვანილია წარწერები ცხრა სასაფლაოს ქვისა პითარეთის მონასტრისა და დართული აქვს ესტამპაჟით გადმოღებული სურათები.



რატი ერთი საუკეთესო სასაფლაოს წარწერისა, მე—8 მის სტატიისში და მე—9 ჩვენს საში. თავი წარწერა ეკლესიისა მას არ მოჰყავს, მაგრამ ამბობს, რომ მისი წაკითხვა ახალ კონიექტურებს მოითხოვს (ბროსეს წაკითხვასთან შედარებით) და სასურველია იგი გამოიცეს ხელმეორედ. წარწერა მას ესტამპაჟით გადმოუღია და გადაუტია საქართველოს მუზეუმისათვის.

ჩვენთვის ჩიტაიას წერილში ახალია წარწერა მარანისა 1696 წლისა, რომელშიაც იხსენიება წინამძღვარი იობი (გვ. 118). ეს წარწერა ჩვენ არ შეგვიინიშნავს. ჩვენ ვიყავით პითარეთში 1896 წელს. გავემგზავრეთ ტანძიდან, ჩვენთან იყვნენ: ჩენი მასპინძელი გიორგი ორბელიანი, მისი ვეჟილი გიგო შანშიაშვილი, ჩემი თანამოსამსახურე არ. ქუთათელაძე და გ. ორბელიანის მსახური. მანამ მე თავწარწერას ვარჩევდი, ჩემი თანამგზავრნი შეუდგენ საფლავის ქვების გამოჩენას, რომელნიც დაფარულნი იყვნენ ნეხვით და მტვერით. მათ ოთხი საათი მოანდომეს ქვების გაწმენდას. სულ გამოჩენილ იქმნა 18 სასაფლაო. საფლავის ქვების წარწერები სანახევროდ იყვნენ დაცულნი. უმეტესი მათგანი დაწერილი ყოფილა მარმარილოს ქვებზე და ისე ჩაკერებული სასაფლაოს ლოდებში. ასეთი მარმარილოს რვა ქვა ამოუღიათ და დაუტაციათ. დარჩენილა ის წარწერები, რომელნიც უბრალო ქვებზე წერებულა. ჩვენ მოვასწარით გარჩევა 9 წარწერისა, მეათე წამოსვლისხანს შევამჩნიეთ საკურთხეველში და გარჩევა და გადმოწერა ვედარ მოვასწარით. გვაგვიანდებოდა, ტანძიის გზა დაკიდული მთით იყო, ტყიანი. საკურთხეველის სასაფლაოს წარწერა არც ჩიტაიას წერილშია. ჩიტაიას წერილის შემდეგ შეგვეძლო სასაფლაოს წარწერები აღარ აგვეწერა, მაგრამ შედარებიდან აღმოჩნდა, რომ ჩვენს შემდეგ ზოგი წარწერა კიდევ უფრო დაზიანებულია და სრულად აღარ იკითხება. შეადარე მაგალითათ ჩვენი მე—4 წარწერა, რომელიც მთელათ არის აღდგენილი, და ჩიტაიას მე—3, სადაც გამოუცნობი რჩება, თუ ვინ მარხია ლოდს ქვეშ. რაც შენახულა, იმაშიაც აქა-იქ მცირე განსხვავება არის წაკითხვაში და ამიტომ მოგვყავს მომავალი მკვლევარისათვის გულდასმით შესამოწმებლად. საქირთა ამ წარწერების ფოტოგრაფიულად გადაღება.

პითარეთის მონასტრის წარწერები *)

წარწერების განხილვას ვიწყებთ პითარეთის მონასტრიდან, მაგრამ საქირთ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ყველა ქვემო მოყვანილი წარწერების გარჩევა ბოლნისის სიონის წარწერების დართვით ჩვენ წაკითხული გვაქვს მოხსენების სახით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1920 წელს (სხდომის ოქმი ეხლა მე არა მაქვს ხელში). ამას გარდა აწერილობა პითარეთის მონასტრისა, ტანძიის ეკლესიებისა თვედორ-წმინდანებისა, ქვეშისა, გეგმებით, წარწერებით და ზოგიერთი ფოტოგრაფიულის სურათებით სხვა სტატიებთან ერთად გავზავნილი იყო ნ. მარტთან აკადემიის გა-

*) გეგმა მონასტრისა იხილე ჩვენს ალბომში. სურ. 44. სხვა გეგმები, ფასადები და აქვარელით გადმოღებული მხატვრობანი გრინევსკისა (იხ. ჩვენი კატალოგი ხუროთ მოძღვრებათა გამოფენისა, გვ. 19, № 158—164) დაცულნი არიან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში და საქირთებენ გამოცემას.

მოცემაში დასაბუქდათ. სადაც წინეთ იბეჭდებოდა ზოგიერთი ჩვენი სტატიები, მაგრამ დროთა ვითარების გამო არ დაიბეჭდა და ჯერ არც უკან მიგვიღია. აქ მარტო წარწერების გარჩევა გვაქვს მიზნათ დასახული.

თავი წარწერა პითარეთისა, რომელიც მოგვითხრობს მონასტრის აშენების ამბავს, ამოჭრილია ექვს ქვაზედ შიგნით სამხრეთის კარის ბუჩისა, აღმოსავლეთის კედელზედ. თაღის მსგავსი გრენილიანის ჩუქურთმის ქვეშ. წარწერა იმდენათ დაზიანებული არ არის, რამდენათაც შემურვილია ჭუარტლით მწყესების ნანთებ ცეცხლისაგან. ასომთავრული ასოები წარწერისა ღრმათ არ არიან ამოჭრილნი და არც კლასიკური ხანის სილამაზეს მოგვაგონებენ. ბარტოლემეის მიერ გადმოღებული წარწერა ალბათ არ სცოდნია თ. ურდანიას, რომელსაც წარწერა მოჰყავს (ქრონიკები, II, გვ. 177) იაკიმოვის მიერ გადმოღებულის პალეოგრაფიული პირიდან ბევრათ უფრო დამახინჯებულად, უფრო მეტის სიტყვების გამოშვებით და შეცდომებით, ვიდრე ბროსეს აქვს. ფოტოგრაფიულს სურათს წარწერისა აქვერ ვათავსებთ, ვინაიდან მარრთან არის გაგზავნილი და მეორე სურათი, რომელიც ხელთა მაქვს, უვარგისია და გამოცემა არა ღირს. ერთი ორი სიტყვის გარდა, რომელიც ფრჩხილებში მოგვყავს, წარწერის აღდგენა შეიძლება ასე:

ქ. ს^ნ ღთა მ^მისათა და ძისათა და ს^ლისა წ^წისათა: შ^შწწნითა და მ^მბ^ბთა ყ^დ 1
 წ^წსა ღ^ღთს შ^შლისა [ა] და წ^წთითა რ^რნი ს^სკნიტგ^გნ ს^სთნო ეყვნ^ს ქ^ქა ღ^ღსა ჩ^ჩნსა ღ^ღმარს
 ვიქმნ მ^მნდბათა. ღ^ღსათა. მე ქვეთრ ქვეფასქე ამირეჯიბი თუთ მპყრბლასა
 ძ^ძლრის მფთ მფსა გ^გნისი აღწნ^ბდ ამს მ^მნსტ^რსა. და სყდრსა დედის ღ^ღს არაფისი პ^პრ
 თეს თ^ნრ ჩ^ჩმსა ღ^ღაზრისა და გ^გრმლითა მოგ^ბლისა ვიყ^დენ ტ^ტნძიამ და თვდ^რ 5
 წ^წნი ჩმთავე გ^გრმლთა მონგ^ბთა სფ^სსათა. მათვე ღ^ღთვ ს^სნ^ტრელთა დიდთა: მ^მფთა
 [ჩ^ჩთა] ს^სბ^ნდ შ^შვსწრნ მ^მს ყ^დ წ^წსა ღ^ღთს მ^მშ^ბლსა ფიტ^რთისსა. სმლცვლდ. მფ^ბსა, მ^მთსა
 [და ც^ცასა] ჩ^ჩნსა ს^სლსა. მ^მშ^ბლთა და ძ^ძმ^თა შ^შვლთა და მ^მშ^ვლთა ჩ^ჩმთა თ^ს არა
 ვისგნ შეიცვლენ არცარ^მ ვისსა მ^მრთ^ლ აქ^ს ვ^ვტყი მ^მწ^მბითა: ღ^ღმთა და რამნცა
 გ^გმოაგნეს ანუ ქ^ქევე დ იკ^დროს და ამს მ^მნსტ^რისა დაკლებდ დიდი მყოს 10
 გინა მცირე კ^კრლ იყოს: დაუს^ბმისა ღ^ღთისა. პირ^თა. მკ^დრამ და ც^ცცელი ა^ნ:

ამ წარწერაში ასო «ი» იხმარება ასო «ი»-ს მაგიერ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მის წინ სხვა ხმოვანი ასო არ იგულისხმება, მაგალითად; ღმარს (მე-2 სტრ.), მმდობითა (მე-3 სტრ.), თუთ მპყრობელასა (იქვე), საფასითა (მე-6 სტრ.); აქ კიდევ შეიძლება ვიგულისხმეთ სრული ფორმა საფასოითა), ცოდვილისა (მე-8 სტრ.), მყოს (მე-10 სტრ.), მკუდარამ (მე-11 სტრ.).

არის შემთხვევა, სადაც უნდა ყოფილიყო მ და ჩვენ ვხედავთ ასო «ი»-ს, მაგალითად: «დაუს^ბმის» უნდა ყოფილიყო დაუს^ბმის და მაშინ იქნებოდა ჩვეულებრივი ფორმა «დაუსაბამოსა», ესლა კი იძულებული ვართ წავიკითხოთ «დაუსაბამისა».

ასოები ო და უ წარწერაში გამოხატულნი არიან ერთი და იმავე ასოთი, რომელიც შემდეგი დროის ასომთავრულ «უ»-ს უფრო გავს ვიდრე «ო»-ს. მაგალითად სიტყვებში: «დაუსაბამისა» (მე-11 სტრ.) და «მყოს» (მე-10 გვ.) «ო» და «უ» ერთმანეთისაგან არ განიჩხვებიან.



ნათესაობითი ბრუნვაში სიტყვები ხშირად შეკვეცილი ფორმით არიან წარმოდგენილი ვიდრე სრული: «ღ-თს მშობლის» (მე-2 სტრ.), ღ-თის მშობლისა მაგიერ, «დედის ღმრთის» (მე-4 სტრ.) დედისა ღმრთისა მაგიერ. «ძლიერის» (მე-4 სტრ.) ძლიერისა მაგიერ. ამავე ბრუნვაში სიტყვის მაგიერ «გიორგისა», გვაქვს მეორე ფორმა «გიორგისი» (მე-4 სტრ.).

აღსანიშნავია კიდევ ასე «ვ» ხმარება «უ»-ს მაგიერ კლასიკური დროისა სიტყვაში «ეყენეს» (მე-2 სტრ.) «ეყუნეს» მაგიერ. ეს მაგალითი გვაფიქრებებს, რომ შესაძლო იყო სხვა ამგვარ შემთხვევაშიც «ვ» ყოფილიყო «უ»-ს მაგიერ, რომ სიტყვები შემოკლებით არ იყოს გადმოცემული, მაგალითად ფორმები: «მკვდარი» მკუდარი-ს მაგიერ (მე-11 სტრ.), «აქეს», «აქუს» მაგიერ (მე-9 სტრ.) და სხვა.

შემოკლებული სიტყვა «ქვთრ» ნიშნავს: «ქავთარ»-ს, მაგრამ გადაქრით ძნელია თქმა «ქჯფმსძე» როგორ უნდა წავიკითხოთ: ქაჯაფამსძე თუ ქუჯაფამსძე, ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია ვიგულისხმოთ აქ «ქოტაფას ძე», როგორც თ. ყორდანიძე კითხულობს (ქრნ. II, 177).

«მართალ აქუს» ნახმარია სიტყვების მაგიერ «სიმართლე აქუს».

სიტყვის შემდეგ «რამნცა» (მე-9 სტრ.) გამომშვებულია ჩვეულებრივი «კაცმან».

შემოკლებაში «თედრ წნი» იგულისხმება «თედორ-წმიდანი», როგორც ქვემოთ დავინახავთ ასეთი სახელობის ეკლესიის წარწერიდან.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენ უქარაგმოდ წარწერას ასე ვკითხულობთ:

«ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისაჲთა, შეწევნითა და მეოხებითა ყოვლად

წმიდისა ღმრთის მშობელისა და წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნიტგან სათნო ეყენეს ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, ღირს

ვიქმენ მინდობითა ღმრთისჲთა მე ქავთარ ქაჯაფამსძე *) ამირეჯიბი თვთმპყრობელისა, ძლიერის მეფეთ მეფისა გიორგისი, აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დედის ღმრთისა. არაჲ ვისი ჰრ

თავს თვნიერ ჩემისა ლაშქრისა და კრმლითა მოგებულისა. ვიყიდენ ტანძიამ და თედორ-წმიდანი ჩემითავე კრმლითა მონაგებითა საფასითა, მათვე ღმრთივ სანატრელთა დიდთა მეფეთა

[ჩუენთა] საბედნიეროდ. შევსწირენ მას ყოვლად წმიდასა ღმრთის მშობელსა ფიტარეთისასა სამლოცველოდ მეფობისა მათისა,

[და ცოდვილისა] ჩემისა სულისა, მშობელთა და ძმათა, შვილთა და მომავალთა ჩემთათჳს. არა-

ვისგან შეიცვალენ, არცარაჲ ვისსა მართალ აქუს, ვიტყვი მოწმობითა ღმრთისაჲთა. და რამანცა

გამოაჯუნეს, ანუ ქცევად იკადროს და ამის მონასტრისა დაკლებად, დიდი იყოს, გინა მცირე, კრულ იყოს დაუსაბამისა **) ღმრთისა პირითა მკუდარი და ცოცხალი. ამინ.»

მეფე გიორგი ამ წარწერისა, როგორ სწორად აქვს განმარტებული ბროსეს, არის გიორგი ბრწყინვალე (1318-1346).

*) ანუ ქუჯაფამსძე. **) ანუ დაუსაბამოისა.

სასაფლაოს ქვების წარწერები:

1.

ასომთავრულით:

უქარაგმოთ:

1 ქე შე
პტრნი ყფლან
ქ წბთა: და: შწნთა
ლთა მე ორბლის შვლმა
5 ყფლან: მეორეთ შვეკე:
მნსტრი: ესე: და ბრს: და:
მთში: მტრსგან: გაოგრბლი:
მკდრი მამული: ჩმი: აღვ
შინე: სფლი: მა: და:
10 ამს: გრეთ: შენი: მამებ
რა: სფლი: იზ: ესე: ყი:
დაუტევე: ძეთა: ჩთა:
ე: და: დავ მკვდრე: ამას
შნა: ქკს: ტნთ: შენ
15 დობა: ყვთ: ჩთნ გდბი.

ქრისტე შეიწყალე
პატრონი ყაფლან.
ქ წყალობითა და შეწვენითა
ღმრთისათა მე ორბელის შვილმა
ყაფლან მეორეთ შვეამკე
მონასტერი ესე და ბარს და
მთაში მტრისაგან გაოგრებული
მკვიდრი მამული ჩემი აღვა-
შენე, სოფელი მა(61). და
ამას გარეთ შენი მამება-
რა სოფელი იზ (17). ესე ყოველი
დაუტევე ძეთა ჩემთა
ე (ხუთთა) და დავემკვიდრე ამას
შინა, ქორონიკონსა ტნთ. შენ-
დობა ყავთ ჩვენთვინ, გევედრები.

ქორონიკონი უდრის 1671 წელს.

ხუთივე შვილი ყაფლანისა მოხსენებულია ერთ სიგელში 1670 წლისა, რომელიც ჩვენ გამოვეცით (იხ. «საქართველოს სიძველენი», ტ. II, გვ. 133). ესენი არიან: პაპუნა, ასლან, ვახტანგ, თამაზ და გიორგი. სიგელში ყაფლანი ჯერ კიდევ ბარათაშვილის გვარს ატარებს. მისი ქალი როდამ იყო ცოლი ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა, შაჰ-ნავაზისა («ქართლის ცხოვრება» II, გვ. 308). ჩვენ მიერვე გამოცემულს როსტომ მეფის განაჩენში (1634-1658) ყაფლან ბარათაშვილი სახლის უხუცესის თანამდებობით არის ცნობილი («საქ. სიძვე.» ტ. II, გვ. 122-124). მას ეცილებიან მისივე ნათესავები, მეჯინიბეთ უხუცესი პატა და პაპუნა ბარათაშვილები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ პითარეთის თავი მონასტერი მათი საერთო სასაფლაო არის. ყაფლან აცხადებს, რომ მათ პითარეთში ეკუთვნის მარტო ერთი ეკუდერი, ხოლო თავ ეკლესიასთან მათ ხელი არა აქვთ. ჩვეულებისამებრ სამსაჯულომ მეფის თავმჯდომარეობით ყაფლანს ფიცი გადუწყვიტა და ეტყობა ყაფლანს შეუფიცავს კიდევ, ვინაიდან ყველა შენახული სასაფლაოები პითარეთში ეკუთვნიან ყაფლანის შთამომავალთ ორბელიანებს და მათ ცოლებს და არა ბარათაშვილებს. ამას გარდა ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, რომ პაპუნა ბარათაშვილმა თავის სასაფლაოთ აიშენა ახალი ეკლესია ამლიგში (იხ. ჩვენი რუსულად დაბეჭდილი «არხეოლოგ. ექსკურსი», II, 4-9). განჩინებიდან სჩანს კიდევ, რომ პითარეთის მონასტერს ეკუდედერიც ჰქონია. აქ ალბათ იგულისხმება ის ოთახის მსგავსი შენობა, რომელიც კარის ბუჩის მარჯვნივ მოჩანს და შემდეგი დროის დანართის შთაბეჭდილებას ახდენს (იხ. გეგმა ჩვენს ალბომში, ტაბ. 47).

2.

ასომთავრულით:

- 1 მე: დიდის: ორ
ბელის: შვილის: ბ ტონი
ს: ყ ფლნის: უხუცესი: ძე:
სომხითის: მო ავი: სა ორბ
- 5 ლ ს პ ტ რ ო ნი: ს ბ რ ა თ ი ა ნ ო ს: დ
ი დი: თ ვ დი: მე ფის: გი ო რ გ
ის: დ ე დის: ძ მ ა: ბ ტ ო ნი: პ ა
პ უ ნ ა: გ რ დ ვ ი ც ლ ე: და: ძ
ე: ა რ ა: მ ე ს ვ ა: ა რ ც ა: ა ს
- 10 უ ლ ი: ე ს ო დ ნ ე ს: დ ი დ
ე ბ ის: პ ტ რ ო ნი: ა მ: მ ც ი რ ე
ს: ს ფ ლ ვ ს: და ვ ე მ კ ვ ი დ
რ ე: შ ე ძ რ ვ დ: პ ე ლ ს: ნ
უ: მ ყ ო ფ თ: შ ნ დ ო ბ ს:
- 15 მი ბ რ ძ ა ნ ე ბ დ ე თ: გ ვ დ რ ბ ი:
ქ კ: ტ ო ზ:

უქარაგმოთ:

- მე დიდის ორბელიანის
შვილის ბატონის
ყაფლანის უხუცესი ძე,
სომხითის მოურავი, სა ო რ ბ ე -
ლო ს პ ა ტ რ ო ნი, ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს დ ი -
დი თავადი, მეფის გი ო რ გ -
ის დედის ძმა, ბ ა ტ ო ნ ი პ ა -
პ უ ნ ა, გ ა რ დ ა ვ ი ც ვ ა ლ ე და ძ ე
ა რ ა მ ე ს ვ ა, ა რ ც ა ა ს უ -
ლი. ე ს ო დ ნ ე ს დ ი დ ე -
ბ ის პ ა ტ რ ო ნ ი ა მ მ ც ი რ ე ს
ს ა ფ ლ ა ვ ს და ვ ე მ კ ვ ი დ -
რ ე. შ ე ძ რ ვ ა დ პ ე ლ ს ნ უ
მ ყ ო ფ თ, შ ე ნ დ ო ბ ა ს
მი ბ რ ძ ა ნ ე ბ დ ე თ, გ ე ვ ე დ რ ე ბ ი.
ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ს ტ ო ზ.

ქორონიკონი უდრის 1689 წელს. ამ წარწერის პაპუნა არის წინა წარწერაში მოხსენებული ყაფლანის უფროსი შვილი. ის მართლა მეფის გიორგის დედის ძმა იყო. მეფე გიორგი მეთერთმეტე ვახტანგ მეხუთის შვილი იყო როდამიდან, პაპუნას დიდან. როდამ გადაიკვალა 1691 წელს და დამარხულია მცხეთაში (იხ. ჩემი არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, გვ. 123, 108)*. პაპუნა უშვილო იყო და მან იშვილა თავის ძმისწული ერასტი, მაგრამ ამან გამოიწვია დიდი უთანხმოება მის ძმებთა შორის, ამიტომ ყაფლანმა მისცა 1684 წ. 17 იანვარს თავის ძმებს მდივან ბეგს ვახტანგს და სარდარს თამაზს საგანგებო სიგელი, რომლითაც ის უარს ამბობს თავის მხრით საუფროსოს მიღებაზე მამულიდან და თანახმაა, რომ ძმებმა მამული თანასწორათ გაიყონ (იხ. საქათველს სიძველენი, II, გვ. 96).

3.

ასომთავრულით:

- 1 მე დიდის ორბელის: ბ ტ ნ ის...
ლ ნ ის
- 5 ლ ო ს: მ
დი დი ვ ნ
პ ა ტ რ ო ნ ი ო რ ბ ე ლ ი ა მ ა ს ა

4.

მხედრულით:

- [მე პაპუნა] ორბელ[იშვილის მეუ] 1
ლ ლ ე ბ ა ნ გ ი ჯ ა [ს პ ყ ო ფ ი ლ ი]
[მ] ო ნ ა ზ ო ნ ი ბ ა რ ბ ა რ ე: და: [ს]
ქ ე მ ო ს ა ნ ი ფ ე ბ რ ო ნ ი ა:
შ ე ნ დ ო ბ ა ს: პ ყ ო ფ დ ე თ: 5
ჩ ე მ: ც ო დ ვ ი ლ ის ა თ ვ ი
ს რ ა თ ა თ ქ ე ვ ნ ც ა: მ ო გ ე ტ ე

*) გ. ჩიტია სწერს, თითქმის როდამი რუისში იყოს დამარხული და წყაროდ თ. ჟორდანიას ქრონიკებს უჩვენებს, მაგრამ ეს შეცდომაა. ეპიტაფია როდამისა ა. ნა-ტროშვილსაც აქვს დაბეჭდილი (იხ. მისი რუსულად დაბეჭ. «სვეტი-ცხოველი», გ. 319).

- 8 მარხოსა: დამდვეს: ესე არს
განსასვენებელი ჩ^ი
- 10 ამ^ს: დავემკვიდ:
რე: რ^ი: მონ^ვ: ესე:
მ^თ: წლისა: მეიც
ვალე: ქ^ქს ტ^ო: და
- 14 შენდობა: ყვთ გევედრებით.

შენ.: ქორონიკონი უდრის 1682 წელს (შეადარე ბ-ნ ჩიტაიას ამონაწერს, გვ. 121, სადაც წარწერა უფრო შემოკლებით იკითხება, ხოლო ქორონიკონი უდრის 1686 წ.). აქ უნდა იყოს დამარხული რომელიმე ან ყაფლანის ან ასლანის შვილი. სახელი ორბელი ვერ მოგვცემს გადამწყვეტ საბუთს, ვინაიდან ის მეტსახელად ერთვის ხშირად, მაგ. მდივან ბეგი ვახტანგი ზოგჯერ ცნობილია მარტო ორბელის სახელით. სახელ ორბელს ატარებენ კიდევ ვახტანგის შვილის შვილი, ერასტის შვილი, და ვახტანგის ძმის გიორგის შვილის შვილი, მაგრამ მათ ეს საფლავი არ უნდა ეკუთვნოდეს. ისინი მე-18 საუკ. ცხოვრობდნენ.

5.
მოსხო ასომთავრულით:
- 1 ბაგრატოა
ნთა ასული
და დიდის
ორბელის: ს
- 5 ძლი სოჯლხნი
ს მეუღლე ბტ
ონი დრჯნ
ამს დვემკ
- 9 ვიდრე ქ^ქს: ტ^ოა

შენიშ.: ქორონიკონი უდრის 1683 წელს. აქ მოხსენებული დარეჯან არის ჩვენი გამოჩენილი ლიქსიკოგრაფის სულხან ორბელიანის პირველი მეუღლე. აქ ის თავს იხსენიებს დიდის ორბელის სძალად და ეს მიტომ რომ სულხანის მამას მდივანბეგს ვახტანგს ერქვა კიდევ მეტსახელად ორბელი. სულხანის მეორე მეუღლე იყო ათაბაგის ქალი თამარ (საქ. სიძ. II, გვ. 332).

ტპ სწორია, რომელიც ჩვენ მაშინ ტ^ქ მაგიერი გვეგონა, ვინაიდან ჰ-ს ხმარება მ-ს მაგიერ ხშირია მე-17 და მე-18 საუკ. საბუთებში. იხ. ქვემოთ ტანძიის ეკლესიის წარწერა. ამ გასწორებას მიაქცია ყურადღება გ. ჩიტაიამ (საქარ. მუხ. მოაზბე, III, გვ. 125).

- ვნეს: ცოდვანი: თქვენნი: ამინ:
დაიწერა ქ^ქსა: ტ^პ: სეკდენბ
რ [ის] ი^ნ: გარდავიცვალე. 10
- შენიშ.: ქორონიკონი უდრის 1701 წელს. პაპუნას მეუღლე ბანგიჯასპი მოხსენებულია სიგელში 1684 წლისა (საქ. სიძ. II, გვ. 96. შეადარე ბ-ნ ჩიტაიას ამონაწერს, გვ. 120, სადაც პირველი ნახევარი წარწერისა აღარ იკითხება).

6.
მხედრულით:
- ქ^ქს 1
ტპიდ
- ქ მე ავალი
ს შვილის
ასული და ო 5
რბელისშვილის: პა
ტრონის: პ
აპუსა მეუ
ღლე ბატ
ონი ანა დავემ 10
მარხე.

შენ.: ქორონიკონი უდრის 1706 წელს. პაპუა ორბელიშვილი იყო გიორგის შვილი, ყაფლანის ძისა, რომელიც მოხსენებულია ჩემს გამოცემულს სიგელში 1670, 1679, 1689 და 1692 წლების ქვეშ (საქ. სიძე. გვ. 256, 258, 259, 252). ჩვენს გამოცემაში (გვ. 252) უკანასკნელი თარიღის მაგიერ შეცდომით ნაჩვენებია 1620 წელი. დედანში გრაფიკული შეცდომა არის: ტპ ქორონიკონის მაგიერ

7.

მხედრულით:

- | | | | |
|---|--|----|---|
| 1 | ქ. რომელმან მიწის
გან შექმნენ და დაჰ
ბადენ კაცნი და მუ
ნვე მიწად მიქცევა უჩ | 10 | ის ასული და ორ
ბელის შვილის ქა
იხოსროს მეულ
ლე ლელა ყოფილი: მონაზ
ონი ელისაბედ და |
| 5 | ინე აწ მეცა
ბრძანებითა
შენითა მივიც
ვალე სოფლისა ამის | 15 | ცქემოსანი ეკატე
რინე შენდობას ი
ტყოდეთ ქკს ტყ ღვი |
| 9 | გან ამირეჯიბ | 18 | ნობის თვის ცხრასა. |

შენიშვნა: ქორანიკონი უდრის 1702 წელს. ქაიხოსრო უნდა იყოს ასლანის ანუ ასლან-ბეგის შვილი, პაპუნა და ვახტანგ ორბელიანების ძმის წული, შვილის შვილი ყაფლანისა; მოხსენებულია მრავალ სიგელებში მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა (საქ. სიძ. II, 133, 96, 430 და სხვა). ჩვენი ამონაწერი განირჩევა ბ-ნ ჩიტაიას ამონაწერისაგან.

8.

მხედრულით:

- | | | | |
|---|---|----|---------------------------------------|
| 1 | ქ. მოიხსენ
ე უფალო
ორბელის
შვილის მოლა | | მეცხედრე თ
ინათინ ამ
სამარხს დე |
| 5 | რეთ უხუცეს
ქაინ სროს თანა | 10 | მკვიდრა ვინც
წაიკითხოთ შენ |
| | | 12 | დობა ყავთ. |

შენიშვნა: აქ მოხსენებული თინათინი უნდა იყოს მეორე ცოლი იმავე ქაიხოსროსი, ასლანბეგის შვილისა, რომელიც წინა შენიშვნაში მოვიხსენიეთ. სხვა წყაროებიდან თინათინი ჯერ ცნობილი არ არის.

9.


საუცხოვო ასომთავრული ხვეულით:

- ესე: არ^ს: გ^ნსასვენებელი:
ჩემი: ო^კ: ო^კე:
ამ^ს: დავემკვიდრო:
რ^ს: მთნავს: ესე.

უქარავმოთ:

- ესე არს განსასვენებელი
ჩემი უკუნითი უკუნისამდე.
ამას დავემკვიდრო,
რამეთუ მთნავს ესე.

ამ ეპიტაფიის თავისებურებას ბევრი გარემოება შეადგენს: პირველად თვით მოწითანო ქვა თავის ღირსებით, სიდიდით, სიმაგრით, ფერით, მოყვანილობით და სილამაზით მეტობს ყველა სხვა დაცულ სასაფლაოს ქვებს, შემდეგ წარწერა ამობურცულის ანუ გამოქანდაკებულის ასომთავრულის დაქსეღვით (ხვეულით) შესრულებული ერთობ საუცხოვოა, ბოლოს შინაარსი წარწერისა მართო ფსალმუნის ტექსტს შეიცავს, მიცვალებულის ვინაობის აღუნიშნავათ, ისე როგორც დავით აღმაშენებლის საფლავის ქვაზედ სწერია. აქ ვინმე დიდათ წარჩინებული ორბელიანი უნდა ემარხოს. ჩვენი მოსაზრებით, ეს უნდა იყოს ყაფლანის შვილი ვახტანგ ორბელი, რომელიც ცნობილია



როგორც მდივანბეგი ქართლისა, ტფილისის ქალაქისა, საბარათაშვილთა, სომხითისა და თათრისა (საქ. სიძ. II, 137-138). ამას ჰყავდა რვა შვილი, რომელნიც განთქმულნი იყვნენ თავიანთ მოღვაწეობით და მწიგნობრობით, ესენი არიან: სულხან-საბა, ერასტი, ვახუშტი, ყაფლან, ნიკოლოზ, ზაალ, ზურაბ (საქ. სიძ. II, 143). თვით წარწერის ნიმუში უნდა ეკუთვნოდეს ან საბა-სულხანს ან მის ძმას ნიკოლოზ ტფილელს. ესენი იყვნენ განმავითარებელნი უარეს ხარისხამდე ასეთი დაქსელილი წერისა. ნიკოლოზმა დაგვიტოვა ნიმუშებიც და ანდერძიც ამგვარი ხელოვნებისა (იხ. ჩემი აღწერა ხელნაწერთა, რუსულ ენაზედ, ტ. II, 411).

სოფელ ტანძიის ეკლესიების წარწერები.

სოფელი ტანძია, როგორც დავინახეთ მე-14 საუკ. პირველ ნახევარში უყიდა პითარეთის ამშენებელს და შეუწირავს ამ ეკლესიისათვის. მე-17 საუკუნეში ეს სოფელი იყო თავი რეზიდენცია ორბელიანთა ახალი შტოსისა. ძველი სასახლე მათი დანგრეული ვნახეთ. გ. ორბელიანმა აიშენა აქ დიდებული სასახლე, რომელიც ჩვენს იქ ყოფნის დროს დამთავრებული იყო.

სოფელ ტანძიაში რამოდენიმე ეკლესია მოიპოვება. ერთი მათგანი ორბელიანთ კარის ეკლესია არის გიორგი ორბელიანის სახლის გვერდით. ეს პატარა ოთხკუთხედი უგუმბათო ეკლესია აშენებულია მშვენიერის თლილის ალგეთის ქვისაგან მოწითანოს ფერისა და ისე კარგათ არის დაცული, გვერდებთ გუშინ აუშენებიათო. სიგძე აქვს 11 არშინი და 10 ვერშოკი, განი 7 არშინი და 6 ვერშოკი. საუცხოო ნახელავი დიდრონი ჯვრები ამკობენ ეკლესიას აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრით. სამხრეთის კედელზედ მზის საათი არის ამოჭრილი. აღმოსავლეთის ჯვარს თან ახლავს სიმბოლიური ქანდაკებანი ოთხთა მახარობელთა. შესავალი აქვს დასავლეთით და სამხრეთით, სარკმელი სამია, თითო აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კარები და ფანჯრები შემკობილია ჩუქურთმებით. კარაკინი სამხრეთის კარისა გამშვენებულია ლამაზის ჯვარით, ორის პატარა ლომის ქანდაკებით და ლამაზის ქანდაკოვანის

ასომთავრულით:
ქ წ ო ნ კ ზ
მეოხ ექმენ
პტრანს ორბელს

უქარაგმთ:
წმიდაო ნიკოლოზ,
მეოხ ექმენ
პატრონს ორბელს.

ტანძიის ეკლესიის სვინაქსარი.

უფრო დაწვრილებითი ცნობები და თარიღი ამ ეკლესიის აშენებისა მოიპოვება ქალაღზედ დაწერილს სვინაქსარში დიდის ტანისა, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა გ. ორბელიანს. გვერდებზე იმეორება მინაწერი:

«დედოფალთ დედოფალსა თამარს შეუნდნენ ღწ».

ეს თამარი არის გიორგი მეთერთმეტის ცოლი.

ერთი მინაწერი მოგვითხრობს:

ქ კ ს: ტოა: (=1683).

ქ: *) მე ფრიად ცოდვილმან და ყოველთა ცოდვათაგან შებლაღულმან, საქართველს მოსამართლემან, ქართლისა და კახეთისა გელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმამან, დიდის ორბელის შვილის ბატონის ყაფლანის ძემან, მდივანბეგმან ორბელ,

*) ნიშნებით ინმარდება ორ-ორი წერტილი, რომელსაც არ ვიცავთ.



აღვაშენე ჩემს სამკვიდროს სასახლესა შინა ტანძრის კარის ეკლესია სახელსა შაწლისა და დიდებულისა, უბრალოთა სიკვდილისაგან დამსხნელისა, წმინდა ნიკოლოზისა, და შევაძვევი ყლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა, წიგნითა და ხატებითა, შესამოსლითა და მოფენილობითა, და მოვახსენე და შე(ე)წირე თავად ბარაკლიტონი ერთი, მარხვანი ერთი, სენაქსარი ესე ერთი, განთვისული სამოციქულო ერთი, განუთვისავი ოთხთავი სახარება ერთი, დავითი ერთი, აპრილი თვე ერთი, ყლდ წმინდის მეტაფრასი ა, ცოდვილის სულის ჩემისა განსასვენებლად და მეუღლისა ჩემისა არავგის ერისთვის ზაალის ასულის ბატონის თამარის ცოდვათა შესანდობლად და რვათა ძეთა და სამთა ასულთა წარსამართებლად და სადღეგრძელოდ» (შემდეგ წყევა, ვინც გამოახვას) *).

ამ რიგად ეს პატარა, მაგრამ ფრიალ კეკელუცი, ეკლესია აუშენებია 1683 წელს მდივანბევს ორბელს, ყაფლანის ძეს, წმიდის ნიკოლოზის სახელზედ.


ყამ-გულანი ვახტანგ ორბელის ბრძანებით გადაწერილი.

ამ ორბელის ბძანებით არის აგრეთვე აღწერილი ერთი ყამ-გულანი, პატარა ტანისა, ნუსხა ხუცურით ნაწერი, უთავბოლო, დაშლილი, რომელიც ოძისიდან ჩამოგვიტანეს და საისტორიო და საეთნოგ. საზოგადოების წიგნსაცავს გადავეცი. ხელნაწერი ათი მინიატურით არის შემკობილი და ბოლოს მხედრულად აქვს შემდეგი მინაწერი (ნიშნებათ იხმარება ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, რომელსაც არ ვიცავთ):

ქ: მე ფ'დ ცდვილმან პატრონის ყაფლანის
 ძემან ორბელმან აღვაწერინე წა ესე ყამნი
 და დავახატენე და შევაძვევე ყოვლის ფრით, რაც
 ოდენ ძალ მედვა, სულისა ჩემისა სახსრათ
 და ცოდვათა ჩემთა შესანდობლად, შეილთა ჩემ-
 თა სადღეგრძელოდ და ტკბილთა და
 საყვარელთა და ჩემთვის ტკბილისა და მოწ-
 ყალის თვალთ მომხედავთა პატრონთა
 და მშობელთა ჩემთა: პატრონის ყაფლან-
 ისა და მესხის(?) ამილახორის ქალის პატ-
 რონის თამარის შესანდობლად. მოწყა-
 ლეო და ძვირ უხსენებლო ტკბილო
 და კაცთ მოყვარეო, რომელსა მართალნი
 ვიყუარან და ცოდვილსა სწყალობ, შეიწ-
 ყალე სულნი მშობელთა ჩემთანი და
 ჩემიცა ამის ცოდვილისა ძისა მათისა ორ-
 ბელის სული დაამკუიდრე მართლ მადიდებე-
 ლთა შენთანა, ამინ. დაიწერა ქკს ტნი.

ქორონიკონი უდრის 1672 წელს, ვახტანგის მამა ყაფლან 1671 წ. გარდაიცვალა, ეტ-
 ყობა დედამისიც ამილახორის ქალი თამარი ამ წელს უკვე გადაცვალებული ყოფილა.

*) შეად. თ. ქორდანის ქორნიკები, II, გვ. 497.



მეორე ეკლესია ტანძიისა უფრო დიდია, მაგრამ უბრალო ქვით ნაშენი, უგუმბათო, ოთხკუთხედი ჩვეულებრივი რიგისა. ეხლა მიყრუებულია. დასავლეთის კარის კარაქინზე ამას მხედრულად აწერია:

ქ. ნებითა

და შეწვევითა დ-
თისათა ჩვენ პატრონის
ყფლანის შვილმან ბტონმა პაპუნ-
ამნ და თნამემცხედრემნ ჩვენმა აბაშ-
ის ქალმა ბტონმა ბნგიჯსპიმ აღვაშე-
ნე წმიდა ესე ტძარი კარისა დ-თის მშობ-
ლისა სსლზედა ჩვენდა შესნდობლ[ად].

აღმოსავლეთის კედელზედ ამა ეკლესიისა სწერია:


ქ. სამკვიდროთა. ჩვენთა. ტაში-
რის. და. საორბელოთ. პატრონი. და. მრავ-
ლისა. დიდებისა. მქონებელი.
ხუთთა. ძმათა. უფროსი. უძეო.
ვიქმენით. და. კელ. ვყავ-
ი. ამს. ჩვენთს. სახსაენ-
ებლად (sic). შენდობა. ბრძნეთ.
გბი. ქკს. ტნიპ. სრ-
ულ. იქმნა.

ქორონიკონი ამ წარწერისა უნდა იყოს ტნიძ, უკანასკნელი ასოს მაგიერ მე-17 საუკუნეში სპირად ხმარობენ პ. თარიღი უდრის 1680 წელს და არა 1670, როგორც ბროსეს აქვს ნაჩვენები. მის ქორონიქონში ასო ი გამოშვებულია.

ტანძიაში მოიპოვება კიდევ სამი სხვა ეკლესიების ნანგრევები ჩვეულებრივის რიგისა, უგუმბათონი, უბრალო ქვით ნაშენი, რომელთა კედლებზე წარწერები არ შენახულან.

მღებანჯვება თევდორ-წმინდანის სოფლისა და წარწერები მისი ეკლესიისა.

მეორე სოფელი, რომელიც პითარეთის აღმშენებელს უყიდია და შეუწირავს თავის მონასტრისათვის, ყოფილა «თევდორ-წმინდანი». ეხლა ასეთი სახელის სოფელი სომხეთში არ არსებობს. ის არ იცის არც სახელოვნო გეოგრაფმა ვანშუტიმ. ქართლში არის სოფელი, «თედო-წმიდა გორის ზევით, კარალეთის პირის-პირ, ლიანხვის დასავლეთით, რუისის მთის ძირს» (იხ. ვანშუტის გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 109), მაგრამ რასაკვირელია ეს არ იგულისხმება პითარეთის წარწერაში, სახელიც განირჩევა, აქ მოხსენებულია «თევდორ-წმინდანი» და არა «თედო-წმიდა». ასეთი სოფელი ყოფილა ბოლნის ხეობაში. 1834 წელს ზაფხულში ჩვენ ვავემგზავრეთ აღბულახიდან (ბელიკლიუჩიდან) ბოლნისის ეკლესიის დასათვარიებლად. მოხუცმა გრიგოლ შანშიანიშვილმა, ფარნაოზ მეფის ძესთან აღრზდილმან, ყოფილმა ცენზორმა, თავისი შვილი ივანე გამოგვაყულა, რომ მის სოფელში გაგვეთია ღამე და ჩვენთვის გზის





მაჩვენებელი კაცი მოეცა ძველების დასათვალისწინებლად ამ ხეობისა. ჩემთან იყო არქუთათელაძე, ბოლნისის სიონის დათვალისწინების შემდეგ მივედიტ. შანშიაშვილს, სახლში, ჩატახის ქარხანის მახლობლად. იქ ღამე გავათიეთ, ვნახეთ გრიგოლ შანშიაშვილის ცოლის მიერ განახლებული პატარა ლამაზის თლილის ქვის ეკლესია, მეორე დღეს გზის მაჩვენებლის თანხლებით შევყევით ბოლნისის ხევეს, გზა სულ ტყიანი იყო, ჩატახის-ქარხნის ზემოთ, მარცხნივ გზისა, ტყეში ვნახეთ კარგათ დაცული მოდიდო ეკლესია მოლურჯო ქვებით ნაშენი, გზის მაჩვენებელმა გვითხრა ამის სახელი ლურჯი-მონასტერი არისო. ჩემი შენიშვნები ამ ეკლესიის შესახებ ესლა ხელთ არა მაქვს. წარწერა არ ქონია. შემდეგ გადავლახეთ მთა და ავედით ზემოთ მაღლობ დავაკებანზე, ვნახეთ ნაღარბაზევი. აქ იყო გვარიანათ შენახული დიდი ორსართულიანი ქვის შენობა, დარბაზი, და სხვა არაფერი. ამ დარბაზს მაინცადამაინც დიდი სიძველე არ ეტყობოდა. არ ვიცით, აქ იყო თუ სხვაგან სოფელი დარბაზი, რომელიც როსტომ მეფემ შესწირა მცხეთის სობოროს 1645 წელს, 25 თებერვალს. შემდეგ გავყევით მთა მთას და მივედით ნასოფლარ სახუნდარში. აქ ვნახეთ ის ეკლესია, რომელზედაც ცნობებს გადმოგვცემს ბარტოლომეი და რომელიც სულ მიწაში იყო დამალული, გარდა დასავლეთის მხრის შესავლისა თავისი მშენებლის ვეფხის ქანდაკებით და განძრახ გაფუჭებულის ძველი მხედრულის წარწერით. ეკლესია მწყემსებს ნახირის სადგომად გადაექციათ. ჩემი შენიშვნები ამის შესახებ ესლა ხელთ არა მაქვს. ეს ეკლესია ღირსია, რომ ექსპედიცია გაიგზავნოს და სპეციალურათ გამოიკვლიონ. ქანდაკება ერთობ ლამაზი და მოხდენილი ნახელავია. აქედან საღამოს უამს მოვალწიეთ და ჩამოვეშვით ბოლნისის ხეობაში მას შემდეგ, რაც 40 კილომეტრი მაინც გავაკეთეთ იმ დღეს. სწორეთ აქ ფერდობებზე ვნახეთ საკმაოთ კარგათ დაცული თლილის მოწითალო ქვით ნაშენი მოხდენილი უგუმბათო ეკლესია და ნასოფლარი. ამ ეკლესიის წარწერა ბარტოლომეის მიერ გადმოღებული ბროსემ გამოსცა (Mélanges Asiatiques-ში. t. II). ეკლესია ვანქის სახელით არის მოხსენებული. ნამდვილათ კი «თედორ-წმინდანი» ანუ «თედორ-წმინდანი» რქმევია. და ეს სახელი ვერ ამოუკითხავს ბროსეს და კიდევ ბევრი სხვა შეცდომები აქვს გარჩევაში.

შესავლის კარებთან დასავლეთიდან მოიპოვება ასეთი წარწერა ასომთავრულით:

- 1 ქ. *) სწლითა: ღმთა: მხბითა: წი ღწის მშბითა: წსა: თეა: და: ყლთა: წითა: მისთმთა: ესე და
- 2 წერილი: ჩწ თერ: წთა: მღღლთა: და მწირთა: მწსა ოდეს ამწს ეკლსა ვაშნებდით: მოგცა
- 3 :პ: დუკტი: გბლ: ჩაბამმწ: გაუკუეთეთ: დკნ: უმწსა: თ: რავდნიცა ხუცესი: იყოს: უაწირვ
- 4 იდენ: და: ალაპი: გრდაიკდებდეს: სწისა: გრდმოყენებსა: მღღლი მოიგსნბდეს: ვწ: ესე
- 5 შეცვლს: კრლცა არს: პირითა: ღმთა: აწ.

*) დედანში წილ-ქანი არის.





უ ქ ა რ ა გ მ ო თ :

სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, წმიდისა თეოდორესაჲთა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, ესე დაწერილი ჩუენ თევდორ-წმინდელთა მღუდელთა და მწირთა *) მას ქამსა ოდეს ამას ეკლესიასა ვაშენებდით, მოგუცა 3 (80) დუკატი გაბრიელ ჩაბაძემან, გაუკუეთეთ დეკენბერსა, ქამსა თ: რავდენიცა ხუცესი **) იყოს, ქამსა წირვიდენ და ალაპი გარდაიკლებოდეს. სიწმინდისა ***) გარდმოსვენებასა მღუდელი მოიხსენებდეს. ვინ ესე შეცვალოს, კრულმცა არს პირითა ღმრთისაჲთა, ამინ.

სამხრეთ კედელზე კარებთან ასომთავრულით სწერია:

ქ. სხ-თა: ღმ-თა: ესე: დაწერილი:
მე: ი-ე: ფ-არეხელმ-ნ: შეესწ
ირე: წ-ა: თ-ეს: ვენაგი: და ჭოჯ-რ
ი: და გ-ვიკეთე გ-დღე ქ-ე შ-ბისა მივ
ეც-ნ-ასთა: ტლვი ვინ: ესე: აქციოს კრლ:

უ ქ ა რ ა გ მ ო თ :

სახელითა ღმრთისაჲთა ესე დაწერილი მე იოანე ფარეხელმან ****) შევსწირე წმიდასა თეოდორეს ვენაგი და ჭურნი და გავიკუეთე გ (3) დღე ქრისტეშობისა, მივეც-ნ-ასთა ტლვი *****). ვინ ესე აქციოს, კრულ.

ეკლესიას ჰქონია კარის-ბუე, რომელიც ეხლა სულ დანგრეულია; კარ-სარკმელები შემკობილია ლამაზის ჩუქურთმებით, ირგვლივ ჩანს ნასოფლარი და სხვა. თევდორ-წმიდანის ეკლესია თავის შემკობილებითა და რიგის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს გიორგი ბრწყინვალის დროს, ისე როგორც სათხე, რომლის წარწერებზე ქვემოთ იქნება საუბარი.

ეხლა გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სოფლის სახელი ყოფილა თევდორ-წმიდანი. პითარეთის წარწერაში, როგორც ვნახეთ, ეს სიტყვა ასე იკითხება და ამიტომ შემოკლება «თ-ერ წ-თა» უნდა წავიკითხოთ «თევდორ-წმინდათა» და არა თედორ-წმიდათა.

რაც შეეხება ფრესკის ნარჩენებს ამ ეკლესიისა ბერძნულის და ქართულის წარწერებით და აგრეთვე დიდათ დაზიანებულს მაშენებელის სურათს ეკლესიის გეგმითურთ, რომელზედაც გვაცნობებს ბარტოლომეი, ჩვენ ველარ მოვასწარით დათვალიერება, ვინაიდან უკვე ღამე შემოგვეწია და დრო აღარა გვქონდა.

*) ფრანის მაგიერ: «ჩვენ თევდორ-წმინდელთა მღუდელთა და მწირთა» ბროსე კითხულობს: «ჩვენ მიერ წმიდათა მღვდელთა და მოძღვართა».

**) ბროსე კითხულობს: მღვდელი.

***) ბროსე კითხულობს: სულისა.

****) ბროსე კითხულობს: მე იაკობ ქარეხემან.

*****) ამ სიტყვაში უნდა იგულისხმებოდეს «ტალავერი», სოფელი ტალავერის ხევზედ (ვახ. გეოგრ. გვ. 44), უაპალას ზემოთ.



ხატის სოფელი მდებარეობს ბოლნისის ხეობაში. აქ ქართველებს სწავლიდა მცირე. ეკლესია პატარაა, მაგრამ ძლიერ ლამაზი მოწითალო თლილის ქვით ნაშენი. სიგძე აქვს ეკლესიას 9 არზინი და 5 ვერშოკი, განი 7 ნახ. არზინი. საჩქელი ორი აქვს ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით. კარი აქვს დასავლეთის მხრით და კარს ზემოთ აწერია მხედრულად:

ქ. ზე ადიდოს ღმერთმან მეფეთ მეფე პატრონი შაჰნავაზ და დედოფალთ დედოფალი პატრონი მარიამ. ჩვენ თურმანიძე თურმან და მეცხედრე ჩვენი ქეთავან ყიზილბაში *) ვიყვენით. და როდისაც ბედნიერმან ყენმან წყალობა უყო და მეფე როსტომ ქართლს სამეფოდ გამოგზავნა ჩვენც წყალობა გვიყო და თან გამოგვეტნა და გვიბოძა ჩვენი მამული სამკვდრო და ხატის-სოფელი აოხრებულნი დაგვიხდა. ბედნიარის ყენისა და როსტომ მეფის წყალობითა ისრევე ავაშენეთ და ასრე ვა თარხნეთ: საქართველოს მეფეთა და მეპატრონეთაგან არა ეთხოვე ბრა არ საური. არ კოდის პური არ სბლხე არ კულხი არა სანელმწიფო სათხოვარი არა ეთხოვებ რა ვრთის ღმერთმანდირობ ისგან მეტი: მოგძულდი ღთსა მე ქეთავან და მოწია ჩემზედა განგება რისხვა ღთსისა და ამ სოფლით გარდა ბდა პატრონი ჩემი და შვილი ჩემი გედალი. დვრჩი უძეოდ. აქა მიცვლა: ავშენე ყდ წმიდის ტაძრი სულსა მისისა საკსრდ: ევა უბიწო ბიწ შეუხებლო რნი დიტე დუტევენელი ქე მე უფე ღთი ჩვენი შეიწირე მცირე მოსრთმეველი ესე და ნცლდ მიუფე გედლის **) მოწყლება შენი დასმინე ემა ტკბილი სმეუფო: ***)

*) ბროსე ასწორებს: ყიზილბაშ-ში.

**) ბროსე კითხულობს: მადლის.

***) შეადარეთ ამას ბროსეს წაკითხული Mélanges Asiatiques-ში, t. II, 3, p. 333-334, სადაც იმის გარდა რომ შემოკლებანი დედნისა გახსნილია მრავალი შეცდომებია.



შემდეგი ორი წარწერა ხატის სოფლის ეკლესიისა ცნობილი არ არის. ამათში ერთი მოთავსებულია მარჯვნივ დასავლეთის კარისა და იკითხება ასე:

ნიკოლოზ
უფალო შ^ე
ქ ა ტნიე.

ქორონიკონი წარწერისა უდრის 1677 წელს.

მეორე წარწერა არის სულ დაბლა დასავლეთის კედელზედ:

ქ მოიხსენე უფალო ამისი ოს-
ტატი ღარიბჯანა ამინ.

ვერცხლის ჯამს ამ ეკლესიისა მხედრულად აწერია:

შენ წმინდის ნიკოლოზისა ტაძარას (sic) შემოგწირე მცირე
ესე შემოსაწირავი ფეშხუმი შესაწვენელად და სამეოხოთ
მეუღლისა ძისა და ასულისა ჩემისა მე მევეალმან შენმან
ციცისშვილის ასულმან თინათინ.

ამ ეკლესიის ზემოთ პატარა წმინდის გიორგის ეკლესია არის ქვისა, რომელიც
ესლა სომხებს უჭირავს. წარწერა არა აქვს.

როდესაც ბოლნის-ხაჩინიდან მივიდოდით ხატის სოფელში ბოლნის-ხაჩინს და
თათრების სოფელს შუა ჩვენ შეგვხვდა ექვსი ეკლესიის ნანგრევები. ამათში ორი მო-
დიდოა და სხვები პატარა. ერთი ამთვანის გეგმა გადმოღებულია ინჟ. კალგინის მიერ.
შემკობილია ქანდაკებებით და სამხრეთით და ჩრდილოეთით ეკუდრები აქვს მიშენე-
ბული. ის აწერილი აქვს გ. ჩუბინაშვილს (იხ. ხრისტოანსკი ვოსტ. V).

წულრულაშენის ეკლესიის წარწერები.

ბოლნისის ხეობას ორი დიდებული ნაშთი ამშვენებს ხუროთ მოძღვრებისა,
ცნობილი ბოლნისის სიონი მეხუთე-მეექვსე საუკუნისა (გეგმები იხ. ჩვენს ალბომში
ტაბ. 41-44). მეორე კეკელუცი გუმბათიანი წულრულაშენის ეკლესია (გეგმები იხ. ჩვენს
ალბომში, ტაბ. 45-46). ესე ერთი მეორის ახლო მდებარეობენ, ბოლნისი ბარში წყლის
პირას, წულრულაშენი მაღალი მთის კალთაზედ და თავის მაღალი გუმბათით დაჰყუ-
რებს მთელს ხეობას. წარწერები ბარტოლომეის მიერ გადაღებული გაარჩია და გამო-
სცა ბროსემ (Mélanges Asiatiques, t. II, p. 309-310). წარწერა არაა ჯეროვანად წაკითხუ-
ლი და ამიტომ რა ერქვა ძველად იმ ადგილს, სადაც ესლა ეკლესია არის, არ ვიცოდით.
წარწერები რამოდენიმე ყოფილა, მაგრამ ჩვენამდის მოუღწევია ორს. ერთი უკეთ შე-
ნახული მოიპოვება დასავლეთის კარის მარჯვნივ კედლის ქვაზედ (იხ. ტაბ. I). მეორე
დიდათ დაზიანებული და ნაკლებოვანი სამხრეთის კარის თავზედ (იხ. ტაბ. II). ორივე
ასომთავრულით არის წარმოდგენილი. პირველი იკითხება:

- 1 ქ სასლითა ღისითა და მხბთა წისა
ღის მშბ^ლღისათა ძლიერებთა წისა
გის ხ^თშბთის ჯრისათა მ^ფბსა
შ^ა დიდისა გ^ი მფეთა მფისასა
- 5 მიწამ^ნ მფბისა მთისამ^ნ არსენის



ძემნ ჰასან დავიწყე შენ
 ება ტაძარსა გონბდს მმლ
 სა ჩმსა: ოწყებითა და გმოცხადე
 ბითა: ამისვე მთვრ მოწამისა

10 მიერ სადღბლად ღისა.

ამ წარწერაში ო და უ წარმოდგენილია ერთი და იმავე ნიშნით, შემდეგის დროის ასომთავრულის ო-ით (იხ. ტაბ. 1.), სტრ. 8: «ოწყებითა» (უწყებითა), გმოცხადებითა (გამოცხადებითა). პითარეთის წარწერაში, როგორც ვნახეთ, ორივე ასო უ-ნით არის წარმოდგენილი.

მ წესისაებრ არის ყოველთვის ნახმარი და არა ი-ს მაგიერ როგორც პითარეთისაში.

სიტყვა გონბადს რაკი პატივით არის აღნიშნული გულისხმობს გოჯნბადს და უნდა წავიკითხოთ გუნბადს.

უქარაგმოთ წარწერა იკითხება ასე:

ქ. სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდისა
 ღმრთის მშობელისაითა, ძლიერებითა წმიდისა
 გიორგის სუთშაბათის ჯუარისაითა, მეფობასა
 შინა დიდისა გიორგი მეფეთა მეფისასა,
 მიწამან მეფობისა მათისამან, არსენის
 ძემან ჰასან, დავიწყე შენ-
 ება ტაძარისა გუნბადს, მამულ-
 სა ჩემსა, უწყებითა და გამოცხადე-
 ბითა ამისვე მთავარ მოწამისა
 მიერ, სადიდებელად ღმრთისა.

სამხრეთის კარის თავზე არის მეორე წარწერა, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, აკლია თავში, მარჯვნივ და მარცხნივ, სუთი სტრიქონიდან, რომელიც ემჩნევა, უკანასკნელი ორი ისე გაფუჭებულია, რომ ასოების მოხაზულობა ეხლა ბუნდოვანათ მოჩანს, მაგრამ ვინაიდან შენახული სტრიქონები წარმოადგენენ განმეორებას დასავლეთის კედლის წარწერისა, ამიტომ ტექსტის აღდგენა დაახლოვებით შეიძლება. პალეოგრაფიულად ეს წარწერა პირველისაგან განსხვავდება და ეტყობა ამომჟრელი წარწერისა სხვა ყოფილა და არა ის, რომელსაც პირველი წარწერა ამოუჭრია. ასოები აქ უფრო მოგრძოა, ა და ი სხვა ასოებში არ არიან მოთავსებულნი. ამას გარდა ასოები იწყებიან და თავდებიან ჩაღრმავებული წერტილებით. ამგვარ სისტემას ივ. ჯავახიშვილი «კიდურწერტილოვან დამწერლობას» უწოდებს (იხ. მისი, ქართ. პალეოგრაფია, გვ. 122). ბარტოლომეის დროს ეს წარწერა ცოტა უფრო კარგათ ყოფილა დაცული, დასაწყისი ასოები და უკანასკნელი ორი სტრიქონი მის ტაბულაზე უფრო კარგათ მოჩანან (Mélanges Asiat. II, pl. IV). ამის დახმარებით წარწერის დაახლოვებით აღდგენა შეიძლება:



- 1 შეწვევითა ღისათა და წისა [ლთის მშობლისათა [ძღობითა წისა გის ხთმბო
ჯრისა
- 2 თა მფბსა შა დიდისა გისა მწმნ მფბსა მთისმნ არსენის ძემნ ჰასან დავიწყ
შენებაჲ ტძრსა
- 3 გონბდს უწყებითა და გამოცხადებითა მისვე მთავარ მოწმისა მიერ... სა
- 4 [დიდებლად და სალ]ოცველად ლთივ გჯრჯნოსნთა მეფეთა მეფისა [გი]სა]....
- 5 სა მდლითა და კცთ მოყრებთა იჯ ქესითა რლისა არს [დ]დბჲ ოკი ოკე ან

უქარაგმოთ:


- 1 შეწვევითა ღმრთისათა და წმიდისა (ღმრთ)ის მშობლისათა, (ძლიერებითა წმი-
დისა გიორგის ხუთშაბათის ჯუარისათა),
- 2 მეფო(ბასა შინა დიდისა გიორგის)სა მიწამან მეფობისა მათისამან, არსენის ძემან
ჰასან, დავიწყ შენებაჲ ტაძრისა
- 3 (გუნბადს, უწყებითა და გამო)ცხადებითა მისვე მთავარ მოწამისა მიერ სა-
- 4 (დიდებლად და სალ)ოცველად ღმრთივ გჯრჯნოსნთა მეფეთა მეფისა(გიორგისა)...
- 5 სა მადლითა და კაცთმოყვარებითა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს (დიდე-
ბაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამინ).

ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ იმ ადგილს, სადაც ეხლა წულრულაშენი არის, რქმევია ძველად გუმბადი, ეს ყოფილა მამული ჰასან არსენისძისა და მას იქ აუშენებია ხუთშაბათის ჯვარის წმიდის გიორგის სახელზედ ის დიდებული ეკლესია, რომლის ნანგრევებსაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. წულრულაშენი ამ ადგილს შემდეგი დროის მეპატრონის ვილაც წულრულას გამო უნდა დარქმეოდეს. ეტყობა ამ ადგილებში განთქმული ყოფილა ხუთშაბათის ჯვარის წმიდის გიორგის ხატი, რომლის სახელზედ ჰასანს აუგია ეს შესანიშნავი ძეგლი. ალბათ ხატი წინეთ პატარა ეკლესიაში ესვენა.

ღბანისის ეკლესიის წარწერები.

ღბანისი დიდი ციხე-ქალაქი იყო ბუნებით მოზღუდვილი, ბევრათ უფრო დიდი მანძილი ეჭირა ვიდრე სამშვიდელს. თავი ღბანისის ეკლესია სიონური რიგის არის, უგუმბათო, უბრალო ქვით ნაშენი, მაგრამ დიდი და მაღალი, დანამდვილებით მისი აშენების დრო ძნელი გამოსარკვევია, მაგრამ ეჭვს გარეშე ძველ ხანას ეკუთვნის. მას დასავლეთის მხრით ამშვენებს კარის ბუე გიორგი ბრწყინვალის დროს მიშენებული, გუმბათიანი, და ჩვეულებისამებრ ამ დროის შენობათა დიდებულად შემკული ჩუქურთმებით (გეგმები იხ. ჩვენს ალბომში, ტაბ. 36, 37, 38). თავი ეკლესიის წარწერა არა სხანს, ხოლო სამრეკლოს კარზედ ყოფილა ასომთავრული წარწერა დიდროანის ასოებით ამოჭრილი, მაგრამ გნდარჩენილა მხოლოდ ერთი სტრიქონი, რომლის სურათს აქვე ვათავსებთ და რომელიც იკითხება:

.. სა დ. სმრვლითა ცდვთ ჩნთ
(ესე იგი ... სა: და სიმრავლითა ცოდვათა ჩვენთა).



რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალის დროს აშენებულს კარის ბჭეს ამის დასაფლეთის მთელი ფონტონი უჭირავს ასომთავრულ წარწერას დიდის და ლამაზის ასობით შესრულებულს. ასეთი დიდი წარწერა იშვიათია, ის თავის სიდიდით მოგვაგონებს კათალიკოსის ეპიფანეს წარწერას, ნ. მარტის მიერ ამოთხრილს ანისში და მის მიერვე გამოცემულს, მაგრამ სამწუხაროთ ზოგი ქვა ფონტონისა ჩამონგრეულია და იქვე ყრია, ზოგი ალბათ მიწაშია მოქცეული, რაც დარჩენილია ხავსით არის მოცული, ამიტომ გარჩევა და აღდგენა წარწერისა ამ პირობებში შეუძლებელია, ჩვენ სულ ცოტა ხანი ვიყავით დბანისში და არავითარი საშვალეობა არა გვქონდა მაღალი კიბეები გვეზოვნა, დარჩენილი ქვები გაგვეწმინდა, ჩამოცვივნილი მოგვენახა და მიწიდან ამოგვეთხარა. ამისთვის საჭიროა განსაკუთრებული ექსპედიცია, წინასწარი მუშაობა, ქვების თავის ადგილებზე მოთავსება, გარეცხა და ფოტოგრაფის საშვალეობით გადმოღება. ყველა ამას, ჩვენ იმედი გვაქვს, შეასრულებს ჩვენი უნივერსიტეტი. ის რაც ბარტოლომეის ტაბულაზეა მოთავსებული (Mélanges Asiat. II, 3, p. pl. IV, V) და ის რაც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს, სრულიად საკმაო არ არის, ამიდან მხოლოდ საზოგადოთ ირკვევა, რომ კარის ბჭე გიორგი ბრწყინვალის დროს არის აშენებული:

ქ: ს^ხლითა: ღ^ათა: და მ^ხბთა: წ^სა: დ^ს მ^შბლ[თა დამყ]არნ: ღ^ა
 მ^ფთა: მ^ფბა: გ^ნისი: რ^ლთა: მ^რ: ღ^რს ვი ქ^მ ნ: მე: მ^წა: მ^თი.. ჭ^დსი: მ^{მი}: კ
 ა^ზნ პ^ტს: ძე: აღ^შნბდ: კ^რს ბ^ჭსა: ამის: ს^დდ ბ^ლ[დ]... [მ]ბ^ტსა: მ^თსა: დ
 მ^სს^ხნბლად: ც^დვილისა: ს^ლსა: ჩ^სა ბ^იძისა: ჩ^{ის}ა: ა^ნტ^ნ: მ^შბ^ლთა: და ... ს^ი მ^ბბ...
 ღ^სა: ს^ყრლისათს: ღ^ცსა: მო^იგ^სნ^ნეთ: რ^ა ღ^ნ: თ^ქნ^ცა მო^იგ^სნ^ნეს ს^სფ^ვლ^სა მ^{ის}სა .
 ვინ^ცა: ესე
 დაწერილი რ^მს^ც: მ^ხე^ზითა.... და შ^ა ლ^ლს კ^რლ^ცა: არ^ს ღ^{ის}ა: [პ^ირ^ითა] მ^კვ^დრ^ი:
 და ც^ოც^ხა
 ლ^ი: გ^ნო^ხგ^სნ^ლად: და ჩ^ნთ^მც^ა ბ^რლ^თა: მ^ზლ^ევ^{ლი} არ^ს ღ^ღესა: მ^ს: გ^ეკ^თგ^{ვის}სა ღ^ნ:
 მ^ფ. ძ^ს. ს^ნ: თ^ვდ^სი: მ^შმ^ფ.

ქვემოთ ამ წარწერისა მეორე დიდი წარწერა უფრო დაზიანებულია და ნაკლებად შენახული:

ქ: სახელითა: ღ^თისათ[ა]: და მე^ოხ^ებ^ითა ყ
 დ. წ^ასა ღ^{ის}: მ^შო^ბგ^ლისათა წ^{ის}ა ...
 ლ^ი: ღ^აშ^ნა: ღ^დ დ^მნ^{ის}ისა: მ^მ.....
 ე^კლ^ეს^ა: კ^{არ}ის: ბ^ჭე რ^სა: შე^მო^სუ^ლსა რ^მ
 სა^მრ^თლ^ა ი^ქნ^ბო^{და}: უ^მე^ყვ^სო^თ ღ^თრ^ლო^თ.. ღ^იმ^თ...
 ჩ^ნე^ბად არ მო^შლ^ებ^დეს: ვ^ირ^ე: ო^ქრ^ოსა: ს^რ: ა^შენ^ებ^დეს: თ^ლი^თ
 ა^ლდ: ს^მრ^თა^{ლი}: ი^ყო: ე^გრ^ე ჩ^ემ^სა: დ^მნ^{ის}ისა: მ^მთ^ვრ^ობ^{ში} ე

და ვნცა: შმდგმდ: ჩემსა: აღუს...
წყევსამ[ცა] ქუეზე: არს ვით
ა: ნესტორ
დ ოროგა
ნი: ან.

შიგნით კარის ბქისა თალის პილღნზე ამოქრილია ოთხ სტრიქონიანი ასომთავ-
რული წარწერა, რომელიც უცნობია ლიტერატურაში:

ამისა შნება: შნა შწრა
აფარნაზ: დრკი დ გკჟ
აღი დღს ჳს შზა ენც
დკს კრულ.

უქარაგმოთ:

ამისა შენებასა შინა შემოსწირა
აფარნაზ დრაჰკანი დ (4), გაუკუეთეთ
აღაპი დღეს(ა) უფლის შობასა. ვინც
დააკლას, კრულ.

დიდი ეკლესიის მახლობლად დბანისში არის პატარა ოთხკუთხედი თლილის
ქვით ნაშენი ეკლესია, სიგრძით 11 არშინი და 5 ვერშოკი, განით 7 არშინი და 7 ვერ-
შოკი. სარკმელი აქვს სამი და შესავალი ერთი სამხრეთით. საკურთხეველი მომადლო
აქვს, ტრაპეზის ქვა კედელზეა მიყრდნობილი. იატაკი აგურის ყოფილა, მაგრამ აგური
აუკრეფიათ. აღმოსავლეთის მხრით ამ ეკლესიისა ოთხი ნატეხია არაბულის კუფიურის
წარწერისა. სამხრეთის კარის ზემოთ მხედრულათ აწერია (იხ. ტაბ. 1, № 2):

ქ: შეწეენითა: ღთისათა: მე: ფდ ცოდვ
ლმან: ბატონის: შვილის: მარიამის: გმდელმან: ისახარ:
კდ: განვაზღე: დაქცეული: საყდარი: ესე: წის მარინისა: ცოდვ
ათა: ჩნთა: შესანდბლად: და: ბატონთა: ჩნთა: მოსახსენებლად: ქს. ტქ (1702).

საფლავის ქვების წარწერები დბანისის ეკლესიისა.

დბანისის თავი ეკლესია ყოფილა სასაფლაოთ გამოყენებული ბოლო დროის
ორბელიანებისათვის. ჩვენ მხოლოდ თორმეტი სასაფლაო გამოვაჩინეთ მტვერისაგან
დაფარული, მაგრამ ორი მარმარილოს ქვა თავის წარწერით უკვე აღარ იყო. წარწერე-
ბი ნაჩქარევათ გადმოვიღეთ, რიგი სტრიქონებისა დაცული არა გვაქვს, შემდეგი უფრო
გულდასმით მუშაობა, იმედი გვაქვს, კიდევ აღმოაჩენს საფლავების ქვებს და ჩვენ წარ-
წერებსაც შეავსებს. აქ უფრო მე-18 საუკუნის სასაფლაოებია დაცული. ერთის გარდა
(მე-10) ყველას მხედრული წარწერები აქვს.

1.

ქ. მე დიდის ორბელიანთაგან: ძე
ზურაბისა: დიმიტრი: მიმცვალა
ბძანებამან მეორედ მოქცევისამან
და დავეფალ სამკვიდრებელსა ამას
გევედრები მხილველთა შენდობასა
ყოფდეთ ქქს უგ.

ქორნიკონი უდრის 1718 წელს.

ეს ის დიმიტრი უნდა იყოს, რომელიც მოხსენებულა ნასყიდობის წიგნში
1740 წლის ქვეშ (ს. კაკაბაძე. საისტ. მოამბე, II, 1924, გვ. 177) როგორც მამა უზბაშ ყა-
ფლანისა, ზაალისა, ბერისა და გიორგისა.

2.

ქქს: ტუზ. თიბათვეს. კზ
მივიცვალე.

ქ. ჩვენ დიდის ორბელის ძის
ყაფლანის გიორგის ძე პაპუ[ა]
მივიცვალე სამკვიდროსა ამისგან
დბანის.

ქორნიკონი უდრის 1709 წ.

პაპუა, ძე გიორგისა, ძისა ყაფლანისა, ცნობილია სიგელებში 1674, 1679, 1689
წლების ქვეშ (საქ. სიდ. II, გვ. 255, 258, 259, 430). ეს უძეო ყოფილა (ibid, გ. 243).

3.

ქ. მე დიდის ორბელიანთაგან
თამაზ სარდრის ძის ბატონის
[მზეჭაბუკის?] ძე ფარსადან
მივიცვალე.

თამაზ სარდალს ექვსი შვილი ყავდა: მამუკა, რამაზ, ფირან, მზეჭაბუკ, ზურაბ,
და რევან. ძნელი სათქმელია, რომლის შვილია ფარსადან, რომელიც მოწმეთ არის ნა-
ჩვენები ერთს სიგელში 1725 წლისა (საქ. სიდ. II, გვ. 330).

4.

აღვესრულე აპრილს კა.
ქ. ტომობით ორბელიანი
ძეთაგან ბეგისა ყაფლანის
შვილის [სულ]ჩან აღვესრულე
ხსენებასა ჩქსა ფიწ მოსი (?)
ყვსისთს (?) ღთის (?)

უქარაგმოთ:

ადვესრულე აპრილის კა.
ქ. ტომობით ორბელიანი,
ძეთაგან ბეგისა, ყაფლანის
შვილის(ა), [სულ]ხან ადვესრულე.
ხსენებასა ჩემსა ფიწმოსი (?) [ყოფდეთ]
[სი]ყვარულისათჳს ღთისა (?)

შეიძლება იყოს ერასტი მდივანბეგის ძე ეშიკაღასბაში

5.

ორბელიანთაგან დავითის ძე
... მდბრე საფლავსა ამას
აღმომკითხველთა შენდობას
[გევედრები]

ქკს უკ.

ქორნიკონი უდრის 1732 წელს.

ეს უნდა იყოს მდივანბეგის ერასტისშვილის დავითის ძე.

6.

.
.
.
.

ქკნი ულზ

. . გი მიცვალა.

ქორნიკონი უდრის 1749 წელს.

7.

ქ: მე ორბელიანთაგან ძე მწე-
ჭაბუკისა რამაზ ვძე ტაგ-
რუცსა ამას
ადვესრულე ფებერვალსა . . .
ქკს ულ.

ქორნიკონი უდრის 1742 წელს.

ეს უნდა იყოს თამაზის ძის მწეჭაბუკის შვილი.

8.

სოფლისა ამის ლელვათაგან
შეიწრებული და უცალო
ქმნილი მრავალთა ცოდვათა
ჩემთაგან დასჯილი მე ყაფ-
ლანის შვილი ორბელი
მივიცვალე ქს უღბ.

ქორნიკონი უდრის 1744 წელს.

ეს ორბელი უნდა იყოს მდივანბეგის ერასტის შვილი, ძისა ვახტანგისა, რომელიც იხსენიება სიგელში 1717, 1736, 1737 წლ. ქვეშ. (სიძ. II, 299, 386, 389).

9.

. . . ლისა ამის მსწრაფო . . .
. . . რულისგან დაკლებულ . . .
. . . [ლ]უარსაბის(ა) თამარი შ . . .
.

ეს უნდა იყოს ასლან-ბეგის ძის ლუარსაბის ასული. სხვა წყაროებში არ იხსენიება.

10.

დასავლეთის კარის ბუეში არის სასაფლაო ხუცურის წარწერით:

საქეთა მპყრბლი
დიდისა ეკლესიისა დმა-
ნისისა
. . . სამცხე საათაბაგო . . .
მიიცვალა ცოდვილი . . .

რომელი დბანისის ეპისკოპოსია აქ დამარხული, არა სჩანს.



მ. ხუნდაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა კ ი თ ხ ი

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით

საქართველოს არ უთქვამს ჯერ უკანასკნელი სიტყვა—საერთაშორისო სამართლის სფეროში. საქართველოს კითხვა დღევანდელ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით არ არის და ვერც იქნება მოხსნილი, რაც უფრო გაღრმავდება დღევანდელი საერთაშორისო უფლების ნორმები ხალხთა იურიდიულ შემეცნებაში, მით უფრო მტკიცეა ჩვენ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი, მართალია, უფლებას არ აქვს ჯერ სრული ძლევამოსილება, ძალა სჭარბობს უფლებას. მაგრამ კაცობრიობის განვითარება მოასწავებს მორალურ ფაქტორების გაძლიერებას, რომელნიც მომავალში დასძლევენ ფიზიკურ ძალას, ძალმომრეობას. ამ ფაქტორებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სამართლის იდეას, რომელსაც ემყარება ყოველგვარი უფლებრივი ნორმა. ამიტომ არის, რომ ყველა, ძლიერი თუ სუსტი ეძებს უფლებას, რომლითაც ის ფიქრობს თავისი მოთხოვნილება დაამტკიცოს, სწორედ ამიტომ ჩვენც, ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მოტრფიალენი, დღეს სუსტნი და დაჩაგრულნი უფლებას ვემყარებით, უფლებას ვიცავთ, უფლების აღდგენას ვითხოვთ.

და აი ჩვენ გვინდა ამ წერილში განვიხილოთ ჩვენი მდგომარეობა უფლების თვალსაზრისით, ობიექტიურათ. დღევანდელ ს. ს-ის ცენტრალურ ინსტიტუტის წარმოდგენს ერთა ლიგა, რომელიც არის საერთაშორისო სამართლის ორგანიზირებული განსახიერება.

ჩვენ ვიცით, რომ ერთა ლიგის პაქტის მიხედვით მის წრეში მიღებულ იქნება მხოლოდ ის სახელმწიფო, «რომელიც რეალურ გარანტიას იძლევა იმისათვის, რომ მას აქვს გულწრფელი განზრახვა—თავისი საერთაშორისო მოვალეობები შეასრულოს».

და აი როდესაც რუსეთის ერთა ლიგაში მიღების კითხვა დადგება, ბუნებრივად იბადება კითხვა:

რა საერთაშორისო მოვალეობანი აწევს რუსეთს, შეასრულა მან ეს მოვალეობები და თუ არა, რა შედეგები მოყვება ამ არასრულებას ერთა ლიგაში მიღების თვალსაზრისით?

ამ მოვალეობებში, რომელიც რუსეთმა იკისრა და არ აასრულა. მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მოვალეობა საქართველოს მიმართ. ამ გარემოებას მიუთითა სხვათა შორის თავის დროზე—ფრანგულ ოფიციალურ «ტან»მა.

და სწორედ ამ კითხვის იურიდიული ანალიზი შეადგენს ამ წერილის მიზანს.



ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ იურიდიული განწყობილება საქართველოსა და რუსეთ შორის და ამ ანალიზიდან შესაფერი დასკვნები მივიღოთ.

ამ რიგათ ჩვენ უნდა განვიხილოთ არა მარტო უკანასკნელ წლების მიერ შექმნილი უფლებრივი მდგომარეობა, არამედ ყველა ის ისტორიული უფლებები გამომდინარე იმ განწყობილებიდან, რომელიც საქართველოსა და რუსეთ შორის თავიდანვე არსებობდა და ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქართულ საკითხს აქვს საერთაშორისო ხასიათი და თუ ყოველთვის ეს ასე არ არის, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ მას ეს ხასიათი შევუნარჩუნოთ.

მაშ გადავხედოთ წარსულს.

მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველო—გარეშე მტრისაგან შევიწროებული, შინაგან ფეოდალურ უთანხმოებით და ბრძოლით დაქსაქსული, იძულებული გახდა, მას შემდეგ, რაც ყოველი ცდა დასავლეთ ევროპაში უნაყოფოთ ჩატარდა, თანამორწმუნე რუსეთისათვის პროტექტორატი ეთხოვა. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ საქართველოს მეფეებს ამ ნაბიჯის გადადგმა ადვილათ არ გადაუწყვეტიათ. მაგრამ მაშინდელ პირობებში სხვა გამოსავალი არ იყო.

რუსეთი სიხარულით შეეგება მეფე ირაკლის წინადადებას, რომელიც მას იმპერიალისტურ ზრახვების განხორციელებას უადვილებდა და ეს ზრახვები, ჩვენ კარგათ ვიცით, მიმართული იყო შავი ზღვისა და წინა აზიისაკენ.

1783 წელს 24 ივლისს რუსეთის და საქართველოს წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, რომელიც აწესებდა რუსეთის პროტექტორატს საქართველოზე.

დღევანდელ საერთაშორისო სამართლის მიერ ეს პროტექტორატი აღიარებულია პროტექტორატის კლასიკურ ფორმათ. *)

—ფორმალურათ, 1783-წლის ხელშეკრულება წარმომადგენს ნამდვილ საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია ორ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოს შორის, ორ იურიდიულათ თანასწორ მხარისაგან, თუმცა კი პოლიტიკურათ ეს იყო არა თანაბართა კავშირი.


ჩვენ გვინტერესებს აქ მხოლოდ იურიდიული მხარე. საქართველომ მოაწერა ხელშეკრულებას ხელი როგორც სუვერენულ სახელმწიფომ. ხელშეკრულება ქმნის უფლებებს და მოვალეობებს ორივე მხარისათვის და მე 12-მუხლის მიხედვით დადებულია უვადოთ, ე. ი. სამუდამოთ.

«ეს ხელშეკრულება დადებულია სამუდამოთ. მხოლოდ თუ მხარეები მოისურვებენ რაიმე ცვლილების შეტანას, ეს ცვლილება ვერ მოხდება, თუ ორივე მხარე არ არის თანახმა».

მივაქციოთ ამ უკანასკნელ სიტყვებს ყურადღება. ეს მოასწავებს ორივე მხარის იურიდიულ თანასწორობას. რაში მდგომარეობს ამ ხელშეკრულების მთავარი პუნქტები, რომელსაც შესავალ ნაწილში ეწოდება «მეგობრობის ხელშეკრულება»?

მუხლი 1. — «საქართველოს მეფე აცხადებს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ რო-

*) Fauchille—Droit international public.



გორც ის, ისე მისი მემკვიდრენი არ აღიარებენ არავითარ სხვა სუვერენიტეტს, გარდა მის იმპერატორულ უდიდებულესობის და მის მემკვიდრეების უზენაეს ძალაუფლებას და პროტექციისა, ფიცს სდებენ ამ გვირგვინის წარმომადგენლების მიმართ ერთდგულებაში და აძლევენ მათ ფორმალურ დაპირებას-გაუწიონ რუსეთის სახელმწიფოს დახმარება ყოველთვის, როდესაც ეს უკანასკნელი მისგან დახმარებას მოითხოვს» (თარგმანი ფრანგულიდან *)).

აქ ვხედავთ ჩვენ რუსეთის უზენაეს უფლების აღიარებას, რუსეთის მიერ პროტექციის გაწევის იდეას და სამხედრო დახმარების დაპირებას, რომელიც წარმომადგენს დიდ ტვირთს საქართველოსათვის.

ამ დეკლარაციის გულწრფელობის დასამტკიცებლათ მე-3 მუხლის ძალით: «საქართველოს მეფეები ტახტზე ასვლის დროს (რომელიც უნდა კვლავ ხდებოდეს ქართულ მემკვიდრეობის მიხედვით) — მოვალე არიან უმაღლეს აცნობონ ეს ფაქტი რუსეთს თავიანთი (ე. ი. საქართველოს) ელჩის საშუალებით და სთხოვონ მას დამტკიცება და ინვესტიტურა».

აგრეთვე საქართველოს მეფეები ზემოთ ფიცს სდებენ ერთდგულებაში რუსეთის იმპერიის მიმართ.

ეს არის ფორმალური მხარე, რომელიც მეფე ირაკლიმ თვით აასრულა. ფორმალობა, რომელიც თვით, რა თქმა უნდა, არ ქმნის საქართველოს მეფეების ძალაუფლებას, (ეს უკანასკნელი გამომდინარეობს შინაგან ქართულ უფლებებრივ წყაროდან), არამედ ხაზს უსვამს საქართველოს უფლებებს და მოვალეობებს—1783 წლის ხელშეკრულების ძალით.

ეს მოვალეობანი გამომდინარეობენ მე-4 და მე-7 მუხლიდან: საქართველოს მეფე არ იქონიებს დამოკიდებულებას მეზობელ სახელმწიფოებთან, თუ წინასწარ არ შეუთანხმდა რუსეთის წარმომადგენელს, ასე მაგალითად, როდესაც ის მიიღებს რაიმე წერილს მათგან, საქართველოს მეფე მოვალეა რჩევა ჰკითხოს რუსეთის წარმომადგენელს ამის შესახებ, თუ რა პასუხი უნდა გასცეს.

ამ მუხლიდან ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო უარს ამბობს თავის «საგარეო დამოუკიდებლობაზე», დამოუკიდებლობაზე საგარეო საქმეთა სფეროში, რაც არ უშლის იმას, რომ ის რჩება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ე. ი. უფლება აქვს იქონიოს დიპლომატიური ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან და იყოლიოს თავისი ელჩი, როგორც რუსეთში, ისე სხვაგან.

მე-7 მუხლის ძალით—საქართველო თავის თავს მოვალეთ აცხადებს—თავისი ჯარით, რომელიც მის უდიდებულესობის ჯარს შეადგენს და არა რუსეთის ჯარის ნაწილს,—სამსახური გაუწიოს რუსეთს.

ეს არის ორი მთავარი პუნქტი.

რაც შეეხება რუსეთის მოვალეობებს საქართველოს მიმართ, ეს გამორკვეულია მე 2 და მე 6 მუხლში.

«რუსეთი თავის თავს მოვალეთ აცხადებს — თავის დღეში არ მოაკლოს მფარ-

*) სამწუხაროთ, ხელშეკრულების ქართული ტექსტი ხელთ არ გვქონდა.

ველობა საქართველოს მეფეებს... ის გარანტიას იძლევა მეფე ერეკლეს ტერიტორია სრულად შეუნარჩუნოს... ის გაავრცელებს ამ გარანტიას იმ ტერიტორიებზე, რომელიც მოპოებული იქნება მომავალში პირობების მიხედვით და მტკიცეთ აღიარებული იქნება, როგორც მეფის ტერიტორიის ნაწილი».

აქ ლაპარაკია იმ ტერიტორიაზე, რომელიც უწინ საქართველოს ეკუთვნოდა და იმ დროს მეზობელ სახელმწიფოს ხელში იყო.

ხელშეკრულებასთან ერთად ცალკე დადებულ კონვენციის ძალით, რუსეთი პირობას იძლევა იყოლიოს საქართველოში ქვეითა ჯარის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით და იმ შემთხვევაში, თუ ომი ატყდა, თავისი ჯარის საშვალეებით ყოველივე დონისძიება იხმაროს, ზავის დროს კი—დაწმუნების საშვალეებით—რათა დაბრუნებულ იქნას ის ტერიტორია, რომელიც ძველ დროიდან დაწყებული საქართველოს ეკუთვნოდა და რომელიც საქართველოს სამეფოს კუთვნილებათ დარჩება მომავალშიაც.

ამგვარათ მე-4 და მე-7 მუხლი საკმაოდ მძიმე ტვირთს აკისრებენ ორივე მხარეს, ტვირთს, რომელიც აღემატება ჩვეულებრივ, ტიპიურ პროტექტორატის პრინციპებს.

მე-6 მუხლი, მეტად მნიშვნელოვანი, აღიარებს საქართველოს შინაგან ავტონომიის ხელშეუხებლობას.

ამ მუხლში რუსეთი აღიარებს: 1) საქართველოს, როგორც თავის მოკავშირეს და აცხადებს საქართველოს მტრებს თავის პირად მტრებათ, ამიტომ ოსმალეთთან და სპარსეთთან დადებული ზავი ვრცელდება აგრეთვე საქართველოზე.

2) პირობას იძლევა—დასტოვოს ქართლ-კახეთის ტახტზე მეფე ირაკლი, თეიმურაზის შვილი და მისი მემკვიდრეები.

3) პირობას იძლევა—არ ჩაერთოს საქართველოს შინაურ საქმეებში, არ მიიღოს არავითარი მონაწილეობა შინაგან მართველობაში, სასამართლოში ან და გადასახადების მოგროვებაში, რომელნიც სავსებით მეფის საკუთარ კომპეტენციას შეადგენენ, დაბოლოს აუკრძალოს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო წარმომადგენლებს მეფის ბრძანების ხელის შეშლა.

ამგვარათ, ამ მუხლის ძალით საქართველოს შინაგანი ავტონომია ხელშეუხებლათ რჩება.

მე-5—მუხლი ეხება ელჩების დანიშვნას.

დანარჩენი მუხლები, რომელთაც ნაკლები მნიშვნელობა აქვთ,—აღიარებენ:

1) საქართველოს თავადაზნაურობის უფლებრივ თანასწორობას რუსეთის თავადაზნაურობასთან (აქაც უკვე სჩანს—მომავალ ანექსიის სურვილი)

2) თავისუფალ მიმოსვლას ამ ორ სახელმწიფოს შორის.

3) ურთიერთ სავაჭრო პრივილეგიებს.

4) დაბოლოს საქართველოს პატრიარქისათვის—რუსეთის არქიეპისკოპოსთა მერვე ადგილის დათმობას.

აი 1783 წლის ხელშეკრულების მთავარი შინაარსი.

ეს ხელშეკრულება აყენებს რამდენიმე იურიდიულ ხასიათის კითხვას:

1) რაგვარ იურიდიულ ფორმას ქმნის ეს ხელშეკრულება?



2) საქართველო ამ ხელშეკრულების შემდეგ დარჩა სუვერენული სახელმწიფო თუ არა?

3) და თუ არა, რჩება საქართველო, როგორც საერთაშორისო იურიდიული პიროვნება, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი?

ჩვენ უკვე მოვისხენით, რომ ეს ხელშეკრულება ქმნის პროტექტორატს. მაგრამ პროტექტორატის ფორმები სხვადასხვანაირია, ზოგიერთი მოვალეობა უახლოვებს მას ვასალობას, აი მაგალითად სამხედრო დახმარება, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში ვხედავთ,—ახასიათებს სიუზერენ სახელმწიფოსა და ვასალის დამოკიდებულებას. მაგრამ უმთავრესი განსხვავება პროტექტორატისა და ვასალის შორის მდგომარეობს იმაში, რომ

ვასალი შექმნილია სუზერენ სახელმწიფოს მიერ, პირველის ძალა-უფლება გამოდინარეობს მეორის ძალაუფლებისაგან,

მაშინ, როდესაც პროტექტორატი მოასწავებს ორ იურიდიულათ თანასწორ მხარის არსებობას, რომლისაგან ერთი პოლიტიკურათ უფრო სუსტი თავის, თავისუფალ ნებისყოფით მთლიან სუვერენობაზე უარს აცხადებს. აქ ჩვენ ვხედავთ იმ შემთხვევას, რომელსაც იელინეკი, დიდი გერმანელი იურისტი—თვითშეკვცას (სელბსტბერენკუნგ) უწოდებს.

მაგრამ ეს თვითშეკვცა—ნიშნავს სუვერენიტეტის მოსპობას თუ არა?

რომ გადავხედოთ ცნობილ იურისტების ნაწერებს, ყველგან შევხვდებით ერთ და იგივე აზრს: თუმცა პროტექტორატი ზღუდავს «პროტექტეე» სახელმწიფოს უფლებებს, მაგრამ ის არ სპობს მის სუვერენიტეტს.

ასე მაგალ. ვატტელი, პროტექტორატის თეორიის სპეციალისტი.

ასე ლისტი—ცნობილი გერმანელი იურისტი. ნიპოლდის აზრით, პროტექტორატი თუმცა პროტექტეეს დამოკიდებულებათ ხდის პროტექტორისაგან, მაგრამ მიუხედავათ ამისა, არსებობს მათ შორის ერთგვარი თანასწორობა. ასე რომ პროტექტეე რჩება როგორც საერთაშორისო იურიდიული პიროვნება.

ინგლისელ იურისტის ლოურენსის აზრით: «პროტექტეეს და პროტექტორის შორის განწყობილება მოასწავებს დამოკიდებულებას ორ საერთაშორისო პიროვნებათა შორის».

ოპენჰეიმი, ინგლისელი,—უყურებს პროტექტეეს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და მასთან როგორც ნახევრათ სუვერენულ სახელმწიფოს.


ამ მოკლე მიმოხილვის დასკვნები რომ ჩვენ საქართველოს შემთხვევას შევფარდოთ, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ 1783 წლის ხელშეკრულებამ შექმნა პროტექტორატი და არა ვასალობა.

ვინაიდან 1) ის დადებულია ორ იურიდიულათ თანასწორ მხარეების შორის.

2) ის უცვლელათ სტაგებს შინაგან ავტონომიას.

3) თუმცა საგარეო დამოკიდებლობა შეკვცვილია, მაგრამ საქართველოს რჩება საელჩოს როგორც პასუხი, ისე აქტიური უფლება (ე. ი. ავზაგნის და იღებს ელჩებს).

4) მძიმე მოვალეობები ეკისრება ორივე მხარეს.



ამ არგუმენტებიდან ნიპპოლდს გამოაქვს ის დასკვნა, რომ 1783 წლის ხელშეკრულების მიხედვით—საქართველო რჩება, როგორც სუვერენული სახელმწიფო და ამგვარათ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

ჩვენის აზრით ეს დასკვნა შემცდარია.

სუვერენიტეტი ნიშნავს სრულ იურიდიულ დამოუკიდებლობას, უზენაეს და სრულ ძალაუფლებას; რუსსოს თქმისა არ იყოს—ის არის განუყოფელი და ამგვარათ ყოველივე ასეთი ცნობა—როგორც არის ნახევრათ სუვერენობა (რაც ნიშნავს ნახევრათ დამოუკიდებლობას)—ადარ ნიშნავს სუვერენობას, ისე როგორც ნახევრათ დამოუკიდებლობა—ადარ ნიშნავს დამოუკიდებლობას, რომელიც თავის ლოლიკურ შინა-არსით მოასწავებს მთლიან თვისებას.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო ადარ არსებობს, რომ დღეს თვითელი სახელმწიფო ვალდებულია დაემორჩილოს საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებებს, რომ ის თავის სუვერენობაზე თავის თავისუფალ ნებისყოფით უარს აცხადებს საერთაშორისო ორგანოს (როგორც არის დღეს მაგ. ერთა ლიგა) სასარგებლოთ, რომელიც ხდება ამგვარათ თანდათან ერთად ერთი წყარო სუვერენობის.

და მართლაც უნდა აღვიაროთ, რომ დღეს სუვერენიტეტის იდეამ დაკარგა თავისი პრიმიტიული მნიშვნელობა და ეს ცნება გახდა ისტორიულ კატეგორიათ.

თუ ჩვენ ახლა გავითვალისწინებთ 1783 წლის ხელშეკრულებას, რომელშიაც საქართველო სცნობს რუსეთის უმაღლეს უფლებას, უარს ამბობს თავისუფალ საერთაშორისო დამოკიდებულებაზე, თავის თავს მოვალეთ ხდის თავის ჯარით დაეხმაროს რუსეთს, როდესაც რუსეთი ამას მოითხოვს, და ბოლოს—ამ ხელშეკრულებას ვერ შეცვლის თუ არა რუსეთის თანაგრძობით—ისმება კითხვა—იურისტის თვალსაზრისით, რაღა მნიშვნელობა აქვს იმ განცხადებას, რომ საქართველო ამ ხელშეკრულების შემდეგ დარჩა სუვერენული.

არა, საქართველომ ამ დროს უარი განაცხადა თავის სუვერენობაზე. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ის მოისპო როგორც სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო პიროვნება.

სუვერენიტეტი თანამედროვე იურისტების აზრით *)—ადარ შეადგენს სახელმწიფოს აუცილებელ ღირსებას და ამ აზრის საუკეთესო საბუთს გვაძლევს ჩვენ ფედერატიული წესწყობილება (ამერიკა, გერმანია, შვეიცარია), სადაც თვითელი სახელმწიფო სახელმწიფოთ რჩება, თუმცა კი ემორჩილება საერთო ფედერატიულ სახელმწიფოს და კარგავს სუვერენიტეტს, იმ შენდუდული მნიშვნელობითაც, რომელიც ახასიათებს დღეს ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

პოლიტიკური ორგანიზმი რომ სახელმწიფო იყოს—ამისათვის საჭიროა, მისი ძალაუფლება იყოს ორიგინალური ე. ი. გამომდინარეობდეს თავის საკუთარ და არა უცხო ორგანიზმის წყაროდან.

ამ აზრით ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ 1783 წლის ხელშეკრულების

*) იხ. Laband, Jellineck და სხვ.



შემდეგ საქართველო რჩება სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. მაგრამ ამ უფლებებით საქართველოს აღარ უსარგებლია დიდხანს. რუსეთს თავის დღეში არ აუსრულებია თავის დაპირებები, საქართველოს ორჯერ მოუხდა ომი, ტფილისი ისე დაანგრის სპარსელებმა, რომ ერთი რუსის ჯარისკაცი არ დახმარებია საქართველოს.

ამგვართ, რუსეთმა პირველად დაარღვია ხელშეკრულება.

აქედან რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ?

ის, რომ თუ ერთი მხარე არღვევს ხელშეკრულებას, ეს უკანასკნელი მეორე მხარესათვისაც კარგავს თავის ძალას.

მაგრამ ფორმალურად, არც რუსეთს და არც საქართველოს არასოდეს არ განუცხადებიათ უარი ამ ხელშეკრულებაზე.

საქართველოსთვის რუსეთი ერთად ერთი თავშესაფარი იყო მუსულმან მტრების წინაშე.

რუსეთისთვის კი—საქართველო წარმოადგენდა ბაზას აზიაში შეჭრისას, რომელიც რუსეთის იმპერიალიზმის ტრადიციულ ზრახვას შეადგენდა.

რადგანაც არავითარი სხვა გამოსავალი არ იყო, 1801 წელს საქართველომ მოამზადა ახალი კონვენციის პროექტი, რომლის ძალით საკანონმდებლო უფლება საქართველოში გადავიდა რუსეთის ხელში, სამაგიეროდ ეკნეკუტივა, ე. ი. აღმასრულებელ ძალაუფლებას ინარჩუნებდა საქართველოს დინასტია. ეს იყო დიდი მსხვერპლი, მაგრამ ამით საქართველოს მთავრობას სურდა სახელმწიფოს უზრუნველყოფის რეალურ გარანტიის მოპოვება. მაგრამ რუსეთმა ამ პროექტს არავითარი ანგარიში არ გაუწია და პავლე I-მა გამოაცხადა საქართველოს ანექსია და შეუერთა ის რუსეთს, როგორც ერთი გუბერნია.

რუსეთი უწოდებს ამ ანექსიას—«ნებაცოფლობით შეერთებას».

მაგრამ, რომ ამგვარი შეერთება მართლა თავისუფალი იყოს, ამისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ, რომელიც უარს აცხადებს თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე, მისცეს ამ სურვილს ფორმალური სახე, ამისათვის საჭიროა ბილატერალური (ორმხრივი) კონვენცია. ასეთ შეერთების მაგალითს ჩვენ ვხედავთ ისტორიაში: ირლანდიის შეერთება ინგლისთან 1801 წ., მიულჰაუზენის შესვლა საფრანგეთის რესპუბლიკაში 1798 წ., კურლიანდიის შეერთება რუსეთთან 1795 წ.—აქ ყოველთვის ადგილი ჰქონდა შეერთების ნებისყოფის ფორმალურ გამოხატულებას *).

არავითარი ამის მსგავსი არ მომხდარა საქართველოს შეერთების დროს.

ანექსია იყო 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევა—ცალმხრივი ძალადობითი აქტი. რუსეთს არ შეუძლია მოიტანოს დაპყრობის არგუმენტი, ვინაიდან საქართველოს თავის დღეში არ ჰქონია ომი რუსეთთან.

საქართველომ განაცხადა პროტესტი რამდენჯერმე ამ ანექსიის წინააღმდეგ, ფორმალური პროტესტი განაცხადეს აგრეთვე ინგლისმა, საფრანგეთმა და სპარსეთმა. არც ერთ საერთაშორისო კონგრესს ეს ანექსია არ დაუმტკიცებია.

*) იხ. ზ. ავალიშვილი, «პრისოედინენიე გრუზიი».



საქართველოს მეფემ და მთავრებმა მოაწყვეს რამდენჯერმე მელოთაჲ ჰქონდათ ადგილი 1802, 4, 10, 12, 19 და 30 წელს.

პროტესტის პეტიცია შეტანილი იყო აგრეთვე 1907 წ. პაავის კონფერენციაზე, მაგრამ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, მას არ გაუწიეს ანგარიში. ამ პროტესტებს აქვს რა თქმა უნდა მნიშვნელობა, ვინაიდან პასიური სიჩუმე ამ შემთხვევაში იქნებოდა ერთგვარი არგუმენტი რუსეთის ძალმომრეობის სასარგებლოდ.

რანაირი იყო საქართველოს იურიდიული მდგომარეობა ამ ანექსიის შემდეგ ამის შესახებ არ არის აწრთა ვრთხულვნიღბა.

ერთნი აცხადებენ, რომ ამ ანექსიამ გაანთავისუფლა საქართველო თავის მოვალეობისაგან რუსეთის მიმართ, რომ ის გახდა ხელახლა სუვერენული სახელმწიფო, რომელიც ხანგრძლივ ოკუპაციის ქვეშ იმყოფება.

ეს არის ბელგიელ იურისტის ნის-ის აზრი, რომელმაც 1906 წ. ექსპერტიზის დროს განაცხადა, რომ ქართველების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ კანონიერია. შვეიცარიის სასამართლო დაეყრდნო ამ აზრს და უარი განაცხადა რუსეთისათვის სამი ქართველის გადაცემაზე, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 1905 წლის მოძრაობაში.

მეორე აზრი მდგომარეობს იმაში, რომ 1783 წლის ხელშეკრულება არასოდეს არ ყოფილა უარყოფილი ფორმალურათ (ის არსებობს რუსეთის ოფიციალურ კანონებში) და ამგვარათ საქართველო რჩება, როგორც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი სახელმწიფო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იურიდიულათ ნისის აზრი სწორია, და თუმცა ფორმალურათ 1783 წლის ხელშეკრულება არასოდეს არ ყოფილა უარყოფილი არც საქართველოს და არც რუსეთის მიერ, მაგრამ რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულების დარღვევამ დაუკარგა ამ ხელშეკრულებას იურიდიული ღირებულება საქართველოსათვის, რომელიც იპსო ფაქტო იქნა აღდგენილი თავის უფლებებში.

მაგრამ ფორმალურათ რაც უნდა სწორი იყოს ეს შენედეულება, ჩვენ ყველა ვგრძნობთ ამავე დროს, რომ მას არ აქვს მატერიალური, რეალური მნიშვნელობა. ნუ დაგვავიწყდება, რა ძლიერია ფაქტის უფლებაშემქმნელი, ნორმატიული რომელი, განსაკუთრებით საჯარო სამართალის სფეროში.

საერთაშორისო სამართალი ქედს იხრის ასრულებულ ფაქტის წინაშე. და სწორეთ ამგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო, რომელმაც დაჰკარგა თავისი საერთაშორისო იურიდიული პიროვნება, მაგრამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობის უფლება, ტიტული.

ასეთი იყო საქართველოს იურიდიული მდგომარეობა 1917-18 წლებამდე. 1918 წლის ამბებმა შექნეს ახალი მდგომარეობა. ბალშევიკურ ხელისუფლებამ ჩამოაკდო ზავი ბრესტილიტოვსკის ხელშეკრულებით, რომლის ძალით ოსმალეთს გადაეცა ბათუმის, არტანის და ყარსის ოლქი; ამავე დროს რუსეთის ჯარმა დასტოვა ფრონტი და გაუხსნა კარი მტერს. რომელმაც არ შეაჩერა წინსვლა, მიუხედავათ ზავისა რუსეთთან. საქართველო და ამიერკავკასია დარჩა უმთავრობოთ, უჯაროთ; ამ პირობებში ამიერკავკასიის ერთებმა, რომლებმაც არ იცნეს ბრესტის ხელშეკრულება, შექმნეს მე-



საქართველოს
რევოლუციური პარტია

ტად მძიმე პირობებში მთავრობა და ჯარი და გადასწყვიტეს თავისი ძალებით დაეცათ თავისი ტერიტორია.

მაგრამ ამიერ-კავკასიამ ვერ შესძლო შეექმნა საჭირო ერთობა მტრის წინაშე. ის დაირღვა და საქართველომ, რომელიც დარჩა თავის საკუთარ ძალების ამარა, გამოაცხადა ამ პირობებში თავისი დამოუკიდებლობა, რომელიც უმალვე ეცნობა ოფიციალურათ უცხოეთის სახელმწიფოებს.

ამ დროს აღსდგა საქართველოს სახელმწიფო.

ეს არ იყო ახალი სახელმწიფოს შექმნა, ეს იყო საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა, რომელიც მოსპო რუსეთმა 120 წლის წინათ. აქ ჩვენ გვაქვს მაგალითი, რომელსაც დიდ გერმანელ იურისტმა იელინეკმა უწოდა—«საერთაშორისო პიროვნების გაცოცხლება».

მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოს სახელმწიფოს კონსოლიდაცია, არ არსებობდა არავითარი იურიდიული მიზეზი, რომ ის არ ყოფილიყო ცნობილი.

საქართველოს სახელმწიფო და მისი სუვერენიტეტი აღდგენილი იყო და ეს საკმარისია, რომ მას მიეღო ცნობა დე-იურე, მაგრამ გარდა ამისა მას ქონდა იურიდიულათ უტყუარი—ისტორიული უფლება დამოუკიდებლობისათვის. და ეს ცნობა საქართველომ მიიღო.

1920 წელს იანვარში ის იყო ცნობილი ფაქტიურათ და ერთი წლის შემდეგ იურიდიულათ—საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და იაპონიის მიერ; უკვე 1920წელს გერმანიისა და არგენტინის მიერ; შემდეგში პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ბელგიის მიერ. არ უცვნია საქართველო ჩრდილო ამერიკის შტატებს, ვინაიდან ვილსონი რუსეთის დანაწილების წინააღმდეგი იყო, მან საერთოდ უარი განაცხადა ლიმიტაციების ცნობაზე პოლონეთისა და ფინლიანდიის გამოკლებით.

რესპუბლიკანელების გამარჯვებამ სავსებით შესცვალა ეს მდგომარეობა: შემდეგში ბალტიის სახელმწიფოები ცნობილი იქნენ ამერიკის მიერ. აუცილებელი იყო აგრეთვე საქართველოს ცნობა, რომ მას დამოუკიდებლობა არ დაეკარგა.

ამ დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ საგანს შეადგენდა იურიდიულ ცნობის (დე-იურე) მიღწევა და მასთან საქართველოს ერთა ლიგაში მიღება. ერთა ლიგის პირველ სესიაზე 1920 წ. საქართველოს და აგრეთვე ბალტიის სახელმწიფოების მიღების კითხვა დასმული იყო.

ამ სესიის სხდომებზე წარმოებული კამათი საქართველოს შესახებ მეტად საინტერესოა და ახლა აქ დაწვრილებით მას ვერ გავეცნობით. ვიტყვი მხოლოდ, რომ პრინციპიალურათ საქართველოს მიღების წინააღმდეგ არავინ გამოსულა. მაგრამ ერთი ნაწილი სხვა და სხვა მოსაზრებებით წინააღმდეგი იყო მისი ამ ხანათ მიღებისა. ეს მიზეზები ორნაირი ხასიათისა იყო:

- 1) საქართველო არ იყო ჯერ იურიდიულათ ცნობილი.
- 2) მეორე მეტად კუროზული: საქართველო, როგორც ბალტიის სახელმწიფოები იმყოფებიან რუსეთის მეზობლათ, იმ რუსეთის, რომელიც ანარქიაში იმყოფება და ერთა ლიგის გავლენას არ ემორჩილება. და თუ ასეთ პირობებში რუსეთი დაეცა ამ სახელმწიფოებს დასაპყრობათ, ერთა ლიგა ვერ შესძლებს მათ რეალური



დახმარება აღმოუჩინოს, რაზედაც ამ სახელმწიფოებს, თუ ისინი ერთა ლიგის წევრები იქნებიან, უფლება ექნებათ მე-10 მუხლის ძალით (წევრთა ტერიტორიალური ინტეგრირების გარანტია), ეს კი სახელს გაუტეხს ერთა ლიგას მის ცხოვრებაში გამოვლინათანავე.

ამ აზრს იცავდა საფრანგეთი (ვივიანი), ინგლისი (ფიშერ), და შვეცია, რომლის წარმომადგენელმა ბრანტინგმა განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მას დავალე-ბა აქვს პროფ. კავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალისაგან მოითხოვოს საქართველოს მიღება, მას ესმის ვივიანის არგუმენტაცია, მას უერთდება და ითხოვს ამკითხვის დადებითად გადაჭრა შემდეგი სესიისათვის გადაიდოს.

ამათი აზრით გამოდიოდა, რომ ერთა ლიგა ვერ იღებს საქართველოს, ვინაიდან ეს მას თავის პაქტის მთავარი მუხლის გამოყენების აუცილებლობის წინაშე დაყენებს და ამის უნარი და შეძლება კი მას არ ექნება.

ე. ი. ლიგამ არ უნდა განახორციელოს თავისი პრინციპები, იმისათვის, რომ არსებობდეს! (sic!)

საქართველოს დაუყოვნებლივ მიღებას იცავდა სამხრეთ აფრიკის დელეგატი, დიდი ინგლისელი მოღვაწე რობ. სესილი, ნორვეგია—მომხსენებელი მე 5 კომისიისა ფ. ნანსენი, იტალია, სპარსეთი.

რ. სესილმა—საქართველოს უწოდა ბრწყინვალე სახელმწიფო ევროპის და აზიის საზღვარის სადარაჯოზე.

მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს ნანსენმა და სპარსეთის დელეგატებმა. სამწუხაროთ კითხვა უარყოფითად გადაწყდა.

საქართველოს მდგომარეობა და მნიშვნელობა უფრო დაფასებული იყო ვიდრე ბალტიის სახელმწიფოების, რასაც ჩვენ კენჭის ყრიდან დავინახავთ:

საქართველო—13 წინააღმდეგი (მათ შორის ინგლისი და საფრანგეთი).

10 მომხრე (მათ შორის სესილი, იტალია, ნორვეგია, შვეიცარია).

10 თავი შეიკავა (როგ. პოლონეთი?)

მაშინ, როდესაც ბალტიის სახელმწიფოებმა წინააღმდეგ მიიღეს 24 და სასარგებლოთ მხოლოდ 5 ხმა. ფაქტიურათ, როგორც შემდეგ გამოირკვა, საქართველოს მდგომარეობა უფრო სუსტი გამოდგა.

1921 წელს, თებერვალში, რუსეთმა დაარღვია რა 1920 წლის ხელშეკრულება, დაეცა საქართველოს ულტიმატუმის წარუდგენლათ, ომის გამოუცხადებლათ (გაუგონარი ფაქტი საერთაშორისო სამართალში).

საქართველო რამდენიმე კვირის ბრძოლის შემდეგ დაპყრობილ იქნა, მისი მთავრობა საზღვარგარეთ წავიდა და დღემდის იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ხოლო საქართველო, რომელიც რუსეთის ოკუპაციას განიცდის, შემდეგში რუსეთთან იქნა შეერთებული, როგორც სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის ერთი წევრის-წევრი (ამიერ-კავკასიის ფედერაციის ნაწილი).

განვიხილოთ მოკლეთ ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულების მთავარი მუხლები.



მუხლი 1. ემყარება რა ერთა თვითგამორკვევის უფლებას—სრულ სებადა ციამდე, რომელიც რუსეთის ს. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკამ გამოაცხადა, რუსეთი ურუნერვით აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს და თავისუფალ ნებისყოფით უარს აცხადებს ყველა იმ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს—საქართველოს ტერიტორიისა და ერის მიმართ.

მუხლი 2. რუსეთი უარს აცხადებს ყოველივე ჩარევაზე საქართველოს შინაურ საქმეებში.

შემდეგი მუხლები ეხება ტერიტორიის განსაზღვრას, მოვალეობებს ორივე მხარისათვის არ იყოლიოს არავითარი ძალა თავის ტერიტორიაზე, რომელიც მიმართული იქნება მეორე მხარის მთავრობის ჩამოსაგდებათ, რაც რუსეთისათვის იმ პირობებში მეტათ მნიშვნელოვანი იყო, შემდეგ—ეკონომიური ურთიერთობის ბაზა, უბაჟო ტრანზიტის და კომერციული პრივილეგია ორივე მხარისათვის.

ამ პრინციპებზე ემყარებოდა სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც შემდეგში დადებულ იქნა რუსეთსა და საქართველოს შორის.

ეს ხელშეკრულებები, რომელნიც ნათლად და აშკარათ აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტს, რუსეთმა ხელმეორეთ დაარღვია.

თუ 1801 წელს რუსეთს შეეძლო თავის საქციელის გასამართლებლათ თუ არა, ასახსნელათ მიიწი ეს ფაქტი მოეტანა, რომ საქართველო დასუსტებული და უძლური მტრის ამბრა რჩებოდა, ბოლშევიკური რუსეთის საქციელს ეს არგუმენტიც არა აქვს, ვინაიდან ამ დროს საქართველო იმყოფებოდა ახალ ცხოვრების გზაზე, რომელიც მას წარმატებისა და დიდებისაკენ კარს უხსნიდა.

რა ხასიათისაა დღეს საქართველოს იურიდიული მდგომარეობა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით?

1) საქართველოს სახელმწიფო უცხოეთიდან მოსულ ძალის ქვეშ იმყოფება. ე. ი. ოკუპაციის ქვეშ.

მას ყავს კანონიერი მთავრობა და საელჩოები.

2. საქართველოს ანექსია ცნობილ იქნა ფორმალურათ გერმანიისა და იტალიის მიერ.

ინგლისმა იცნო რა ბოლშევიკური მთავრობა, ამ ცნობას გაუკეთა რუნერვი, რომელიც ეხება საქართველოს:

ინგლისი სცნობს საბჭოების ავტორიტეტს იმ ტერიტორიაზე, რომელიც თვით სცნობს ამ ავტორიტეტს. საქართველო არ სცნობს ამ ავტორიტეტს და თუ ამაში ვინმეს შესდის ეჭვი, ამისთვის საუკეთესო საშვალეა თავისუფალი პლენისციტი.

საფრანგეთმა—ცნობის დროს გაუკეთა უფრო ნათლათ ეს რუნერვი: მან იცნო ბოლშევიკური რუსეთის მთავრობა, მაგრამ არ იცნო საქართველოს რუსეთის მიერ ანექსია.

გარდა ამისა, მოხდა რამდენიმე ფაქტი, რომელსაც არ შეიძლება არ მივანიჭოთ ერთგვარი მნიშვნელობა.



1. საერთაშორისო კონფერენციების დროს, სადაც რუსეთი ესწრებოდა რუსეთის (საბჭოთა კავშირის) მთავრობა არ იყო დაშვებული, როგორც საერთაშორისო რამომადგენელი. მაგალითები: გენუის და ლოზანის კონფერენციები.

2. ლოზანის ხელშეკრულება სრუტეების შესახებ ითვალისწინებს კომისიას, რომელშიაც შედიან შავი ზღვის პირის სახელმწიფოები. ამ კომისიაში ადგილი დატოვებულია საქართველოსათვის.

3. ერთა ლიგამ მიიღო რამდენიმე დადგენილება საქართველოს შესახებ, განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების დროს. ამ დადგენილებაში ლაპარაკია რუსეთზე და საქართველოზე, როგორც ორ თანასწორ მხარეებზე.

ამით ვათავებ საქართველოს უფლებების გამორკვევას და ანალიზს. ეს არის უფლებები ურყევი, ყველასათვის ნათელი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია წავრსდგეთ საერთაშორისო ოჯახში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავათ.

დასასრულ ჩვენ ვაყენებთ ხელშეკრუთ იმ კითხვას, რომლის გარჩევა ჩვენი წერილის მიზანს შეადგენდა.

ერთა ლიგამ შეიმუშავა გარკვეული პირობები ყოველ ახალი წევრის მისაღებათ.

სახელმწიფო რომ ერთა ლიგის წევრათ იქნას მიღებული—

1) მან უნდა დაამტკიცოს, რომ მან პირნათლათ შეასრულა მის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები (ერთა ლიგის პაქტი, ნაწილი 1).

2) მას უნდა ყავდეს პასუხისმგებელი მთავრობა, რომელსაც შეეძლება საერთაშორისო მოვალეობების აღება.

3) მას უნდა ჰქონდეს ისეთი ორგანოები, რომელნიც ერთა ლიგას გარანტიას მისცემენ, რომ ეს სახელმწიფო მის მიერ აღებულ მოვალეობებს შეასრულებს.

და აი იმ დროს, როდესაც ერთა ლიგის წინაშე რუსეთის მიღების კითხვა დადგება, განა მან არ უნდა დასვას სხვა კითხვათა შორის, რომელიც რუსეთს შეეხება, აგრეთვე კითხვა საქართველოს შესახებ, რომელსაც ჰქონდა და აქვს სრული უფლება დამოუკიდებლობისა, უფლება რუსეთის მიერ ხელშეკრულების ძალით აღიარებული და მერე მის მიერვე ფეხქვეშ გათელილი?

ყოველგვარ გრძობას და პოლიტიკურ მოსაზრებას რომ თავი დავანებოთ, ამ კითხვანე უარყოფითი პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ გავითვალისწინებთ ამ წერილში გაშუქებულ იურიდიულ არგუმენტებს და თუ ერთა ლიგა თავის თავს სერიოზულათ უყურებს და არ უღალატებს იმ პრინციპებს, რომელზედაც აგებულია მთელი მისი შენობა.



გიორგი ნოზაძე:

ა ხ ა ლ ი მ ა ლ ა შ ი ბ ი

თანამედროვე ქალაქების განვითარებას მათი ჩქარი ზრდა ახასიათებს. ერთი მხრივ კლებულობს სოფელი, მეორე მხრივ იზრდება ქალაქი. ქვემოთ მოტანილი მოკლე საბუთი ამ მოვლენას აშკარათ ამტკიცებს.

საფრანგეთში: 1872 წელს სულ 8 ქალაქი იყო ისეთი, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა თვითელში 100,000 სულს აღემატებოდა. 1891 წელს კი იყო 12 ასეთი ქალაქი, 1911 წელს—15.

გერმანეთში: 1871 წ. იყო 8 ქალ., სადაც თვითელში 100,000 მცხოვრები ირიცხებოდა. ეს რიცხვი სწრაფად გამოიცვალა: 1880 წელს იყო 14 ქ., ხოლო 1890-26 ქალ., 1900 წელს 33, 1910 წ. კი 48 ქალაქი. გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა შეერთებული შტატების ქალაქები: აქ 1880 წელს იყო მხოლოდ 20 ქალაქი 100,000 სულით თვითელი. 1890 წელს გაიზარდა 28-მდე, ხოლო 1900 წელს იყო 38 ასეთი ქალაქი.

თვით ქალაქ ლონდონში 1696 წელს ცხოვრობდა 530,000 სული.

1801	—	—	865,000	—
1831	—	—	1,427,000	—
1872	—	—	3,254,000	—
1911	—	—	4,523,000	—
1919	—	—	4,540,000	—

თითქმის ასეთივე განვითარების სურათს იძლევა ნიუორკის, პარიზის, რომის და სხვა ქალაქთა ზრდა.

ინგლისის ურბანული მოსახლეობა 1851 წელს წარმოადგენდა მთელი მოსახლეობის 50 პროც., 1871 წელს კი 62 პროც. 1911 წელს ამ ქალაქის მოსახლეობა სოფელთან შედარებით 78 პროც. უდრიდა. თითქმის ასეთსავე განვითარებას წარმოადგენს სხვა ინდუსტრიულ ქვეყნების ურბანიზაციაც.

რა თქმა უნდა, წარმოების კაპიტალისტურმა სისტემამ და ინდუსტრიულმა რევოლუციამ გამოიწვია ქალაქებში მოსახლეობის ასეთი შეჯგუფება.

ქალაქების ასეთი ჩქარი ტემპით ზრდამ მრავალი საკითხი წარმოადგინა გადასაჭრელათ, როგორც არის, ეკონომიურ-პოლიტიკური, სოციალური, ბინის, საერთოდ მოწყობის და სხ. ასეთმა შეჯგუფებამ გამოიწვია მიწის სიძვირეც: ქალ. ნიუორკში, კუნძულ მანჰატანზე კვადრატული მეტრი მიწისა 1624 წელს იყიდებოდა 120 ფრანკათ, იგივე მიწა 1908 წელს ფასობდა 40,000 ფრ. მიწის ეს საკვირველი სიძვირე, რა თქმა უნდა, ნიუორკის მიწის ნაკლებობითაა გამოწვეული. ასეთივე დამახასიათებელ მოვლენას ვხვდავთ სხვა დიდ ქალაქებშიც. არა ნაკლები სიმწვავით სდგას ბინის საკითხი. იმ



დროს, როდესაც ბინის ფასი გაიზარდა ხუთჯერ, ხელფასმა მოიმატა სამჯერ, ყველა ამან გამოიწვია ბინის კრიზისი, რასაც შედეგათ მოსდევს მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღარიბე, ცუდ ბინებში ცხოვრება, ჯანმრთელობის და მორალის დაცემა. ცნობილი ფაქტია ყველა ქვეყნებისთვის დღეს ბინის საკითხის თავსამტვრევ საკითხათ გადაქცევა.

ქალაქების გადაჭარბებული მოსახლეობის შედეგია მისი ჰიგიენის დაცვის სიძნელე; წმიდა, სუფთა ჰაერის უქონლობა, გამოწვეული ქარხნებისა და ავტომობილების კვამლით და მტვერით, იწვევს მოსახლეობაში ხშირ სიკვდილს. ქალაქის ხელმძღვანე-
ლნი ქალაქში ჰიგიენურ პირობების დაცვაში უძლურნი ხდებიან.

არა ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს ქალაქებში მოძრაობის საკითხი. ავტომო-
ბილების პროდუქციის სტატისტიკა იძლევა ცნობას, თუ როგორი დიდი ტემპით იზ-
რდება ავტომობილის წარმოება. თანამედროვე ქალაქების ფარგალი უძლურია დააკმა-
ყოფილოს მიმოსვლის წესრიგი.

ამ დასახელებულ უარყოფით მოვლენათა შემდეგ კითხვა ძალაუნებურათ ის-
მება: ნუთუ ურბანიზაცია, გაქალაქება, ეს სოციალური ბოროტება ყოფილა? განა ეკო-
ნომიური სიმდიდრე ქალაქებმა არ მისცა კაცობრიობას? განა ცივილიზაციის კერა
ქალაქი არ არის? პოლიტიკურ ინტელექტუალური პროგრესი ქალაქებიდან არ მოდის?

ეს შენიშვნა სამართლიანი იქნება; მაგრამ აშკარა ფაქტია ისიც, რომ ამ ქალა-
ქებს, იმავე დროს აქვს ის უარყოფითი მოვლენები, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.
ამგვარათ, თუ ქალაქები ერთი მხრივ წარმოადგენენ ცივილიზაციისა და კულტურის
კერას, მეორე მხრივ, მათში იბადებიან ისეთი უხერხულობანი, რომელნიც ადამიანთა
სოციალურ-კეთილდღეობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენენ. ამ საშიშროებას
ჯერ კიდევ წარსულ საუკუნის დასაწყისში მიაპყრეს ყურადღება, და დღეს კი, ეს საკი-
თხი თანამედროვე ცივილიზაციამ რაციონალურათ გადაჭრა.

ეს არის ქალაქი-ბაღის სისტემა, რომლის ზოგადი გარკვევა ამ წერილის სა-
განს შეადგენს. ქალაქი-ბაღის პრინციპი მოკლეთ გამოიხატება შემდეგში: შექმნა ისე-
თი აგლომერაციის, სადაც თავს მოიყრის უპირატესობის მაქსიმუმი და ქალაქისა და
სოფლის უხერხულობათა მინიმუმი. ე. ი. შეერთება ქალაქის და სოფლის მათი მხო-
ლოდ დადებითი მხარეებით. ეს არის ქალაქისა და სოფლის შედუღება, რომელიც
ახალმა დრომ წარმოშვა.

თვით ქალაქი-ბაღის იდეა ახალი არ არის. ჯერ კიდევ ინგლისელმა ცნობილ-
მა ეკონომისტმა და საზოგადო მოღვაწე ოუენმა წარმოადგინა ქალაქი-ბაღის იდეა.
1820 წელს ამ იდეას ხორცი შეესხა ინგლისში და გაშენდა პატარა ქალაქი-ბაღი, რომე-
ლმაც სამწუხაროთ რამდენიმე წელი იარსება. 1850 წელს ინგლისელმა ტიტუს სასტლ-
მა, რომელიც დიდი ინდუსტრიის პატრონი იყო ქ. ბრედფორდში თავისი ქარხნები
გადაიტანა ქალაქ გარეთ და გააშენა 800 საცხოვრებელი ბინა მუშებისათვის, აქვე მოა-
წყო ეკლესია, ბიბლიოთეკა, საავადმყოფოები და სხვა. ყველა ეს შენობები გათვალი-
სწინებულ იყო 30,000 სულისათვის. ეს იყო პირველი ქალაქი-ბაღი, რომელიც ინგლი-
სში განხორციელდა. ეს პირველი ქალაქი-ბაღი ისეთი გამოდგა, რომ ადგილობრივი
მცხოვრებნი თავს ბედნიერათ გრძნობდენ. ამის წაბძვით აგებული იქმნა სხვა ქალაქი-
ბაღი და საბოლოოთ ქალაქი-ბაღების ტიპი შეიქმნა. ყველაზე მიზანშეწონილი, რაციო-



ნალურათ მოწყობილი მათ შორის არის ლეთფორთის ქალაქი-ბაღი, დაშორებული ლონდონიდან 50 კილომეტრით. ეს არის ქალაქი-ბაღი, უახლეს პრინციპზე აგებული, რომელსაც დღეს სხვა სახელმწიფოებში, როგორც ქალაქ-ბაღის საუკეთესო იდეალურ ტიპს, ჰბაძევენ. თუ რამდენათ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა ეს ახალი აგლომერაცია, ამას ასაბუთებს ერთი გარემოება: 5 წლის განმავლობაში თავის დაარსების დღიდან, ლეთფორთის ქალაქ-ბაღში უკვე 7.000 მცხოვრები დასახლდა. მისი საცხოვრებელი ბინები გათვალისწინებული იყო 30.000 სულით. ეს რიცხვია, რომლითაც განისაზღვრა ლეთფორთის ქალაქი-ბაღი.

საზოგადოთ, ქალაქი-ბაღის პრინციპი მოითხოვს, რომ მცხოვრებთა რიცხვი განსაზღვრული იყოს. ეს რიცხვი ცვალებადობს 5.000—50.000 სულამდე. თუ მცხოვრებთა ზრდამ ამ საზღვარს გადააჭარბა, მაშინ მიღებულია ქალაქი-ბაღის სატელიტური სისტემა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება განმარტება.

განვიხილოთ ქალაქი-ბაღი ჯერ ეკონომიური თვალსაზრისით. ახალი ქალაქის კონცეპცია ეკონომიური თვალსაზრისით საუკეთესო იდეალს წარმოადგენს. მთავარი ეკონომიური პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი სულ მოკლე დროში თავის საცხოვრებელ მიწა-შენობის მესაკუთრენი ხდებიან. ქალაქი-ბაღის ეკონომიური ორგანიზაცია ისეთ პრინციპზეა აგებული, რომ ჩვეულებრივ მუშას თავისი შრომით აღებულ ხელფასით, შეუძლია თავის სახლ-კარის სრული მესაკუთრე გახდეს.

ბინის ქირებიდან შემოსული თანხა, რომელსაც იხდის თვითელი მცხოვრები, და რომელიც სულ მცირე რაოდენობას წარმოადგენს მის შემოსავალთან შედარებით, (8 ფრანკი თვითელ სულზე), ქალაქ-ბაღის ადმინისტრაციას განაწილებული აქვს შემდეგი სახით: ბინის ქირებიდან შემოსული თანხის ერთი ნაწილი მიდის იმ საერთო ფონდში, რომელიც გადადებულია ქალაქი-ბაღის გასაშენებლათ გადადებულ კაპიტალის დასაფარავათ; ამგვარათ ბინის ქირისათვის გაღებული თანხის საშუალებით ადგილობრივი მცხოვრები მოკლე დროში ხდება თავისი სახლის უფლებრივი მესაკუთრე. გადახდილი ქირის მეორე მცირე ნაწილი მიდის მუნიციპალურ საქმეებზე და სხვა გადასახადებზე. მას შემდეგ, რაც მიწა-სახლი გამოყიდულ იქნება კერძო საკუთრებათ, მცირე გადასახადი წავა საქველმოქმედო მიზნით ე. ი. შვეა იმ თანხაში, რომელიც გადადებულია მოხუცთა, ავადმყოფთა და დასახიჩრებულ მცხოვრებთა სრულ საბოლოო უზრუნველსაყოფათ.

ამგვარათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ქალაქი-ბაღების ფინანსიური ორგანიზაცია თავისი გეგმით ეკონომიურათ კეთილ მოწყობისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

განვიხილოთ, როგორია ახალი ქალაქები არქიტექტურული თვალსაზრისით.


ავილოთ 2,400 ჰექტარი სამეურნეო თავისუფალი მიწა. ეს სივრცე დაიტევს 30.000 მცხოვრებს ურბანულ, ქალაქურ ნაწილში და 2.000 სულ სასოფლო-სამეურნეო ნაწილში. ეს მიწა დაყოფილი იქნება 5.500 ნაჭერათ, თვითელი 6x30 მეტრის სივრცით, რომელზედაც გაშენდება საცხოვრებელი ბინები. ნორმალური ტიპი არის კერძო ინდივიდუალური ვილები. რამდენიმე სახლი შეიძლება კოლექტიური ტიპის იქნეს,



უცოლშვილოთათვის და მოგზაურთათვის გათვალისწინებული. თვითმუცლსავე სუნ-
და ეკრას ბალი, ამას სავალდებულო ხასიათი აქვს. ასე რომ თვითმუცლსავე სუნის
მოცულობა საკმაოა,—რომ მასზე გაშენდეს ერთი ვილა თავისი ბალით.


არქიტექტურულ თვალსაზრისით თვით ქალაქი-ბალი გაშენებულია შემდეგი
სისტემით: ქალაქს სურის ჯვარედინ ფორმით 6 ხეივანი სიგანით 125 მეტრის, რომე-
ლიც მოძრაობის დასაკმაყოფილებლათ სრულიათ საკმაოა, ამ ხეივანთა შორის არის
გაშენებული ვილები. ქალაქის ცენტრში სძევს მთავარი სახალხო ბალი. ინდუსტრია-
ლური ნაწილი და სავაჭრო მოედნები ქალაქი-ბალის გარეთაა მოთავსებული. ქალაქი
გარშემორტყმულია რკინის გზის ქსელით, რომელიც ქალაქის ნაწილებს აერთებს და
სხვა ქალაქებს უკავშირებს.

ქალაქის-ბალის ქვემოთ მოყვანილი სქემა (ნახაზი 1 და 2) მოცემული პროფე-
სორ ბრუგემანის მიერ ამ სისტემის შინაარსს გარკვევით იძლევა.




ნახაზი 1. ქალაქი-ბალის სქემა.

როგორც ამ ნახაზში სჩანს ქალაქი-ბალის შუაგულში მოთავსებულია დიდი
ბალი. მის გარშემო შემორტყმულ ბულვარში მუნიციპალურ დაწესებულებათა შენო-
ბანი არიან გაშენებული. შემდეგი ზონა უკავია პარკს, რომელსაც მოსახლეობის მთე-
ლი წყება სარტყელივით მოსდევს. ხალხი ცხვარობს ვილებში, რომელთაც თავის
მხრივ კერძო ბაღები არტყია. ეს ბაღები სრულიათ საკმაოა თვითმუცლი მოსახლესათ-
ვის ბოსტნეულობისა და ყვავილებისათვის. რამდენიმე წყების შემდეგ ისევ ხეივანია
გაშენებული სახალხო შენობებებით: ეკლესია, თეატრი, სკოლა და სხვა. ამას მოსდევს
ისევ ხეივანები და კერძო სახლების წყება. რომ სრული სისუფთავე და ჰიგიენური პი-
რობები დატული იქნეს, ინდუსტრიალური ნაწილი მოთავსებულია ქალაქის გარეშე
უბნებში, რომელსაც გარს უვლის რკინის გზა. რკინის გზის გარეშე მდებარე ადგილი
დაკავებული აქვს სასოფლო სამეურნეო ნაწილს, რომელიც თავის მხრივ პატარა და
დიდ ფერმებათ იყოფა. ასეთია მოკლეთ ქალაქი-ბალის არქიტექტურული აღნაგობა.



ნახაზი 2. ქალაქი-ბაღის ერთი სექტორის დეტალი.



ნახაზი 3. სტრუქტურული ქალაქი-ბაღის სქემა.



ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქალაქი-ბაღის მცხოვრებთა რაოდენობა განსაზღვრულია და 50.000 სულს არ უნდა აღემატებოდეს. რა თქმა უნდა, მოსახლეობა არ შეიძლება დარჩეს უცვლელი, ის გაიზრდება და ქალაქი-ბაღის პირველ-ყოფილი ფარგლის გაფართოებას მოითხოვს, მაგრამ პრინციპი ქალაქი-ბაღისა უარყოფს მის გაზრდას, მის ყოფილ საზღვრის გადალახვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დიდი ქალაქების ბედი ეწვეოდა. ამ საშიშროების ასაცდენათ არსებობს ქალაქი-ბაღების სატელიტური სისტემა (იხ. ნახაზი 3), რომელიც გამოიხატება ქალაქი-ბაღების რიცხობრივ გადიდებაში ე. ი. უნდა შეიქმნეს მთელი წყება ქალაქი-ბაღებისა, რომელნიც ერთმანეთთან სასოფლო სამეურნეო მიწებით დაშორებული იქნებიან და ერთმანეთთან გაერთებული რკინის გზათა საშუალებით.

ამგვარათ, ერთი მხრივ თუ დიდ ქალაქებს აქვთ თავისი დადებითი მხარეები სოფელთან შედარებით, როგორცაა მაღალი ხელფასი, საზოგადოებრივი ცხოვრება, ბევრი სხვადასხვა გასართობები, განათებული ქუჩები, კარგათ მოწყობილი სახლები; მეორე მხრივ, მას აქვს უარყოფითი მხარეები: ბინების კრიზისი, ცუდი ჰაერი, არა ჰიგიენური ცხოვრება, ბუნებასთან დაშორება და სხვადასხვა. ხოლო თუ სოფელს აქვს თავისი დადებითი მხარეები, როგორცაა იაფი ბინები, განუსაზღვრელი წყალი, სუფთა ჰაერი, მზე, იაფი ცხოვრება; მეორე მხრივ მისი უარყოფითი მხარეებია: საზოგადოების უქონლობა, ხშირათ უმუშევრობა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დაბალი ხელფასი, გასართობების არ ქონა და სხვადასხვა.

ქალაქი-ბაღი კი, რომელშიაც შეერთებულია ქალაქის და სოფლის დადებითი მხარეები, ასეთ სურათს გვაძლევს: ბუნებრივი სილამაზე, საზოგადოებრივი ცხოვრება, ფართე მინდვრები და ბაღები, ბინის სიიაფე, მცირე გადასახადი, მაღალი ხელფასი, მუდმივი სამუშაო, სამუშაოსთან ახლოს ყოფნა, სუფთა ჰაერი, მზე და წყალი, ჰიგიენური ბინები თავისი ბაღებით, და სხვა მრავალი დადებითი მოვლენები, რომლებიც ადამიანის ნორმალურ კულტურულ ცხოვრებისათვის აუცილებელი არიან.

ქალაქი-ბაღის სისტემა მისაღებია არა მარტო ეკონომიურ და ტექნიკურ მოსაზრებით, არამედ როგორც ერთი საუკეთესო საშუალება თანამედროვე სოციალურ არედარევათა დასაძლევათ.

საქართველოს ქალაქები დღეს თითქმის თავის პრიმიტიული სახით არსებობენ. ცხადია, მომავალში მრეწველობის განვითარება ჩვენში გამოიწვევს მათ ზრდას. რომ თავიდან იქნეს აშორებული ქალაქების ის ნაკლოვანებანი, რომელნიც ჩვენ აღვნიშნეთ, საჭიროა ქალაქის მოწყობის საკითხი თავიდანვე გათვალისწინებული და დამუშავებული-დაგეგმილი იქნეს ქართულ ბუნებასა და ხასიათთან შეფარდებით.



VII



სანავთო იმპერიალიზმი და „ქართული კომუნალიზმი“

დრ. კარლ ჰოფმან:

«ოცობლიტივ უნდ ანგელზეგსიშერ იმპერიალიზმუს», ბერლინი, 1927.

იმპერიალიზმის საკითხი დიდ ადგილს იჭერდა ამ ახლო წარსულის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში¹⁾. ინტერესი ამ საკითხისადმი დღესაც დიდია, მხოლოდ, რადგან იმპერიალიზმის ნამდვილი ბუნება დღეს გარკვეულათ უნდა ჩაითვალოს, საკითხი იდეოლოგიურ, თეორეტიულ სტადიიდან უფრო კვლევადიების კონკრეტულ სფეროებში გადავიდა. იმპერიალიზმის ამ კონკრეტულ სფეროებში ამის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როგორც მწერლობის, ისე საზოგადოების და სახელმწიფოს მხრივ,—ნავთი. ეს ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში სანავთო ინდუსტრიაში მომქმედ მსოფლიო ორგანიზაციათა საექსპანსიო ძალას და ნავთის, როგორც სათბობ და სამოტორო მასალის თვისებებს, რომლებიც მას უაღრესათ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორათ ხდიან.

იმპერიალიზმის ეს სპეციალური შემთხვევა—სანავთო იმპერიალიზმი—არის კვლევა-ძიების საგანი Dr. კარლ ჰოფმანის დიდათ საინტერესო წიგნის, სათაურით—«სანავთო პოლიტიკა და ანგლო-საქსური იმპერიალიზმი», წიგნი დიდი ფორმატისაა და წარმოადგენს მეცნიერულ სისტემატიურ აღწერას მნიშვნელოვან საერთაშორისო პოლიტიკურ ფაქტებისას ამის შემდეგ 1926 წლამდე.

ჩვენ თვალწინ იშლება ფერადათ დანატული სურათი საერთაშორისო კონფერენციებისა ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ, მთელი თავისი კულისებით, სადაც მთავარი როლი ნავთს ეკუთვნის. ავტორი შეიარაღებულია ანალიტიური ნიჭით, დიდი ცოდნით და მრავალი მასალით. სადაც ესენი არ წვდებიან, იქ ადგილი ეთმობა კომბინაციებს და ხშირათ მარჩიელობასაც, რაც მის მიერ აღძრული საკითხების პრობლემატიური ხასიათის გამო ხშირათ თავიდან ძნელი ასაცდენია. ცნობათა სიუხვის და მახვილი სტილის გამო წიგნი იკითხება გატაცებით; საზოგადოებაში ის შეჩვდა სიმპატიით განწყობილ კრიტიკას. ქართველ მკითხველს კი ეს წიგნი არ აძლევს საბუთს მას ალტაცებით შეეგებოს.

რადგან მსოფლიოს სანავთო ინდუსტრია ემყარება უმთავრესათ ანგლო-საქსების (ინგლისის და შეერთებული შტატების) და მათ გავლენაში მყოფ წარმოებას, ავტორი საზღვრავს თავის წიგნის თემას ანგლო-საქსების იმპერიების პოლიტიკით. წიგნს, როგორც ავტორი წინასიტყვაობაში ამბობს, არა აქვს სანავთო ინდუსტრიის ეკონომიური საფუძვლების ანალიზის პრეტენზია, ის მხოლოდ ცდილობს ამ ინდუსტრიის

¹⁾ მე სახეში მაქვს გერმანული ლიტერატურა; რუსულ ენაზე ჩემი ცნობით არაფერი საყურადღებო ამ საკითხზე არ დაწერილა სისტემატიურ ფორმაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ლენინის—«იმპერიალიზმი, როგორც უკანასკნელი ეტაპი კაპიტალიზმისა», რომლის შესახებ ზომბარტი სწერს: «ძლიერ სუსტი, მეცნიერულათ სრულიად დაბალი ღირებულების შრომა». ვ. ზომბარტი: დერ მოდერნე კაპიტალიზმუს, ტ. III, გვ. 45.



ეკონომიურ მოვლენებში და ფაქტებში ერთი პოლიტიკური შინაარსი გვაჩვენებს და ამ უკანასკნელის მნიშვნელობა სხვა პოლიტიკურ საკითხებთან დამოკიდებულებებში მსოფლიო პოლიტიკისათვის ნათელყოს. ამ გვარათ წიგნი წარმოადგენს სანავთო იმპერიალისტური დამოკიდებულებების პოლიტიკურ ისტორიას.

სანავთო იმპერიალიზმში, დრ. ჰოდმანის აზრით, არის ბრძოლა ორ ისტორიულ ძალთა—ინგლისის საზღვაო ბატონობის და ამერიკის სანავთო ძლიერების შორის—ნავთის ირგვლივ. სჩანს, აქ ის გულისხმობს ამერიკის მხრით მის საწარმოო ძალას. მაგრამ ავტორმა კარგათ იცის, რომ შეერთებული შტატების საზღვაო ძალა იმდენათ გაიზარდა ომის შემდეგ, რომ ის საშიშროებას წარმოადგენს ინგლისის საზღვაო ბატონობისათვის და პირველობაზე ფიქრობს, და ის ასწორებს თავის პირველ განმარტებას იმ მხრით, რომ მისთვის, ნაცვლათ ცოტა ბურჟუასიანი «სანავთო ძლიერებისა», ეხლა ამერიკის მხრივ ხელმძღვანელი ფაქტორია ამ ბრძოლაში «სახელმწიფო ინტერესისათვის მილიტარულ-ტექნიკური მოსაზრებებით», რომლისთვის «სანავთო ძლიერება» მხოლოდ საშუალებაა. აქ შეიძლება ვიფიქროთ, რომ, რადგან ეს სახელმწიფოთა ჯიბრი ნავთის გარშემო უკანასკნელი (ომის შემდეგ) წლების საქმეა უმთავრესათ, იმპერიალიზმიც სულ ახალი მოვლენა უნდა იყოს. თუ სანავთო ინდუსტრიის განვითარების ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ტრესტების ბრძოლას ნავთის გარშემო ჯერ კიდევ მაშინ ქონდა ადგილი, როდესაც სახელმწიფოები ნავთის პოლიტიკურ ღირებულებაზე ნაკლებათ ფიქრობდნენ. მიუხედავათ ამისა, ეს ბრძოლა მაინც იმპერიალისტური იყო. დღეს კი ნავთის ფუნქცია შეიცვალა და ამით მისი ღირებულებაც. ნავთის პროდუქტების მნიშვნელობა დღეს, როგორც სათბობ და სამოტორო მასალის, შედარებით წინანდელთან, როდესაც ის ემსახურებოდა განათება-გათბობას, დიდათ გაიზარდა: ეს პროდუქტები დღეს აუცილებელია მთელი მეურნეობისათვის, განსაკუთრებით საავტომობილო ტრანსპორტისათვის და, რაც მათ სახელმწიფოების თვალში ასე სახარბიელოთ ხდის, საზღვაო და საჰაერო ფლოტისათვის. ნავთის მოსახმარი ღირებულების ზრდამ გამოიწვია იმპერიალიზმის ინტენსივობა, მის ჩვეულებრივ შინაარსს—სანავთო კაპიტალის ექსპანსიას—ზედ დაერთო სახელმწიფო თვადაცვის ინტერესი. წინეთ (ომამდე) იმპერიალისტურ ბრძოლას მსოფლიო ტრესტებს შორის მიზნათ ქონდა ნავთისათვის ახალ-ახალი ბაზრების გახსნა და დაპყრობა სახელმწიფოთა მიერ, ასე ვთქვათ, ლოიალური დახმარებით; ამიტომ იმპერიალიზმიც უფრო მშვიდობიანი იყო. დღეს კი მთავარი ყურადღება მიმართულია თვით ნავთიანი ადგილების ხელში ჩაგდებისკენ, რაც ერთი მხრით საჭიროა მსოფლიო ტრესტების მონოპოლისტური ზრახვების და კაპიტალისტური მოვების უზრუნველსაყოფათ. მეორე მხრით კი—სახელმწიფოსათვის ამ მნიშვნელოვან მასალის მომარაგების საქმეში ნაციონალური პოლიტიკის დამოუკიდებლობისათვის. რადგან ამ ნავთიანი ადგილების რიცხვი ძლიერ განსაზღვრულია, ბრძოლაც მათ ირგვლივ, რომლისათვის დიპლომატიების და შეიარაღებული ძალის მობილიზაცია საჭირო ხდება, უფრო მწვავეა, იმპერიალიზმში დღეს უფრო აქტიურია, უფრო აგრესიულია. ეს აგრესიობა ჩაქსოვილია განვითარებულ კაპიტალიზმის ბუნებაში; ამიტომაც არის, რომ იმპერიალიზმის განსახიერება კაპიტალისტურათ დაწინაურებული ქვეყნებია.

სამი უმთავრესი ინტერესთა წინააღმდეგობანი ახასიათებს, ბნ ჰოდმანის აზრით, მსოფლიო პოლიტიკურ დამოკიდებულებათა განვითარებას ომის შემდეგ; ეს წინააღმდეგობანია: 1) კონტინენტალ-ევროპიული ინგლისსა და საფრანგეთს შორის, 2) შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის და 3) ინგლის-ამერიკის ფარული ჯიბრი. გარდა ამისა; ამ მსოფლიო ძალთა კომპლექსში ავტორს შეყავს, როგორც მათი თანასწორი, «იმპერიალური საიდუმლოება საბჭოთა კავშირისა», რომელიც «საკმაოთ ძლიერი იყო, რომ დამოუკიდებლათ ემოქმედნა». ეს ნიშნავს, ბოლშევიკური რუსეთი მისწრაფოდა საკუთარი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებისკენ, და დამოუკ-



კიდებელი საგარეო პოლიტიკა, თუ ის პოზიტიური შედეგით უნდა დამთავრდეს, უნდა დასრულდეს სახელმწიფოებრივ, სოციალურ და ეკონომიურ ძალთა უაღრეს განვითარებას საბჭოთა კავშირში. იმპერიალისტური ტენდენცია არის განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს ლტოლვა, ნაპარნაევი კაპიტალის ინტერესებით, თავისი სამეურნეო სფეროს გაფართოებისაკენ საკუთარი საზღვრების გარეშე. ასეთი ინტერესები ეკონომიურათ ჩამორჩენილ რუსეთს არა ქონდა; ძველი რუსეთი არა თუ არ იყო კაპიტალის ექსპანსიის მატარებელი, ის უცხო კაპიტალის საყვლეფი ობიექტი და დიდ სახელმწიფოთა იარაღი იყო. თუ მისი პოლიტიკა იმპერიალიზმი არ იყო, მაშ რა იყო ის? ის განხლდათ აზიური დესპოტიზმი. და მართლაც: რუსეთის ექსპანსია გამოწვეული იყო შიგნით თავისი ბატონობის უზრუნველყოფის საჭიროებით (იხილეთ ზომბარტი), რომელიც ახალ, კომუნისტურ რუსეთისთვის კიდევ უფრო აქტუალბა მსოფლიო იყო; ეს კი გულისხმობდა დესპოტიზმს. ბოლშევიკური რუსეთის აქტივობა მსოფლიო პოლიტიკაში იყო მყვირალა, ხელოვნური, ის იყო პროპაგანდისტული, და მას ხელს უწყობდა საერთო არეუ-დარევა, მსოფლიო ომით გამოწვეული. დღეს, როდესაც მსოფლიოში ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების შედარებითი კონსოლიდაცია მოხდა, პროპაგანდას ნაკლები გასავალი დაურჩა და რუსეთს არც ამგვარი აქტივობის უნარი შეერჩა.

რაც ბ-ნ ჰომმანის წიგნის ღირებულებას ქართველი მკითხველისათვის ძლიერ ამცირებს, არის მისი ყალბი შეხედულება საქართველოს შესახებ. იქ, სადაც ის თავის წიგნში გერმანიის ინტერესებს ესება, მკითხველი ადვილათ შეამჩნევს შელახულ ეროვნულ თავმოყვარობის გრძობის ტონს, საქართველოს საკითხზე კი ის არა თუ არ იძლევა ობიექტიურ ცნობებს მისი უთანასწორო ბრძოლის ნამდვილი მიზნების შესახებ, მისი კალამი ერთ თანაგრძობის სიტყვასაც ვერ პოულობს საქართველოსათვის. ეს ალბათ იმას მიეწერება, რომ ავტორს თავისი განათლება კავკასიის ნავთისა და საქართველოს საკითხში ბოლშევიკების ცნობებსა და მასალებზე დაუწყარებია; რომლებსაც ის, როგორც სჩანს, უტყუარათ სთვლის. თუ როგორ დაუსრულებია მას თავისი განათლება, სჩანს შემდეგიდან: «რაც შეეხება რუსეთს, უნდა აღინიშნოს, რომ კასპიურ-კავკასიური სანავთო ზონა 1919 წლის ირგვლივ ეკუთვნოდა არა საბჭოთა სახელმწიფოს, არამედ მენშევიკურ «დამოუკიდებელ» რესპუბლიკებს, რომლებსაც მოკავშირეები, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი ესმარებოდენ» (გვ. 96).


როდესაც ბ. ჰომმანი საქართველოს დიდი განცდის დღეებს—1924 წლის, აგვისტოს აჯანყებას—ესება, მისი შეხედულება უკვე მახინჯი ხდება. შეერთებული ანგლო-საქსური კაპიტალის მიზანი იყო «საბჭოთა სისტემის დაცემის ან მისი დამორჩილების შემდეგ—სწერს იგი—რუსეთის ეკონომიური ექსპლოატაცია მას ხელში აეღო» (გვ. 325). ეს დამორჩილება უნდა მომხდარიყო საქართველოს «რევოლიუციით», რომლის საშუალებით «სამხრეთ-რუსეთის სანავთო რაიონი მსოფლიო კონცერნების გავლენაში და მათ სსარგებლოთ საბჭოთა იმპერიიდან გამოყოფილი უნდა ყოფილიყო» (გვ. 324). «ამერიკული ინტერესი სტანდარდ-ოლიგარხიისა გამომდინარეობდა ამ გარემოებიდან—სწერს იგი, რომ ჰარიმანის ჯგუფი დაახლოვებით 1924 წლის მაისიდან ცდილობდა ხელში ჩაეგდო მონოპოლია ქართულ შავქვანზე». ეს ყოფილა «ქართული რევოლუციის» მიზეზი, მაგრამ ასეთი დასაბუთებით არაა კმაყოფილი თვით ბ-ნი ჰომმანი; იგი განაგრძობს: «როდესაც ანგლო-საქსური შინაარსი ქართულ რევოლიუციაში აშკარა გახდა, «სრულდებოდა» სავაქრო ხელშეკრულება რუსეთსა და მაკდონალდის ინგლისის შორის, რომელიც ახალ ხელმოწერილი იყო. ორივე მიმართულება ბრიტანული პოლიტიკისა ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს». ეს კი არის წინააღმდეგობა ბ-ნ ჰომმანის კომბინაციებსა და სინამდვილეს შორის. ჰარიმანმა ჭიათურის კონცესია მაინც მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ «ქართული რევოლიუცია» და მასთან ერთად მისი ფანტასტიური «სულისჩამდგმელი» მენავთენი, სტანდარდ-ოლიგარხია,



რომელსაც პარიმანის კონცერნი ეკუთვნის, დამარცხდა. «ამასთან არ უნდა დაივიწყოთ, — უმატებს იგი, — რომ ქართულ რევოლუციას ერთ და იმავე დროს მიწაში მიწეწებიც ქონდა, რომლებიც მდგომარეობდნენ უკმაყოფილებაში ბოლშევიკურ გადასახადების წინააღმდეგ» (გვ. 324). ეს არის მარგალიტი, რომელიც ამშვენებს ბ-ნ ჰოფმანის ანალიზის მთელ შენობას «ქართული რევოლუციის» შესახებ. უნდა გამოვტყდეთ, რომ ამაზე უკეთეს ახსნას ამ საგანზე ვერც საბჭოთა მთავრობის ორგანოები მოგვცემდნენ. მაგრამ ყველაზე სასიროცხვოთ ბ-ნ ჰოფმანისთვის ის უნდა ჩაითვალოს, რომ მისი ანალიზის შენობის ასეთი კონსტრუქციით, რომლის თანახმად საბჭოთა ხელისუფლებას მას საკუთარ ტერიტორიაზე ებრძვის უცხო ძალა (ანგლო-საქსები) უკმაყოფილო მცხოვრებთა ერთი ნაწილის დახმარებით, ის სავესებით ამართლებს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს აჯანყების ბარბაროსულათ სისხლში ჩახრობას.

იმპერიალისტური დამოკიდებულებები ნყოფია კაპიტალისტურ ძალთა უადრესი განვითარების; ეს არიან კაპიტალიზმის სტრუქტურული დამოკიდებულებები, რომელთა შეცვლა საერთოდ კაპიტალიზმის ბედთანაა დაკავშირებული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კი დამორჩილებულ ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ ძალთა განვითარებისაგან. რუსეთის დამოკიდებულებანი საქართველოსთან არიან არა კაპიტალიზმის განვითარებიდან გამომდინარე, არა სტრუქტურული, არამედ სრულიად შემთხვევითი, ასე ვთქვათ, კონიუნქტურული, და მათი მოსპობაც შემთხვევისავე საქმეა.

მ. მანიინი.



მადლოზის გამოცხადება

კრებულ „გაგვახიონი“-ს რედაქცია და გამომცემლობა გულითად მადლობას უცხადებს იმ ორგანიზაციას და პირთ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს.

მივიღეთ შემდეგი შემოწონილებანი:

ოდენგურის ქართველ საზოგადოების კოლპერატივისაგან	1,500 ფრანკი.
მარიამ დიდებერიძის ასულისაგან	200 „
ვ. ბარგალაია	50 „
ხ. ხარჯველაძე	50 „
ვ. ჩხაიძე	25 „
ა. ბარგალაია	25 „
ა. გამყრელიძე	25 „
სულ	1,875 ფრანკი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

(გვარები ანბანზე).

I.	ბერეჟიანი ხ.	3
	გახიტაშვილი ალ.	5
	გგლა	6
	მეჩონგურე დ.	8
	რალფი	11
	ტყეშელაძე ა.	12
	წილღხანი ვ.	13
II.	მგვლაძე ვლ.	14
III.	გახრამე სტ.: საზღვარზე გადასვლა	16
	ტავაძე რამ.: სახლი და ქვეყანა	25
IV.	მაჭრამე ვლ.: ლიტერატ. და თეატრ. კრიტიკა ქარ. კომუნისტურ პრესაში	29
	მანწკავა ის.: ქართული ლიტერატურა	48
	წულუკიძე მ.: ესკიზები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე	58
	პაუპტმანის იუბილეს გამო	63
V.	ბილანიშვილი მ.: ხელოვნების პრინციპები და ნიკო ფიროსმანიშვილი	73
	ორბეგლიანი გრ.: პანალი (რომანსი)	75
VI.	ქართველ საზოგადოებას	79
	თაყაიშვილი ექ.: სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები	82
	ზუნდაძე მ.: საქართველოს საკითხი საერთ. სამართლის თვალსაზრისით	85
	ნოზაძე გ.: ახალი ქალაქები	107
VII.	მანინი მ.: სანავთო იმპერიალიზმი და «ქართული რევოლუცია»	119
		125

მ. ბილანიშვილის ნახატი: ქართველი ქალი.

ნ. ფიროსმანიშვილის ნახატი: 1) ნადიმი ოჯახში.
2) კინტოების ქეიფი.

ექ. თაყაიშვილის ტაბულები.

ყდა: მხატვარ ბილანიშვილის.

რედაქცია და გამომცემლობა:

ქართველ სტუდენტთა გროვნული გაერთიანება.

მისამართი:

Ed. PAPAVA

25, Boulevard Auguste-Blanqui

Paris (XIII^e)